ლეილა თაქთაქიშვილი-ურუშაძე

მარჯვენა ფრთა

„ლიტერატურა და ხელოვნება“
19 თბილისი 65

ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძის მონოგრაფია „მარჯორი უორდროპი“ მიზნად ისახავს ქართული კულტურის დიდი თაყვანისმცემლისა და მოამაგის — ინგლისელი მთარგმნელი ქალის მარჯორი სკოტ უორდროპის შემოქმედების შესწავლას.

შრომის ცალკეულ თავებში განხილულია მე-19 საუკუნის საქართველოს ინტელიგენციის მოწინავე ნაწილთან მ. უორდროპის ურთიერთობა და წარმოდგენილია მ. უორდროპის მიერ ინგლისურ ენაზე შესრულებულ თარგმანთა ანალიზი („ქართული ხალხური ზღაპრები“, „განდეგილი“, „მგზავრის წერილები“, „წმ. ნინოს ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსანი“).

მ. უორდროპის ინგლისური თარგმანები ხასიათდება ქართული ენის ნიუანსთა საფუძვლიანი ცოდნით, კეთილსინდისიერებითა და ღრმა პოეტური ინტუიციით. მისმა თარგმანებმა გარკვეული როლი ითამაშეს უცხოელ მეცნიერთა მხრივ ქართული მწერლობისადმი ინტერესის გაცხოველებაში.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

„გადაღება ინგლისურად ჩვენის მწერლობისა გადაღებაა ჩვენის გულისცემისა, ჩვენის გულითადის ნატვრისა, ჩვენის ჰირისა და ღხინისა, ჩვენის გონების და გრძნობის ძალ-ღონისა საყოველთაოდ საცნობელად“

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

მთარგმნელობით ხელოვნებას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ჯერ კიდევ IV საუკუნიდან, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასა და უცხოეთში ქართული კულტურული კერების დაარსებასთან ერთად, ქართველებმა ხელი მიჰყვეს აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას.

უცხო ნაწარმოებთა ქართულ ენაზე თარგმნას თავისი პოლიტიკური, სარწმუნოებრივი და სამეცნიერო დანიშნულება ჰქონდა, რის გამოც თარგმანი ცხადად გამოხატავდა ქართველი საზოგადოების სულიერ მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს.

თარგმანთა ისტორიულმა შესწავლამ მეცნიერებს საშუალება მისცა გამოეტანათ სათანადო დასკვნები იმ მეთოდის შესახებ, რითაც ხელმძღვანელობდნენ ქართველი მთარგმნელები.

როგორც აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს: „გადმოღება უცხო თხზულებისა იყო არა მექანიკური აღქმის პროცესი, არამედ პროცესი შემოქმედებითი გადამუშავებისა და თავის საკუთარ გემოვნება-შეგნებასთან შეგუებისა. ქართველთა შემოქმედებითმა გენიამ შესძლო ნათარგმნი ლიტერატურის ასიმი-

ლირება, თავის იდეურ-ესთეტიკურ შეგნებაში გადახარშვა და გადადნობა თავისი ეროვნული საქმიანობის ბრძმედში“.* ასე, მაგალითად, ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი ექვთიმე ათონელი (955—1028 წ. წ.) იმდენად თვითნებურად ეპყრობოდა სათარგმნ ნაწარმოებს, რომ თარგმანის ნაცვლად მკითხველს ნაწარმოების სრულიად ახალ რედაქციას აწვდიდა. თარგმნის ასეთივე მეთოდით ხელმძღვანელობდა ექვთიმეს უმცროსი თანამედროვე, ივერიის მონასტრის წინამძღვარი გიორგი ათონელიც.

მე-11 საუკუნის მეორე ნახევრის უდიდესი მოაზროვნის, მეცნიერისა და მთარგმნელის ეფრემ მცირეს შეხედულებანი თარგმნის საკითხებზე პრინციპულად განსხვავდება მის წინაპართა შეხედულებათაგან. მან თავისი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე შექმნა თარგმნის საკუთარი თეორია. ეფრემ მცირე დიდი სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ყოველ უცხო სიტყვას, ეძებდა მისთვის ყველაზე უახლოეს ქართულ შესატყვისს, თარგმნიდა ნათელი, გასაგები ენით და, თუკი საჭიროდ მიიჩნევდა, თარგმანს საკუთარ კომენტარსაც ურთავდა. შინაარსობლივი მხარის დაცვასთან ერთად, იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მხატვრული მეტყველების ელემენტებსაც. „სახისმეტყველებას“, სახეთა ხატოვანად გადატანას თვლიდა ის თარგმანისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად“.**

თავისებური იყო გამოჩენილი ფილოსოფოსისა და დიდი მეცნიერის იოანე პეტრიწის დამოკიდებულება თარგმანისადმი. ის იცავდა სიტყვა-სიტყვით სიზუსტეს და მოითხოვდა ბერძნულ წინადადებათა კონსტრუქციებისა და სიტყვათა წყობის ზედმიწევნით გადმოტანას თარგმანში. ამ მეთოდით გატაცებამ გამოიწვია ის, რომ იოანე პეტრიწის ენამ ხელოვნური სახე მიიღო.

შემდგომ საუკუნეებში მთარგმნელები ცდილობენ მაჰმადიანური სამყაროდან შემოსული სიუჟეტები მისაღები გახა-

---

* კ. კეკელიძე—ქართ. ლიტ. ისტორია. ტ. I, თბილისი, 1941. გვ. 185.,

** ჯავახიშვილი ი.—ქართული საისტორიო მწერლობა., თბილისი, 1945 წ. გვ. 161—162.

დონ ქართველთათვის. ამის გამო თარგმანში შეაქვთ ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელი მხატვრული სახეები და ხასიათები. ასეთი გადმოკეთება-გადმოქართულების შედეგია ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორიცაა: „ვისრამიანი", „როსტომიანი", „ბარამგურიანი" და სხვა.

მე-18 საუკუნემ ახალი ძვრები მოახდინა ქართულ მწერლობაში. საუკუნეთა განმავლობაში არსებული ინტერესი სპარსული მწერლობისადმი, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის მიმართ გაღვიძებულმა ინტერესმა შეცვალა. ვამბობთ „შეცვალა", მაგრამ ეს არ იყო მექანიკური შენაცვლების პროცესი. მას თავისი განმაპირობებელი ისტორიულ-პოლიტიკური ფესვები კარგა ხანია ჰქონდა.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ქართულ ენაზე უკვე გვხვდება ევროპელ მწერალთა ქართული თარგმანები, რომელთა უმრავლესობა ჩვენში რუსეთის გზით შემოსულა (მაგალითად, ერაზმ როტერდამელის, ბაუმესტერის, ვოლფის, კლოპშტოკის, ლაიზევიცისა და სხვათა ქართული თარგმანები).

ქართველები ყურადღებას იჩენენ ინგლისური და შოტლანდიური სიტყვაკაზმული მწერლობისადმი. თარგმნიან თ. მურის, თ. გრეის, ჯ. მილტონის, ფილოსოფოს ადამ ფერგიუსონისა და სხვათა ნაწარმოებებს.

მე-19 საუკუნის სამოციან წლებში ქართველი ერის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურის სარბიელზე „თერგდალეულთა" პროგრესული თაობის გამოჩენას თან მოჰყვა მთარგმნელობითი საქმიანობის აღმავლობა. ქართული პრესა თავის ფურცლებზე განუწყვეტლივ ათავსებდა ინგლისელ, ფრანგ, გერმანელ და სხვა ევროპელ მწერალთა თარგმანებს. „ივერია" პირდაპირ მოუწოდებდა ახალგაზრდა მწერლებს:

„ახალგაზრდა პოეტებო!

ხელი მოჰკიდეთ თარგმანს, შეისწავლეთ ეს ხელოვნება და იფიქრეთ ქართული ლიტერატურის გამდიდრებაზე". *

---

* „ივერია", 1905, № 60.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები თარგმნიან რუს და ევროპელ მწერალთა ნაწარმოებებს. ისინი ცდილობენ თარგმანში მაქსიმალურად დაიცვან მწერლის სტილი და შემოქმედებითი ინდივიდუალობის დამახასიათებელი ნიშნები.

ქართული ეროვნული თეატრის აღმოცენებასთან ერთად, საზოგადოების გაზრდილმა მოთხოვნილებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპული და, კერძოდ, ინგლისური დრამატურგიისადმი. ამ მიმართულებით პირველი ცდები ეკუთვნის დ. ყიფიანს, რომელმაც ჯერ თარგმნა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა", შემდეგ—„ვენეციელი ვაჭარი". შექსპირს თარგმნიან აგრეთვე ლ. არდაზიანი, ა. ფურცელაძე, ნ. დადიანი და სხვები. შექსპირის პიესების ზემოხსენებულ მთარგმნელთა საქმიანობა მხოლოდ მოსამზადებელი მუშაობა იყო შექსპირის დრამების გადმოქართულების საქმეში, რასაც მყარი საფუძველი ჩაუყარა ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილმა „მეფე ლირმა". ამის შემდეგ დასაბამი მიეცა შექსპირის მაჩაბლისეულ თარგმანებს, რომელთაც ახალი ფურცელი გადაშალეს უცხო ნაწარმოებთა ქართულ ენაზე თარგმნის ისტორიაში.

„უდიდესი დამსახურება მაჩაბლისა სწორედ ის არის, რომ მან შეძლო მოენახა ყოველი ნაწარმოების გასაღები, ჩასწვდომოდა ორიგინალის სიღრმესა და დედააზრს. რვა ტრაგედია თარგმნა მაჩაბელმა და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან შეძლო ყველგან გადმოეტანა ნაწარმოების მთავარი განწყობილება.

მაჩაბელი გარედან არ უყურებს ნაწარმოების გმირებს. იგი ამ გმირებიდან გამოდის, იგი ნაწარმოების საერთო განწყობილებას ქმნის არა ცალკე სიტყვებისა და ფრაზების ზუსტი ლექსიკონური თარგმნით, არამედ ცალკეულ გმირთა ხასიათის გახსნით, ცალკეული სიტუაციის ღრმა, პოეტური ანალიზით." *

ეს დახასიათება კარგად ასახავს იმ მონუმენტურობას, რომელსაც მაჩაბელმა ქართული სიტყვიერი მასალის სწორი

* ჭელიძე ე.—ცხოვრება ივანე მაჩაბლისა. თბილისი, 1955, გვ. 235—6.

და მოხერხებული გამოყენებით მიაღწია. მხატვრულობისა და გამომსახველობის თვალსაზრისით, მაჩაბლისეულ თარგმანებში ქართული ენა თავის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს ამჟღავნებს.

მე-11-12 საუკუნეებში, როდესაც ქართული ფილოსოფიური აზრი საბერძნეთის გზით ფეხს იკიდებდა ევროპის ქვეყნებში, ინგლისური მწერლობა თავს აღწევდა ფრანგულისა და ლათინურის მძლავრ ზეგავლენას და თვითმყოფობას განიცდიდა. ამ დროის ძეგლები, შექმნილი ანგლო-საქსურ ენაზე, წარმოადგენდა, ძირითადად, ხალხური ეპოსის ნიმუშებს. შემდგომ საუკუნეებში უცხო ნაწარმოებთა თარგმნის საქმეში განსაკუთრებული დამსახურება უესექსის მეფე ალფრედ დიდს მიუძღვის.

ალფრედ დიდი თარგმნიდა იმ დროისათვის ყველაზე აქტუალურ ფილოსოფიურ-მითოლოგიურ-ისტორიული ხასიათის შრომებს, ითვალისწინებდა სათარგმნი თხზულების პრაქტიკულ დანიშნულებასა და მკითხველი საზოგადოების განათლების დონეს. ალფრედ დიდმა თარგმანზე საკუთარი შეხედულებები ჩამოაყალიბა. მისი მეთოდი თავისუფალი თარგმნის პრინციპებს ემყარება. ალფრედის თარგმანთა რიცხვს ეკუთვნის ანგლო-საქსური პროზით შესრულებული ნეტარ ავგუსტინის „დიალოგები“, რომელიც მთარგმნელის მიერ შევსებული და გამდიდრებულია ავგუსტინის სხვადასხვა შრომებიდან ამოკრეფილი ნაწყვეტებით; ბედას „ანგლების საეკლესიო ისტორია“, და ეპისკოპოს ოროზიას „მსოფლიო ისტორია“, რომელიც მთარგმნელმა გადაამუშავა და შეავსო ეთნოგრაფიული ხასიათის მრავალი შენიშვნითა და აღწერილობით.

მე-11 საუკუნის დასაწყისში ანგლო-საქსურ ენაზე ითარგმნება აპოკრიფული ნაწარმოები „ალექსანდრეს წერილი“ ინდოეთის საოცრებათა შესახებ. ამავე საუკუნეს აკუთვნებენ აპოლონ ტირელის რომანის ლათინურიდან შესრულებულ ინგლისურ თარგმანსაც.

მე-12 საუკუნიდან ცხოველდება ინტერესი ასტრონომიული და მათემატიკური ლიტერატურისადმი. მიუხედავად ზემოთაღნიშნული ცალკეული თარგმანებისა, მე-5 საუკუნიდან

მე-12 საუკუნის მიწურულამდე პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ცხოვრების სფეროში ლათინური და ფრანგული ენებია გაბატონებული.

1395-97 წლებში უიკლიფი თარგმნის ბიბლიას. თარგმანმა, რომელიც შესრულებულია დიდი ლიტერატურული ალღოთი და ლაკონიური ენით, ხელი შეუწყო არა მარტო ბიბლიის პოპულარიზაციის საქმეს, არამედ თვით ინგლისური სალიტერატურო ენის განვითარებასაც. აქვე უნდა ითქვას, რომ თარგმანებმა, მრავალ სხვა წინაპირობასთან ერთად, დიდმნიშვნელოვანი როლი ითამაშეს 1362 წელს ინგლისური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების საქმეში.

ინგლისური პოეზიის მამამთავარმა ჯეფრი ჩოსერმა (1340-1400) ახალი პერსპექტივები დაუსახა ეროვნულ მწერლობას. მას ეკუთვნის „ვარდის რომანის" ინგლისური თარგმანი, რომელშიც ჯ. ჩოსერი დიდ მთარგმნელობით ინტუიციას ამჟღავნებს. ის ფრთხილად ეპყრობა ნაწარმოების ფორმის შერჩევის საკითხს და იყენებს ინგლისური ლექსისათვის დამახასიათებელ ფორმებს.

მე-15 საუკუნეში საფრანგეთთან ასწლიანი ომის, თეთრი და წითელი ვარდების შინაგანი ქიშპობისა და სისხლისღვრის გამო, ახლადფეხადგმული ინგლისური მწერლობა ერთგვარ შეფერხებას განიცდის, ხოლო ამავე საუკუნეში წიგნების ბეჭდვის დაწყებას გამოცოცხლება შეაქვს, როგორც ორიგინალური, ისე მთარგმნელობითი მწერლობის განვითარებაში.

ინგლისში პირველი სტამბის დაარსების ინიციატორი უილიამ კექსტონი თარგმნის ფრანგულ გადმოცემებს ტროას შესახებ, ოვიდიუსის „ცეტამორფოზებს", ვირგილიუსის „ენეიდასა" და სხვა ნაწარმოებებს. ამავე საუკუნეში ითარგმნება ლათინური ტრაქტატები, ფრანგული რომანები.

მე-16 საუკუნეში იღვიძებს ინგლისელთა ინტერესი ანტიკური მწერლობისადმი. ცნობილი მწერალი ჯორჯ ჩეპმენი თავისი ცხოვრების აზრს ჰომეროსის თარგმანში ხედავდა. მან შეძლო ჩაწვდომოდა „ილიადასა" და „ოდისეას" გმირულ პათოსს და დიდი ოსტატობით გადმოეცა ის ინგლისურ თარგმანში.

ამავე ეპოქაში ითარგმნება სენეკა, პლავტე, ტერენციუსი, აღორძინების ეპოქის იტალიური ნოველები, პლუტარქეს „ცხოვრებანი“ და სხვა.

ელისაბედ დედოფლის მმართველობის პერიოდში თარგმნის ხელოვნება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. დიდი ყურადღება ექცევა ისეთ თარგმანს, რომელიც სრულფასოვნად გადმოსცემს ორიგინალის დედააზრს.

მე-17 საუკუნე ინგლისური ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარების მწვერვალია. ამ პერიოდში ორიგინალურ დრამატულ ნაწარმოებთა გვერდით, იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ფრანგული კლასიცისტური დრამების გადმოკეთებასა და თარგმანებს. ამავე საუკუნეში დიდი ბრიტანეთის ექსპანსიებს აღმოსავლეთის ქვეყნებში თან ახლავს ინგლისელ მეცნიერთა და მთარგმნელთა ინტერესის გაცხოველება აღმოსავლეთის დიდი და მცირე ერების მწერლობისა და მატერიალური კულტურისადმი.

მე-18 საუკუნეში ცნობილი პოეტი ალექსანდრე პოუპი კვლავ უბრუნდება ჰომეროსის პოემებს. ჩეპმენისაგან განსხვავებით, რომლის ენასა და თარგმანებს ის მეტად მოძველებულად სთვლიდა, პოუპმა განმანათლებლური გემოვნების მიხედვით ისე „შეალამაზა“ ჰომეროსი, რომ თანამედროვეთაგან საყვედურიც კი დაიმსახურა.

ამავე ხანებში ჯონ გრეი აქვეყნებს სკანდინავური და ვალიური (უელსის) პოეზიის თარგმანებს.

მე-18 საუკუნის დიდი განმანათლებელი მწერალი სმოლეტი თარგმნის სერვანტესს, ფრანგ განმანათლებლებს — ლესაჟს, ვოლტერს. დიდ მთარგმნელობით საქმიანობას ეწევა რომანტიზმის წინა პერიოდის გამოჩენილი პოეტი, ინგლისური ფოლკლორის დიდი თაყვანისმცემელი თომას პერსი, რომელიც აქვეყნებს პოლ მალეს „კელტებისა და ნაწილობრივ ძველი სკანდინავური მითოლოგიის ძეგლების“ თარგმანს და ისტორიული ხასიათის მრავალ შენიშვნას ურთავს.

რომანტიკოსთა შორის ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას ეწევა ვალტერ სკოტი. იგი თარგმნის და აქვეყნებს გოეთეს „გეც ფონ ბერლიხინგენს,“ რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს მწერლის შემოქმედებით განვითარებაზე.

განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ევროპული და აღმოსავლური ლიტერატურისადმი რევოლუციური რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენელი ჯ. გ. ბაირონიც. იგი ეცნობა სხვადასხვა ხალხის ფოლკლორულ მემკვიდრეობას, სწავლობს არაბულ, სომხურ, ინდურ ენებს. მას იმდენად იტაცებს ხალხური პოეზია, რომ „ჩაილდ ჰაროლდში“ პირდაპირ შეაქვს ბერძნული და ესპანური ხალხური სიმღერების თარგმანები.

მე-19 საუკუნის გამოჩენილი მოაზროვნე და მწერალი თომას კარლეილი თარგმნის გოეთეს „ვილჰელმ მაისტერს“, აქვეყნებს ტიკის, ჰოფმანის, ჟან პოლ რიხტერისა და სხვა გერმანელ რომანტიკოსთა თარგმანებს.

ამავე საუკუნეში აღმოსავლეთმცოდნეობამ ინგლისში დიდ წარმატებას მიაღწია. ინგლისელი მეცნიერები და მთარგმნელები დიდი გულისყურით სწავლობდნენ და თარგმნიდნენ აღმოსავლურ ლიტერატურას. ვითარდება რეალისტური თარგმანი, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელია ე. ლ. ვოინიჩი. თარგმნის რეალისტური ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება ინგლისელი მთარგმნელი ქალი მარჯორი სკოტ უორდროპიც, რომლის მთარგმნელობით მოღვაწეობას ეძღვნება წინამდებარე მონოგრაფია.

თანამედროვე პირობებში თარგმანს განსაკუთრებული როლი ენიჭება იმდენად, რამდენადაც ის ხელს უწყობს ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას.

მხატვრული ლიტერატურის ნიმუშთა თარგმანი ნაწარმოების უბრალო გადაღება როდია. კარგი თარგმანი ქმნის მხატვრულ სახეთა, ტიპაჟთა ისეთ მიმზიდველ გალერეას, სადაც მაქსიმალურად არის გადატანილი სათარგმნი მწერლის ჩანაფიქრი და სტილის თავისებურებანი.

რამდენადაც ამა თუ იმ ხალხის ლიტერატურა საინტერესოა მასში ასახული ზოგად-საკაცობრიო იდეების გამო, რამდენადაც, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ლიტერატურა ხალხის ჰკვა, ხალხის გრძნობა, ფიქრი და განათლების ხარისხია“, ჰეშმარიტი ხელოვნების სიმაღლეზე შეიძლება აყვანილ იქნას ისეთი თარგმანი, რომელიც მაქსიმალურად ინარჩუნებს დედნის ეროვნულ სულსა და ფორმას, რაც თავის

მხრივ განისაზღვრება „ნაციონალური თემატიკით, ნაციონალური მიზანდასახულობით (მწერლის პატრიოტიზმი), ნაციონალური მხატვრული ხასიათებით, ნაციონალური მხატვრული ლიტერატურული ხასიათებით, ნაციონალური მხატვრული ლიტერატურული ტრადიციებითა და ნაციონალური ფოლკლორით". *

აქედან გამომდინარე, მხატვრული თარგმანის ღირსებანაკლოვანება უნდა განვიხილოთ ზემოხსენებულ ასპექტში ე. ი. საფუძვლიანად შევისწავლოთ ის გზები, ის შემოქმედებითი ხერხები, რომლებსაც იყენებს მთარგმნელი სათარგმნი ენის წიაღში ეროვნული კოლორიტისა და ავტორისეული სტილის დაცვის მიზნით.

* ციციშვილი გ.—საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდის გენეზისისა და სპეციფიკის შესახებ. თბილისი, 1960, გვ. 117.

ევროპელთა ინტერესი ძართული კულტურისადმი

საქართველო ოდითგანვე იყო დაკავშირებული როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნებთან. ჯერ კიდევ ადრეულ ხანებში ქართველები უცხოეთში აფუძნებდნენ საეკლესიო და კულტურულ კერებს, სადაც აქტიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდნენ. ქართველებს არა ერთხელ მიუღიათ მონაწილეობა ჯვაროსნულ ომებში და, გასაგებია, რომ ისინი გარკვეულ ურთიერთობაში იყვნენ ევროპის ქვეყნებთან, განსაკუთრებით, იტალიასა და საფრანგეთთან.

ევროპის სახელმწიფოები, თუ არაფერს ვიტყვით ანტიკურ საბერძნეთსა და ბიზანტიაზე, საქართველოს უფრო ახლოს გაეცნენ იმ პერიოდიდან, როდესაც გამოცოცხლდა საქონლის გაცვლა-გამოცვლა და დაიწყო სავაჭრო კაპიტალის დაგროვება. ამ დროს ადგილი აქვს დაზვერვითი ხასიათის მოგზაურობებს იმ ქვეყნებში, რომლებიც ევროპელებს მდიდარი შემოსავლის წყაროდ მიაჩნდათ.

უკვე მე-14 საუკუნეში ევროპის სავაჭრო კაპიტალის ექსპანსიას შედეგად მოჰყვა შავი ზღვის სანაპიროებზე უცხოელთა დასახლებების დაარსება. საქართველოსადმი ინტერესი მას შემდეგ უფრო გაიზარდა, რაც კასპიის ზღვის პირას არსებულმა ბაზრებმა გილანსა და შირვანში ევროპელ ვაჭართა ყურადღება მიიქცია.

საქართველოსადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს რომის პაპი, რომელიც აქ სპეციალურად განსწავლულ მისიონერებს აგზავნის. ეს მისიონერები ჩამოდიან ჩვენში, სწავლობენ ქართველი ხალხის ცხოვრებას, ადათ-წესებს, კულტურას და შემდეგ პაპის სახელზე გზავნიან მოხსენებით ბა-

რათებს თავისი საქმიანობისა და საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მე-15 საუკუნეში ოსმალეთის მიერ ხმელთაშუა ზღვის სრუტეების—ბოსფორისა და დარდანელის ხელში ჩაგდების შედეგად, საქართველო დიდი ხნით მოწყდა ევროპის ქვეყნებს. მაჰმადიანურ სამყაროსთან პირისპირ დარჩენილი, საუკუნეების მანძილზე იბრძოდა ის მოზღვავებული მტრის წინააღდეგ.

მე-16 საუკუნეში მომხდარი რეფორმაციის შედეგად, კათოლიკურ ეკლესიას ევროპის ბევრი ქვეყანა ჩამოშორდა. ამის გამო ვატიკანის შემოსავალმა დიდად იკლო, კათოლიკური ეკლესია ცდილობდა ეს დანაკლისი აღმოსავლეთის ქვეყნებში ექსპანსიით აენაზღაურებინა. სწორედ ამ პერიოდში აგზავნის პაპი თავის მისიონერებს წინა აზიის იმ ქვეყნებში, რომლებთანაც იტალიელებს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ.

ევროპაში დაბრუნებული მისიონერები აქვეყნებდნენ წიგნებს, რომლებშიც აღწერდნენ ქართველთა ბუნებას, რწმენასა და ადათებს. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს იტალიელი პატრიციო დელა ვალე, რომელმაც დიდი თანაგრძნობა გაუწია სპარსეთში ტყვედწაყვანილ ქართველებს და განსაკუთრებით კი ქეთევან დედოფალს.

დელა ვალე იმდროისათვის საქართველოს საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა, თუმც აქ არასოდეს ყოფილა. საგულისხმოა, რომ მის კონსულტაციებს იღებდნენ საქართველოში მომავალი მისიონერები. ვალეს საშუალებით გაეცნო ევროპის საზოგადოება თავდადებული ქართველი დედოფლის ქეთევანის წამების ამბავს. რომის პაპმა საქართველოში გამოგზავნა თეათინელი ბერები, რომელთაგან, ერთი, ლამბერტი, ქართლის სამეფოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, სამისიონერო მოღვაწეობას სამეგრელოში ეწეოდა. ნეაპოლში დაბრუნებულმა ლამბერტმა 1649 წელს გამოაქვეყნა წიგნი—„სამეგრელოს აღწერა“, ხოლო, სამი წლის შემდეგ „წმინდა კოლხიდა“. დასახელებულ შრომებში ლამბერტი აღწერდა სამეგრელოსა და კოლხეთის ბუნებას, აქ დასახლებული ხალხის ცხოვრებას და აღნიშნავდა, რომ

მისი მიზანია, ხელი შეუწყოს იტალიასა და სამეგრელოს შორის სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებას.

მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის მეორე თეათინელ ბერსაც მარიო მაჯოს, რომელიც საქართველოში რვა წლის განმავლობაში ცხოვრობდა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ლათინურ ენაზე გამოაქვეყნა ქართული ენის გრამატიკა და სხვა შრომები.

თავის მხრივ, ქართველებიც მიემგზავრებოდნენ ევროპაში.

აღსანიშნავია ქართველი დიპლომატების მოგზაურობა ევროპის ქვეყნებში. ცნობილია, რომ მეფე თეიმურაზმა ნიკიფორე ირბახი, დიდად განათლებული და ერუდირებული პიროვნება, გაგზავნა რომის პაპთან, ესპანეთისა და საფრანგეთის მეფეებთან დახმარების სათხოვნელად სპარსეთ-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნ. ირბახმა მოიარა ევროპის ბევრი ქვეყანა (ესპანეთი, უნგრეთი, ბოჰემია, პოლონეთი, საფრანგეთი, ნეაპოლის სამეფო, ფლორენცია და სხვ.) და გააცნო ამ ქვეყნებს საქართველო. „მისი რომში დარჩენა,—წერდა მიხ. თამარაშვილი,—უნაყოფო როდი ყოფილა. გარდა იმ საქმისა, რისთვისაც იყო მისული, დიდად შეუწყო ხელი შედგენას ქართულ-იტალიური ლექსიკონისას, რომელიც რომში დაიბეჭდა. პაპს და კარდინალებს კარგად გააცნო საქართველო და მიუთხრა თეიმურაზ მეფის თავგადასავალი". *

ქართველი მეფე-მთავრები სულ უფრო მეტი ინტერესით ეკიდებიან დასავლეთის ქვეყნებს და ცდილობენ მათთან ეკონომიური და პოლიტიკური კავშირის დამყარებას. მნიშვნელოვანია ამ მხრივ ფრანგი მოგზაურის შარდენის ცნობები, საიდანაც ირკვევა, რომ მეფე ვახტანგ V შაჰნავაზს მისთვის შემდეგი უთქვამს:

„ძლიერ მსურს ევროპელები დაბანაკდნენ საქართველოში. თუ აღებ-მიცემისთვის მოვლენ ისინი, გავათავისუფლებ ყველა გადასახადისაგან და მივანიჭებ ყოველგვარ უპირატესობას, რასაც კი ისურვებენ. ევროპელები ინდოეთში მისვლა-მოსვლისთვის ვერ იპოვნიან ჩემს სახელმწიფოზე უკეთესს გზას.

---

* თამარაშვილი მიხ.—ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ. 1902, გვ., 95.

გარწმუნებთ, რომ თუ ერთხელ სცადეს ამ გზაზე წამოსვლა, მერე სხვა გზას აღარ დაადგებიან". *

ქართველი მეფეები დიდ მფარველობას უწევდნენ კათოლიკე მისიონერებსაც. მათ საქმიანობას თავისი ქვეყნის ბედს უკავშირებდნენ და მზად იყვნენ, „მთელ საქართველოში კათოლიკობა გაევრცელებინათ, ოღონდ-კი საფრანგეთ-ევროპის პოლიტიკური დახმარება მიეღოთ ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში". ** სწორედ ამაში მდგომარეობდა სულხან-საბა ორბელიანის მისია ევროპის ქვეყნებში, ამ პოლიტიკური მიზნით იყო ნაკარნახევი მის და სხვათა მიერ კათოლიკობის მიღება.

რა მიზნებით ხელმძღვანელობდნენ ევროპისა და, კერძოდ, ინგლის-საფრანგეთის პოლიტიკოსები საქართველოსადმი დამოკიდებულებაში?

მე-16 საუკუნის მეორე ნახევრამდე, იმის გამო, რომ მსოფლიოს დიდ სანაოსნო გზებს ესპანელები და პორტუგალიელები ფლობდნენ, ევროპის სახელმწიფოები გაცხოველებით ეძებდნენ ინდოეთისაკენ მიმავალ გზებს. ინგლისელებმა შეადგინეს სპეციალური პროექტი, რომლის მიხედვითაც საქართველოზე უნდა გაევლო სპარსეთისა და ინდოეთისაკენ მიმავალ სავაჭრო გზას. მე-16 საუკუნის 80-იან წლებში ინგლისელთა მიერ ესპანეთის ფლოტის განადგურებამ საგრძნობით შეცვალა ზღვაზე ესპანელთა ბატონობის მონოპოლია. ახლა ინგლისი დაეპატრონა დიდ ზღვებს. ძლიერი მეტოქის გამოჩენის გამო, საფრანგეთი აღმოსავლეთისაკენ მიმავალი სახმელეთო გზების ძიებაში იყო. ასეთ გზად მას თურქეთი-საქართველო-სომხეთი-ირანი მიაჩნდა.

მსოფლიოს ქვეყნებს შორის გაძლიერებულმა ვაჭრობამ ხელი შეუწყო აღმოსავლეთის ქვეყნების აღწერილობათა გავრცელებას. ევროპელი მკითხველი საზოგადოება დიდი ინტერესით ეკიდება მისთვის ნაკლებადცნობილი ქვეყნების ხალხთა ისტორიასა და მწერლობას. ევროპულ მწერლობაში ჩნდება აღმოსავლური სიუჟეტები, სადაც საკუთრივ ქართულ თემატიკაზე

---

* შარდენი—მოგზაურობა საქართველოში. თბ., 1935, გვ. 106-7.

** ბერძენიშვილი ნ.—XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მას საქ. და კავკასიის ისტორიისათვის. 1944, ნაკ. I, გვ. 175-6

შექმნილ ნაწარმოებებს ვხვდებით მე-17 საუკუნიდან. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია გერმანელი მწერლის ანდრეას გრიფიუსის (1616—1664) ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „ქართველი ქალი კათარინა, ანუ ნაცადი სიმტკიცე“,* რომელშიც გადმოცემულია სპარსეთის შაჰის მიერ წამებული ქართველი დედოფლის ქეთევანის ამტანობა და გასაოცარი სულიერი სიმტკიცე.

ქართველი ხალხის გმირულ წარსულზე მოგვითხრობს აგრეთვე ცნობილი ფრანგი მწერლის კლოდ პროსპერ ჟოლიო დე კრებილიონის (1674-1762) ტრაგედია „რადამისტი და ზენობია“, რომელიც 1711 წელს დაიდგა ფრანგულ სცენაზე.

1761 წელს, ვენეციაში დაიდგა სახელგანთქმული იტალიელი დრამატურგის კარლო გოლდონის ტრაგი-კომედია „მშვენიერი ქართველი ქალი“, ** რომლის თემა ისევ საქართველოს ისტორიიდან არის აღებული.

ქართულ თემაზეა დაწერილი მეორე იტალიელი დრამატურგის კარლო გოცის „გველქალაც“.

დიდი გერმანელი მწერალი ლესინგიც თავის შესანიშნავ კომედიაში „მინა ფონ ბარნჰელმი“ ქებათა-ქებას ასხამს ერეკლე მეორეს.

1864 წელს საფრანგეთში, ოპერეტის ერთ-ერთ თეატრში დაიდგა ჟაკ ოფენბახის ოპერეტა „მშვენიერი ქართველი ქალები“.

მე-19 საუკუნეში საგრძნობლად გაიზარდა საქართველოში მოგზაურ ევროპელთა რიცხვი, რაც, ძირითადად, ისევ პოლიტიკური მიზნებით უნდა აიხსნას. რუსეთ-საქართველოს მფარველობითმა ტრაქტატმა დიდი შეშფოთება გამოიწვია ევროპის ქვეყნებში. რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-სპარსეთის ურთიერთობის გამწვავებამ კავკასიაში ევროპელ მოგზაურთა ახალი ნაკადი მოიზიდა. ამ მოგზაურთა უმრავლესობა ან მისიონერები იყვნენ, ან სამხედრო სამსახურის ოფიცრები. ისი-

---

* იხ. ბიბიჩაძის სად. შრომა—„ანდრეას გრიფიუსი და მისი ტრაგედია საქართველოს დედოფალი კათარინა“, ქუთაისი, 1950.

** იხ. Орловская Н.—Грузинская тематика в творчестве К. Гольдони. თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები № 101, თბ., 1962 წ.

ნი სპეციალური დავალებით მოდიოდნენ კავკასიაში რუსთა სამხედრო პოზიციების შესასწავლად.

პირველი ევროპელი, რომელმაც საქართველოს ისტორია, ენა და მწერლობა სისტემატური მეცნიერული კვლევის საგნად გაიხადა, იყო ფრანგი მეცნიერი მარი ფელისიტე ბროსე (1802—1880). მან საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენა, ლიტერატურა და მრავალი შრომა მიუძღვნა ქართველთმცოდნეობის საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ბროსემ პროზად თარგმნა „ვეფხისტყაოსნის" შესავალი სტროფები და ცალკეული თავები. მისი წერილები საქართველოსა და ქართული ლიტერატურის შესახებ ხშირად იბეჭდებოდა ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებში: "Royal Asiatic "— და "Journal Asiatique".— ქართული ენის უკეთ დაუფლებაში მ. ბროსეს დიდი დახმარება გაუწია იმ მიმოწერამ, რომელიც მას პეტერბურგში მყოფ თეიმურაზ ბატონიშვილთან ჰქონდა. 1834 წელს მ. ბროსემ გამოაქვეყნა „ქართლის ცხოვრების" მის მიერ შესრულებული თარგმანი. მანვე თარგმნა და დასაბეჭდად მოამზადა ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი, გამოაქვეყნა ქართული ენის გრამატიკა და სხვა შრომები.

1836 წელს მ. ბროსე არჩეულ იქნა პეტერბურგის აკადემიის საპატიო წევრად. ერთი წლის შემდეგ კი იგი სამუდამოდ დასახლდა პეტერბურგში და ქართული ხელნაწერების საფუძვლიანი შესწავლა-გამოკვლევა დაიწყო. პეტერბურგის პერიოდი ყველაზე ნაყოფიერი ხანა იყო ბროსეს სამეცნიერო-მთარგმნელობით საქმიანობაში. სწორედ ამ დროს მუშაობდა ის ჩუბინაშვილის ლექსიკონის ფრანგული ნაწილისა და ვახუშტის გეოგრაფიის თარგმანზე, რითაც დიდი სამსახური გაუწია უცხოეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეს.

1847 წელს მ. ბროსე საქართველოს ეწვია. აქ მან გულდასმით შეისწავლა ისტორიული ძეგლები და პეტერბურგში დაბრუნებულმა, შეგროვილი მდიდარი მასალის საფუძველზე გამოსცა შრომა: „არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოში".

საქართველოსადმი ინტერესს იჩენს მეორე ფრანგი ორიენტალისტიც ჟ. მურიე *, რომელიც საქართველოში დავით და ეკატერინე დადიანების შვილების აღმზრდელად იყო მოწვეული. 80-იან წლებში ჟ. მურიე ოდესაში ასრულებდა კონსულის მოვალეობას, ხოლო შემდეგ ის თბილისში დანიშნეს ვიცე-კონსულად. 1884 წელს მურიემ საფრანგეთის სახალხო განათლების სამინისტროსა და მეცნიერებათა აკადემიის დავალებით შეისწავლა და აღწერა საქართველოს სიძველენი, ხალხური ხელოსნობისა და ხელოვნების ნიმუშები. მურიემ თბილისში დააარსა კავკასიაში პირველი ფრანგული ჟურნალი „ილუსტრირებული კავკასია“ „(Le Caucase Illustre“), რომელიც სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ისტორიას, ხელოვნებას, ლიტერატურასა და შინაურ ცხოვრებაზე. ამ ჟურნალმა, ზოგიერთი ნაკლოვანების მიუხედავად, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საზღვარგარეთელი მკითხველის მიერ ქართული კულტურის გაცნობის საქმეში. 1882 წელს პარიზში მურიემ გამოსცა ა. ცაგარელის „მეგრული ზღაპრებიდან“ ამოღებული რამდენიმე ზღაპრის საკუთარი თარგმანი. იმდროინდელი ქართული პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა ამ თარგმანს. **

1883 წელს მურიემ ოდესაში გამოაქვეყნა თავისი შრომა „სამეგრელო“, რომელიც ამ კუთხის შესახებ მდიდარ და მრავალფეროვან მასალას აწვდის უცხოელ მკითხველს. 1896 წელს მურიე აქვეყნებს წიგნს „ხელოვნება კავკასიაში“, სადაც ის იკვლევს ქართული ჭედურობის, ჭურჭლის, მხატვრობისა და არქიტექტურის ნიმუშებს. 1886 წელს მურიემ ფრანგულად გამოსცა ბროშურა „ზოთა რუსთაველი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა“. მურიეს ეკუთვნის აგრეთვე ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ ფრანგული პროზაული თარგმანიც, რომელიც 1899 წელს დაიბეჭდა „ილუსტრირებულ კავკასიაში“. 1887 წელს მურიემ გამოაქვეყნა წიგნი „არქეოლოგია კავკასიაში“.

---

* იხ. ფატი გოკიელის შრომა—„ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ფრანგულ თარგმნით ლიტერატურაში“, შრომა ხელნაწერის სახით ინახება თბილისის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში.

** „დროება“, 1882, № 105; „შრომა“, 1882 № 2,

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და მწერლობის ევროპაში გატანასა და პოპულარიზაციას დიდად შეუწყო ხელი გერმანელმა მწერალმა და პუბლიცისტმა არტურ ლაისტმა (1852—1927). მე-19 საუკუნის სამოციან წლებში გაეცნო და დაუახლოვდა ლაისტი გერმანელ პოეტ ბოდენშტეტს, რომელმაც ბევრი იმოგზაურა კავკასიაში, იყო თბილისშიც, და სამშობლოში დაბრუნებულმა გამოაქვეყნა წიგნი „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“, სადაც აღფრთოვანებით უმღერა საქართველოს.

ლაისტმა საქართველოდან გამოიწერა საპირო ლიტერატურა და ქართულის შესწავლას შეუდგა. 1884 წელს, ილია ჭავჭავაძის მოწვევით, არტურ ლაისტი საქართველოში ჩამოვიდა. ამავე წელს ლაიპციგის ერთ-ერთ ჟურნალში მან ქართული ლიტერატურის შესახებ გამოაქვეყნა წერილი „მივიწყებული ლიტერატურა“, ხოლო 1885 წელს—„საქართველო. ბუნება, ზნე-ჩვეულებანი და მცხოვრებნი“. 1887 წელს გერმანელი მკითხველი საზოგადოება ქართული პოეზიის ნიმუშებს გაეცნო არტურ ლაისტის წიგნით „ქართველი მგოსნები“, რომელშიც მთარგმნელმა მე-19 საუკუნის თორმეტი ქართველი პოეტის ნაწარმოებები შეიტანა. დედნიდან მნიშვნელოვანი გადახვევების მიუხედავად, ამ წიგნმა, როგორც უცხო ენაზე ქართული პოეზიის პირველმა ანთოლოგიამ, დიდმნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული მწერლობის საზღვარგარეთ გატანის საქმეში. ლაისტის წიგნის შესახებ გაზეთი „Breslauer Zeitung“-ი წერდა:

„ლაისტმა დიდი სამსახური გაუწია თავის გერმანელ თანამემამულეებს მით, რომ კარი გაუღო ქართული პოეზიისა, რომელიც დღეს აქამომდე უცნობი იყო... ყველასათვის, ვინც ჰეშმარიტად მოყვარულია ლიტერატურისა, წიგნი ლაისტისა მართლა სასიამოვნო განძი იქნება“ *.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, არტურ ლაისტი უფრო ახლოს გაეცნო ქართველი ხალხის ცხოვრებას და მალე ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის წახალისებითა და დახმარებით თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ (თეთრ ლექსად). თარ-

* „ივერია“, 1887, № 163.

გმანი მან 1889 წელს გამოსცა დრეზდენში. არტურ ლაისტის იმ მრავალრიცხოვან შრომებს შორის, რომლებიც საქართველოს მიეძღვნა, ყველაზე ღირსშესანიშნავია ვრცელი ნარკვევი „ქართველი ხალხი“. ეს შრომა უცხოელ მკითხველს ზოგადად აცნობს ჩვენი ერის ისტორიას, ლიტერატურას, ეთნოგრაფიასა და ხელოვნებას. საქართველოთი მოხიბლული ლაისტი სამუდამოდ დასახლდა თბილისში, სადაც 1906 წელს „კავკასიური გაზეთის“ (გერმანულ ენაზე) გამოცემა დაიწყო და ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილთან ერთად, აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაება.

საქართველოსა და ქართული კულტურისადმი ინტერესი გზას ინგლისშიც იკაფავს. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა მოვიხსენიოთ სასულიერო პირი, სოლომონ ცეზარ მალანი, რომელმაც შეისწავლა ქართული ეკლესიის ისტორია და 1886 წელს ლონდონში გამოაქვეყნა პლატონ იოსელიანის წიგნის „ქართული ეკლესიის ისტორიის“ საკუთარი თარგმანი, რომელსაც ბევრი საინტერესო შენიშვნა დაურთო. მომდევნო წელს მალანმა იმერეთის ეპისკოპოსს, გაბრიელის რჩეულ ქადაგებათა თარგმანი გამოსცა. თარგმანზე მუშაობის პროცესში მალანი იმდენად აღფრთოვანებულა ქადაგებათა ღრმა აზრითა და შთამაგონებელი ძალით, რომ გადაუწყვეტია პირადად დასწრებოდა ეპისკოპოსის ღვთისმსახურებას. ეს გადაწყვეტილება მას სისრულეში მოუყვანია, სწვევია ქუთაისს. *

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მალანი მუშაობდა შრომაზე „Notes on Proverbs“ (შენიშვნები იგავებზე), სადაც ბიბლიური ტექსტები ილუსტრირებულია აღმოსავლური წყაროებიდან და, კერძოდ, ქართულიდან აღებული ბევრი მაგალითით.

მეორე ინგლისელი, რომელიც დაინტერესდა, ქართველოლოგიით იყო ოქსფორდის უნივერსიტეტის სლავისტიკის კათედრის პროფესორი უ. რ. მორფილი (1834—1904), რომელიც საქართველოში ჩამოსვლამდე უკვე საკმაოდ კარგად იყო გათვითცნობიერებული ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებში.

---

* Lang D.— Georgian Studies in Oxford, Oxford Slavonic Papers, Oxford, 1953, p 117

თავისი მრავალრიცხოვანი შრომებით საქართველოს ისტორიის, ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ მორფილმა დიდად შეუწყო ხელი ევროპაში ქართულ კულტურაზე სწორი წარმოდგენის შექმნას. *

მორფილმა არტურ ლაისტის მეშვეობით დაამყარა კონტაქტი ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან და 1888 წელს საქართველოში ჩამოვიდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან ჟურნალ "Academy"-ში გამოაქვეყნა საინტერესო შრომა „ქართული ენა და ლიტერატურა", რომელშიც ცდილობდა მიეწოდებინა ინგლისელი მკითხველისათვის ცნობები საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და ენის შესახებ. საკუთარი დაკვირვებისა და მეცნიერული ხედვის საფუძველზე მორფილმა თავისებურად განსაზღვრა ქართული ენის ადგილი ენათა მრავალრიცხოვან ოჯახებს შორის. მორფილის კალამს ეკუთვნის შრომა, რომელიც მან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს მიუძღვნა, „Памятники грузинской старины в Св. Земле и на Синае", „Сведения и памятники грузинской письменности" და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა მორფილმა „ვეფხისტყაოსნისადმი". თავის სტატიებში ის ეხება პოემის აგებულებას, ვერსიფიკაციას, ხელნაწერებს და სხვა საკითხებს.

ქართული მწერლობის შესახებ უცხოეთის პრესაში სისტემატურად აქვეყნებდნენ წერილებს ინგლისელი მეცნიერი კონიბირი, ავსტრიელი ლიტერატორი ბარონ ზუტნერი და მრავალი სხვა უცხოელი, მაგრამ ამათგან ქართველი ერის წინაშე ყველაზე დიდი ღვაწლი ინგლისელ და-ძმას ოლიფერ და მარჯორი უორდროპებს მიუძღვით.

უორდროპებმა შეისწავლეს ქართველი ხალხის ისტორია, მწერლობა, ზნე-ჩვეულება და მიზნად დაისახეს, საქართველო ევროპელ მეცნიერთა შესწავლის სპეციალურ საგნად გაეხადათ. ცნობილია, თუ რა დიდი რეზონანსი ჰქონდა ევროპაში ინგლისელი დიპლომატის ოლივერ უორდროპის მიერ 1888 წელს ლონდონში გამოცემულ წიგნს „The Kingdom of Geor-

---

* ორლოვსკაია ნატალია, მორფილის შრომები ქართული ფილოლოგიის დარგში. „ცისკარი", 1964, № 6., გვ. 135.

gia“ (საქართველოს სამეფო), რომელშიც ავტორი მოუთხრობდა მკითხველს საქართველოს წარსულის, მისი ხელოვნების, ლიტერატურისა და მუსიკის შესახებ.

„კარგად განათლებულმა ხალხმაც კი მხოლოდ ის იცის,— წერდა ო. უორდროპი თავის წიგნში,—რომ საქართველო განთქმულია ლამაზი ქალებით, მაგრამ არავინ იცის სპარსეთის, ოსმალეთის, თუ რუსეთის მფლობელობაში არიან ეს მშვენიერი ქმნილებანი... ათასში ერთმა თუ იცის, რომ ქართველები და ჩერქეზები სხვადასხვა ხალხია...

საქართველოში განუზომელი მასალაა, რომელიც ჯერ სრულიად ხელუხლებელია. მთების მოყვარენი უკვე გააცნო ამ ქვეყანას მისტერ ფრეშფილდმა, სპორტულ თამაშობათა მოყვარენი—მისტერ უოლიმ. მხატვრებისათვის საქართველო სრულიად ახალი ასპარეზია, მაგრამ ყოველივე ამას აღემატება საქართველოს უმთავრესი ძალა და ეს ძალა თვით ქართველის ღირსებაა. ქართველი მარტო სახით კი არ არის სასიამოვნო სანახავი, ეს ხალხი ნამდვილად სანდომიანი ხალხია. ვისაც სურს თავი დააღწიოს სევდასა და მიზანტროპიას, იმაზე უკეთესს გზას ვერ იპოვის, რომ წავიდეს და იცხოვროს ამ მხიარულ, გულღია, პატიოსან და ალალ ხალხთან“. *

ოლივერ უორდროპის თარგმანებით გაეცნო ინგლისელი მკითხველი საზოგადოება „ვისრამიანს“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“, ** „წმ. ნინოს ცხოვრებას“ და „წმ. იაკობის ცხოვრებას“. ოლივერ უორდროპი აქტიურ ენათმეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდა. 1911 წელს ოქსფორდში მან გამოაქვეყნა ინგლისურ-სვანური ლექსიკონი, რომელიც, როგორც თვითონ აღნიშნავდა წინასიტყვაობაში, წარმოად-

---

* Wardrop O.—The Kingdom of Georgia. London, 1888 p. vi—vij

** ამ რამდენიმე წლის წინათ, საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმის შრომებში (თბ., 1958) გ. მიხელიძისა და კალანდაძის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში „ილია ჭავჭავაძის სტუმრები საგურამოში“, სადაც მარჯორი უორდროპის შესახებაა საუბარი, შეცდომაა დაშვებული. შრომის 38-ე გვერდზე ნათქვამია: „მ. უორდროპმა, გამოსცა „ცხოვრება წმ. ნინოსი“, „განდეგილი“ ილია ჭავჭავაძისა, „ქართული ხალხური ზღაპრები“ და „სიბრძნე სიცრუისა“ (ხაზი ჩემია ლ. თ.) „სიბრძნე-სიცრუისა“ თარგმნა და გამოსცა არა მარჯორიმ, არამედ მისმა ძმამ ოლივერ უორდროპმა.

გენს ერთგვარ ტრამპლინს ინგლისელთა მხრივ სვანური ენის შემდგომი შესწავლისათვის და უცხოელებს ყოველდღიური სასაუბრო ენისათვის საჭირო ლექსიკას აწვდის. ო. უორდროპს ეკუთვნის ოქსფორდის ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, რომელიც მან ცნობილ არმენოლოგ კონიბირთან ერთად გამოსცა 1913 წელს. ოლივერ უორდროპის ინიციატივითა და სახსრებით დაარსდა ოქსფორდში მარჯორი უორდროპის ფონდი, სადაც მრავალი უნიკალური ხელნაწერი და დასტამბული წიგნი ინახება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მასალები არ იძლევიან უცხოელების მიერ ქართველი ხალხის, მისი ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების შესწავლის დაწვრილებითსა და სრულყოფილ სურათს, ისინი, ზოგადად, მაინც მიგვითითებენ იმ საერთო ვითარებაზე, რომელმაც შეუწყო ხელი საქართველოსადმი მარჯორი სკოტ უორდროპის ინტერესის გაღრმავებას.

მარჯორი უორდროპის ურთიერთობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან

ქართული მწერლობის ნიმუშთა ცნობილი მთარგმნელი მარჯორი სკოტ უორდროპი დაიბადა ლონდონში, 1869 წლის 26 ნოემბერს ინგლისელი არისტოკრატის ოჯახში, გარდაიცვალა 1909 წლის შვიდ დეკემბერს, ბუქარესტში, დაკრძალულია სევენოუკში, ლონდონის მახლობლად.

მარჯორი უორდროპს თავისი დროისათვის ბრწყინვალე განათლება მიუღია. იგი თავისუფლად ფლობდა ექვს უცხო ენას: ფრანგულს, გერმანულს, რუსულს, რუმინულს, იტალიურს, ქართულს და მშობლიური ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა. მარჯორი უორდროპი ბევრს მოგზაურობდა. იგი წლების განმავლობაში ცხოვრობდა იტალიაში, საფრანგეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, კუნძულ ჰაიტზე, რუსეთში, რუმინეთში, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში და გულდასმით სწავლობდა ამ ქვეყნების ხალხთა ცხოვრებას, ლიტერატურასა და ისტორიას.

მარჯორი უორდროპმა განსაკუთრებული ყურადღება საქართველოსადმი გამოიჩინა. მან ქართული ენა და ლიტერატურა შესწავლის სპეციალურ საგნად გაიჩადა და ქართული ლიტერატურის ნიმუშთა ინგლისურ ენაზე თარგმნით, დიდად შეუწყო ხელი ინგლისში ქართული მწერლობის პოპულარიზაციის საქმეს. საქართველოსადმი ინტერესი მარჯორის მისმა ძმამ ოლივერმა აღუძრა. აი, რას წერს თვით მარჯორი უორდროპი ამის შესახებ:

„რამდენიმე წლის წინათ, ჩემი ძმის მიერ დაწერილმა წიგნმა (საუბარია ო. უორდროპის „საქართველოს სამეფოზე" ლ. თ.) პირველად გააღვივა ჩემი ინტერესი კავკასიისა და მისი მშვენიერი მკვიდრებისადმი". *

ჯერ კიდევ ინგლისში ყოფნისას დაიწყო მარჯორი უორდროპმა როგორც ძველი, ისე ახალი ქართულის შესწავლა. გულმოდგინე და მუყაითი შრომის შედეგად, იგი ისე მალე დაეუფლა ენას, რომ ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისურ ენაზე თარგმნას შეუდგა. მის ამ ცდას, რომელიც უმთავრესად, ენის შესწავლის მიზნით იყო ნაკარნახევი, იმთავითვე დიდი მოწონება ხვდა წილად. 1894 წელს, ლონდონში, ანტროპოლოგიური სკოლის ფუძემდებლის ი. ბ. ტეილორის წაქეზებით, მ. უორდროპმა ქართული ზღაპრების ინგლისური თარგმანი გამოაქვეყნა სათაურით „Georgian Folk Tales" (ქართული ხალხური ზღაპრები). ამასთან დაკავშირებით ინგლისური პრესის ფურცლებზე დაიბეჭდა სპეციალური რეცენზიები ქართული ზღაპრებისა და მათი ინგლისური თარგმანის შესახებ. რამდენიმე რეცენზია ქართულად უთარგმნიათ და, „ივერიაში" მოუთავსებიათ. მოგვყავს ნაწყვეტები ამ რეცენზიებიდან:

„ზღაპრები ყველა თანასწორი ღირსების არ არის, უმეტესი ნაწილი ამ ზღაპრებისა ჩვენთვის მთლად ახალია, ხოლო რამდენიმე კი ჩვენი სიყმაწვილის მეგობარია... ჩვენის აზრით საუკეთესო ზღაპრებია „მეფის ძე და ვაშლი", „ასფურცელა", „ჭრიჭინა და ჭიანჭველა" (იგივე რწყილი და ჭიანჭველა ლ. თ). ეს უკანასკნელი ჰგავს ჩვენს ზღაპარს The house that Jack built. ** თუმცა ქართული ზღაპარი სჯობია. საქართვე-

---

* Georgian Folk Tales. London. 1894. p. 4

** "The House that Jack Built" თავისი შინაარსით ქართულ „თხა და ვენახს" უფრო ჰგავს, ვიდრე „რწყილსა და ჭიანჭველას". საილუსტრაციოდ მოგვყავს ერთი სტროფი:

ინგლისური:	პწკარედი:	ქართული:
"This is the house	ეს არის სახლი,	მოდი, ვნახოთ ვენახი
That Jack built.	რომელიც ჯეკმა ააგო.	რამ შეკამა ვენახი?
This is the bread	ეს არის პური,	მიეულ, ვნახე, ვენახი,
That lay in the house	რომელიც იყო სახლში,	თხამ შეკამა ვენახი...
That Jack built..."	რომელიც ჯეკმა ააგო...	მოდი, ვნახოთ თხა...

ლო საოცნებო ქვეყანას ჰგავს და მის ყოველდღიურ ცხოვრების წვრილმანს ჩვენთვის რომანული ხასიათი აქვს". *

ლონდონის ჟურნალი "Saturday Review" წერდა: „ჯერ არ გამოცემულა წიგნი ასეთი მოხერხებით, როგორიც არის მისს მარჯორი უორდროპის "Georgian Folk Tales", გამოცემული ალფრედ ნეტის მიერ, რომლის გამოცემულ წიგნებსაც სწორედ ლამაზად ეწოდება „Grimm Library", ეს მშვენიერი მონოგრაფიაა საერო სიტყვიერებისა არაკების სახით დაწერილი კრიტიკული გამოკვლევისათვის და დიდად სახალისო საშრომი საქმეა. ამ წიგნს კიდევ ისა ჰხდის ძვირფასად, რომ ბევრი მეცნიერისათვის უცნობ ენიდგან არის გადმოთარგმნილი, რის გამოც წიგნი დიდად იზიდავს „Grimm Library"-ის ინგლისელ მკითხველების ყურადღებას.

Miss მარჯორი უორდროპს ქართულს საერო სიტყვიერებაში ძვირფასი საუნჯე უპოვია და თავის წიგნში მოუთავსებია, რაც ერთადერთი ახალი ამბავია ინგლისელ მკითხველებისათვის. ამ მიმზიდველ არაკების კრებულის სამი ნაწილი ქართლ-კახურ-მეგრულ-გურული არაკებისა, ერთმანეთისაგან განსხვავდება ხასიათითაც და წერის კილოთიც.

არსებითი განსხვავება არაკებში, როგორც სამართლიანად აღნიშნავს მთარგმნელი, არაფერია, რის მიზეზიც გეოგრაფიული მდებარეობა უნდა იყოს იმ ადგილებისა, სადაც არაკებია გაგონილი და ჰმოწმობს, რომ ბევრით ჰმსგავსებია ერთმანეთს აღმოსავლეთისა და დასავლეთის საერო სიტყვიერება". **

ჟურნალი "Athenaeum"-ი წერდა: „საინტერესო წიგნი დაიბეჭდა ამას წინათ: „ქართული ზღაპრები"—თარგმანი უორდროპისა. უორდროპი პირველია, რომელმაც დაბადა აზრი, რომ სახალხო ზღაპრები დიდად საინტერესოა და მის წიგნს ვინც წაიკითხავს, მართლაც, გულში მადლობა აღეძვრება მისდამი". ***

პროფ. მორფილი სიხარულით გამოეხმაურა „ქართული ზღაპრების" ინგლისურ ენაზე გამოსვლას. ის წერდა:

---

* „ივერია", 1894, № 247.

** „ივერია", 1894. № 234.

*** „ივერია", 1895, № 70.

„... დასაწყისი მშვენიერია... ინგლისური ენა თარგმანისა მეტად სადაა და უკრიმანჭულო და ძალიან უხდება შინაარსს. მით უფრო დიდის სიამოვნებით მივეგებებით ამ კრებულს, რომ იგი პირველი მაგალითია ქართულიდან გადმოთარგმნისა". *

„არა მარტო ინგლისელების ყურადღება მიიპყრო ამ ზღაპრებმა, არამედ ამერიკელებისაც. აი, მაგალითად, ნიუ-იორკის ერთ გაზეთში "Nation" 27 ქრისტეშობისთვის წარსული წლის ნომერში დაბეჭდილია რეცენზია ამ წიგნზედ".—** იუწყებოდა ქართული პრესა. რუსული პრესაც გამოეხმაურა უორდროპის თარგმანს. „Русская мысль"-მა გამოაქვეყნა სტატია „ქართული ზღაპრების" ინგლისური თარგმანის შესახებ.

თარგმანის საერთო მოწონებით წახალისებულმა მ. უორდროპმა თავისი შესაძლებლობანი ახლა პოეზიაში სცადა. მან 1894 წელს ლექსად თარგმნა ილია ჭავჭავაძის „განდეგილი" და ილიას ქართულ ენაზე მოსწერა წერილი, რომელშიც თარგმანის გამოქვეყნების ნებას სთხოვდა. აი, ეს წერილიც:

„მოწყალეო ხელმწიფევ!

ინგლისურად თარგმანი ვჰქმენ თქვენსა „განდეგილსა", რომელსა უკეთესისა ლექსისაა თქვენი მშვენიერი ენაში რომ მე ვკითხვე, და რომელსა ქონება ყველას მწერლობას დიდება უნდა იყოს.

მე დიდი სურვილი მაქვს გავუზიარო ჩემს თანამემამულეთ ის სიამოვნება, რომელიც მე ამ ლექსმა მაგრძნობინა. ამისთვის ვჰკადრებ თხოვნა თქვენი ნება ეს ჩემი თარგმანი გამოცემად.

ვსცადე სიტყვითი სიტყვითად მას გამოთქმა, მაგრამ ბევრი მისი მშვენიერება უნდა იყოს, საჭიროდ, დაკარგული უცხო თარგმანში.

ჩემი ძმა დიდი პატივი ქონდა, რაოდენიმე წელიწადნი უკან, ტფილისში, თქვენი გაცნობა ქმნა, და მე დიდი იმედი მაქვს რომ მეც მაგასთან მალე მოვალ საქართველოში, ქვეყანა, რომელკენ მე გულწრფელი სიყვარული ვჰგრძნებ, და სუ-

* „ივერია", 1895, № 298.

** „ივერია", 1895, № 20.

რვილი მაქვს რომ მერე მე შევჰძლებ პირ და პირ გამოთქმა უღრმესი პატივისცემა თქვენის ნიჭისათვის და დიდებულის მსახურობისათვის მიცემული თქვენგან ძველებურს მეფობას საქართველოსათვის.

მე ვარ, ბატონო, მომლოდინე ჩემთვის სასიხარულო ნებისა თქვენი პატივისმცემელი

Marjory Wardrop". *

მარჯორი უორდროპის ეს წერილი „ივერიაში" დაიბეჭდა. მას მოჰყვა ჩიორას (არტემ ახნაზაროვის) გამკილავი წერილი იმ ქართველი ქალების მიმართ, რომლებიც უკადრისობდნენ მშობლიურ ენას და პირველ პლანზე ყველაფერ უცხოურს აყენებდნენ. ჩიორა მკაცრი კრიტიკით გამოდის რუსიფიკაციის წინააღმდეგ და ქართველი ქალების სახით მთელ ქართველ ხალხს აქტიური მოქმედებისაკენ მოუწოდებს.

„ნეტა ეხლა რაღას იტყვიან ჩვენი ქალები? ძველად, ბალღმაც-კი იცის, წიგნის მცოდნენი ოჯახში ქალნი იყვნენ, ის მარად „ნეტარნი დედანი", რომელთაც მზითვადაც-კი ხელთნაწერი „ვეფხისტყაოსანი" მიჰქონდათ ხოლმე და ეს შეადგენდა მზითვის თვალსაჩინო ნივთეულობას. მას შემდეგ დრონი იცვალნენ, ძველებურმა დიდებამ თავისი ელფერი, თავისი ბრწყინვალება დაჰკარგა, მას შემდეგ „მწველელ ფურად გადავიქციეთ" თავი ჩვენი, „ის აღარ ვართ, რაც ვიყავით" და რაც ვართ, ის რომ აღარ ვიქმნეთ, დიდი სიკეთე იქნება ჩვენის ეროვნების თვითარსებობისათვის.

დიაღ, დაჰბერა ცხოვრების ახალმა სიომ და, როგორც პოეტი ამბობს, „ტკბილ-ტაროსი" შეგვეცვალა; ენა აირია, „ვეფხისტყაოსნის" ადგილი პოლ დე-კოკისა და პორსონ დე-ტერიალის რომანებმა დაიჭირა, ისიც გერმანულს ენაზედ დაწერილმა; ტკბილ ქართული ენა წაირყვნა, ჩვენმა ქალმა სხვა ფრად დაიწყო ჟღურტული, ქართული იუკადრისა, აითვალწუნა, ივანე „ვანიუხად" გადიქცა და მარიამი „მაშინკად". ამ ცხოვრების „გავანიუხებას" და „გატერენტიებას", რასაკვირველია, ის მოჰყვა, რაც მოსალოდნელი იყო. ქარ-

* საქ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ილიას არქივი ხელნაწერი № 30.

თულს ოჯახებში, მეტადრე ქალაქ ადგილას, სადაც უცხოთა გავლენას უფრო უკეთესი ნიადაგი ჰქონდა, ქართული ენა წაბორძიკდა, დაჩლუნგდა, დაბლაგვდა; ისევ არანასწავალ ქალთ თუ ჰნახავთ ტკბილის ქართულით, ისიც დროთა ვითარების გამო გადუხჭირებულით მოსაუბრეს, თორემ ნასწავლი ქალი სწავლასთან უეჭველად ქართულსაც ივიწყებდა. საკვირველი ის არის, რომ არც სცხვენოდათ დედა-ენის დავიწყება, თავ-მოსაწონებლად, საქებრად მიაჩნდათ, „განათლების ნიშნადა“ თვლიდნენ. ვისაც ესმოდა რამე და ჰგრძნობდა ამ სირცხვილს, ის კიდევ იმითი ჰმართლულობდა თავს, რომ სასწავლებელში არ გვასწავლიან ქართულს და საიდან ვისწავლიდითო.

ამ გასამართლებელს საბუთს რომ ფეხები მოკლე აქვს და სავლელი მანძილი მცირე, ეს ყველასათვის აშკარაა, რადგან ასეთს გარემოებაში ისე უნდა იყოს საქმე მოწყობილი, რომ საძირკველი ქართულს ენას თვით ოჯახშივე ჰქონდეს ჩაყრილი და ყმაწვილი ოჯახშივე სწავლობდეს დედა-ენას საფუძვლიანად და სავსებით. ეს გამართლება მოკლე-ფეხებიანი იყო, მაგრამ მაინც სიტყვის მასალად გამოიყენებდნენ ხოლმე და „მიზეზ-მიზეზ დოს მარილი“ მაინც აკლდა.

ეხლა კი ინგლისელმა ყმაწვილმა ქალმა Miss მარჯორი ვარდროპმა, ეს მიზეზიც, ეს თავის გასამართლებელი საბუთიც ჩამოართვა ჩვენს ქართველ ქალებს და ნეტა ვიცოდეთ, ამიერიდან „მიზეზ-მიზეზობას“ რაღა გაუწევს! ხომ წაიკითხეთ ამ ყმაწვილი ქალის წერილი, ილია ჭავჭავაძეს სახელზედ წარმოგზავნილი და შეუმოკლებლად დაბეჭდილი „ივერიის“ მე-191 ნომერში. წერილი კარგის ქართულით არის დაწერილი, ისეთი კარგის ქართულით, რომ ნეტა საქართველოს ყმაწვილმა ქალმა შესძლოს ასე დაწერა...

ეხლა რაღას იტყვით, ქალბატონო მშვენიერნო და არაშვენიერნო, ტურფანო და ჰაეროვანნო არსებანო?!

თუ ინგლისელმა ქალმა შესძლო ლონდონში, ქართულის ერთი სიტყვის გაუგონრადაც კი, ასე ლამაზად შესწავლა ქართულის ენისა, ნუთუ აქ, საქართველოში, თქვენ არ შეგიძლიანთ ქართული შეისწავლოთ, ის ენა, რომლის „ნანათიც“ ურწევია დედას თქვენი აკვანი, რომელიც დაბადებითგანვე ყურში

გაქვთ ჩაწვეთებული?! სდუმთ განა, სდუმთ, მაგრამ აქ დუმილი არა კმარა. მიჰბაძეთ ჩქარა თქვენს უცხოელ დას და თქვენც გაინთავისუფლეთ თავი სირცხვილისაგან და ჩვენს ქვეყანასაც ააშორეთ სირცხვილი.

საიდუმლოდ ერთ ამბავსაც გეტყვით: როგორც ყური მოვკარით, ქართველ ყმაწვილ კაცებს, რომელთაც მის მარჯორი უორდროპის წერილი წაუკითხავთ, გადაუწყვეტიათ, რომ არც ერთი ქართველი ქალი არ შევირთოთ, თუ საფუძვლიანად არ იცის ქართული ენაო. ეხლა რაღას იტყვით, არც ეს გასჭრის?" *—წერდა ჩიორა თავის სტატიაში.

ამ წერილმა იმდროინდელ არისტოკრატ ქალთა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ჩიორას წერილს მოჰყვა ბარბარე სულხანიშვილის პასუხი,** რომელშიც ის ჩიორას სახით მთელ ქართველ მამაკაცებს უსაყვედურებდა იმის გამო, რომ სწორედ მათ აიძულეს ქართველი ქალები დაევიწყებინათ მშობლიური ენა და „ვეფხისტყაოსანიც" უცხოური რომანებით შეეცვალათ. ამის მიზეზად ბ. სულხანიშვილი მიიჩნევდა იმ საზოგადოებრივ უუფლებო მდგომარეობას, რომელშიც ქართველი ქალები იყვნენ. სულ სხვაგვარი ალღოთი და ცხოვრების ღრმა ცოდნით არის დაწერილი ცნობილი ქართველი მწერალი ქალის ეკ. გაბაშვილის პასუხი, რომელიც მკითხველს ხიბლავს თავისი წინდახედულობითა და მომავლის ნათელი რწმენით. აი, რას წერს ეკ. გაბაშვილი:

„განსხვავება ჩვენს შორის,—მიმართავს ეკ. გაბაშვილი ჩიორას მოპაექრეს,—ის არის, რომ რაც მე მიმაჩნდა შეუძლებლად ქალების მხრივ მაშინ, კაცების დაუხმარებლად, ეხლა ისე აღარ არის. ეხლა ყოველ ყმაწვილ ქალს, თუ სრულიად ენერგიას მოკლებული არ არის, შეუძლიან თავისუფლად იმოქმედოს, უმაღლეს სწავლამდის მიაღწიოს, და სწავლით აღჭურვილი ადამიანი-კი ვიღასღა შეეპუება ეხლანდელს დროში. უმაღლესის სწავლით ფრთებ-შესხმული ქალი რადღა მოიხრის თავს მამაკაცის წინ: ინებე და (უწლოვანი შენი ქეიფის ნებაზედ) მონად ამიყვანეო.

---

* „ივერია", 1894, № 193.

** „ივერია", 1894, № 209.

ეხლა ქალებს მომეტებული უფლება გაქვთ, მომეტებული ღონე, კაცებს არ გეექელვინოთ (სწავლა ყველას ათანასწორებს) და საჭიროება მოითხოვს ქართველებისათვის, რომ წინაც გავუსწროთ. განა ქალები საუკეთესო მქადაგებელნი არ ყოფილან ყოველს კეთილის მოძღვრებისა ჩვენში? განა მრავალი მაგალითი არ არის ჩვენს ისტორიაში, რომ დედა-კაცს აღედგინოს ის, რაც დროთა ვითარებას დაეკციოს? განა ქართული ანდაზა არ ამბობს: „დედა-კაცის აგებული ღმერთმაც ვერ დააქციაო?".

მაშ კაცების კიჟინი მოყვრის რჩევად მიიღეთ, ახალგაზრდა ქალებო, და აასრულეთ ის ყველა ქართველის სურვილი, რომელიც ჩიორამ გისაყვედურათ, ქართველები იყავით გულით და ნუ გადაშენდებით იმ მიზეზთა ზეგავლენის წყალობით, რომელიც ჩვენს მოსწავლე ქალებს მართლა-და ამახინჯებს. ნუ ვინუგეშებთ თავს იმითი, რომ კაცებიც გადაგვარებულნი არიან.

დეე იმათ ჩვენ გვისაყვედურონ, ჩვენ იმათ ვუსაყვედუროთ და ერთმანეთის ჭიშპით საერთო საქმე, საერთო იდეალი, საერთო სურვილი უკეთ მოვაწყოთ, უკეთ ვაწარმოოთ". *

არა ნაკლებ საინტერესოა მარიამ დემურიას პასუხიც, რომელშიც მწერალი ქალი პირდაპირ მოუწოდებდა ქართველ ქალებს:

„ქართველი ქალები მტკიცე ხასიათითა და გრძნობით აღვიპურვნეთ და ვისაც რა აზრი გვაქვს ქართულ საზოგადო საქმის გასაუმჯობესებლად, იმ აზრს ვემსახუროთ, მტკიცედ დავიცვათ და არ დავემონოთ საზოგადოდ შედგენილს შემცდარს აზრებს...

ეხლა კი ვეცადნეთ ქალნიც და კაცნიც ყოველ საზოგადო საქმეში დავივიწყოთ პირადობა და და-ძმურად გავუწოდოთ ერთმანეთს ხელი..." * **

ქართული ენის დაცვის გამო გამართულმა ამ პაექრობამ გამოავლინა არა მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერი მხარეე-

---

* „იევრია", 1894, № 221.

** „იევრია", 1894, № 233.

ბი, არამედ მწვავედ დასვა ქალთა ემანსიპაციის მეტად მნიშვნელოვანი საკითხიც. ქართველ ინტელიგენტ ქალთა უმრავლესობა მიხვდა, რომ ურთიერთ ბრალისდადება და ერთმანეთის კიცხვა მხოლოდ უკან დასწევდა საერთო საქმეს, რომ საჭირო იყო ქართველობას შეერთებული ძალებით შეენარჩუნებინა და განემტკიცებინა თავისი ეროვნული მეობა.

„დროა, ვგონებ, გონებაზედ მოვიდეთ, გამოვფხიზლდეთ, მაიმუნურს ქცევას თავი დავანებოთ, ჩვენს ყოფა-ცხოვრებას ჩავუკვირდეთ და ისე გავიხადოთ საქმე, რომ საქებნი ვიყვნეთ და არა საკიჟინებელი და გასაკიცხნი“ * წერდა „ივერიაში“ ზემო-ქართლელი ქალი. **.

ილია ჭავჭავაძე, დიდად ნასიამოვნები იმით, რომ საქართველომ უცხოელის ყურადღება მიიპყრო, რასაკვირველია, დათანხმდა თარგმანის გამოქვეყნებაზე და საპასუხო ბარათიც დაუყოვნებლივ გაუგზავნა ინგლისელ მთარგმნელს:

„მოწყალეო ხელმწიფევ,

დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს „განდეგილს“ თქვენი ყურადღება მიუქცევია. სასახელოდ მიმაჩნია, რომ მოგიწადინებიათ და გადაგითარგმნიათ ინგლისურად. დიდებულმა ინგლისმა მეტად ცოტა რამ იცის ჩვენის უბედურის ქვეყნისა და დაობლებულის ერისა, რომელსაც ერთს დროს თავისი სახელოვანი წარსული ჰქონია, თავისი გმირნი, მეცნიერნი-მწერალნი და პოეტები ჰყოლია, და მათის მეოხებით გულდაგულ დახვედრია განათლების მტრებს—ბარბაროზებს.

ყოველს ქართველს თავ-მოსაწონებლად ექმნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულს ძმას ჩვენი ყველასაგან დავიწყებული ქვეყანა შეგყვარებიათ და მოგიწადინებიათ თქვენს ერს მისი ავი და კარგი აუწყოთ იმ სიყვარულით, რომელიც ასე ამშვენებს ადამიანს და გულისტკივილით, რომელიც დაუფასებელი ნუგეშია ბედისაგან ჩაგრულთათვის.

სასურველია, სახელოვანმა ერმა ინგლისისამ იცოდეს, რომ ამ ჩვენს პატარა ქვეყანაშიც საქმობს გონება და იძვრის

---

* „ივერია“, 1896, № 246.

** ზოგიერთი მკვლევარის აზრით ზემო-ქართლელი ქალი ელისაბედ ჩერქეზიშვილი უნდა იყოს.

გული, რომ აქაც აქვთ თავისი ნატვრა და თავისი იმედი, რომ აქაც არის წამება და წვალება უკეთესს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოებიან.

ყოველივე ეს ზედ დაჩნეული აქვს ჩვენს პატარა მწერლობას, რამოდენადაც გარემოება ნებას იძლევა. ამიტომაც გადაღება ინგლისურად ჩვენის მწერლობისა, გადაღებაა ჩვენის გულისცემისა, ჩვენის გულითადის ნატვრისა, ჩვენის ჭირისა და ლხინისა, ჩვენის გონების და გრძნობის ძალ-ღონისა საყოველთაოდ საცნობელად.

ამ მხრით თქვენი განათლებული და გულშემატკივარი მეცადინეობა ჩვენის გონების ნაწარმოებთა თარგმანისათვის დიდ სამსახურად იქნება მიჩნეული ყოველის ქართველისაგან და ჩვენს მადლობას სამზღვარი არ ექმნება.

ჩემი „განდეგილი“ მომირთმევია თქვენთვის, როგორც გენებოთ, ისე იმსახურეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ნაწერს თქვენზე უკეთესს პატრონსა და მფარველს ვერ ავუჩენდი.

გვპირდებით ჩვენში მობრძანებას, სიხარულით დაგვხდებით. იმედიც გვაქვს, რომ ჩვენი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოგაწონებთ და დაგანახვებთ, რომ იგი ღირსია თქვენი ყურადღებისა და სიყვარულისა.

უმორჩილესად გთხოვთ, წინადვე გვაცნობოთ როდის და რა გზით მობრძანდებით.

თქვენის მობრძანების სახარულით მომლოდინე და ღრმად-პატივისმცემელი

ილია ჭავჭავაძე“. *

1894 წლის 3 დეკემბერს მარჯორი უორდროპი თავის ძმასთან ერთად მართლაც ეწვია საქართველოს. ისინი რამდენიმე თვის განმავლობაში მოგზაურობდნენ და, ძირითადად, დასავლეთ საქართველოს გაეცნენ. ბათუმი-თბილისი-ქუთაისი-გელათი-მოწამეთა-ნიგოეთი-ჯუმათი-სუფსა-ოზურგეთი - შემოქმედი-ბათუმი—ასეთი ყოფილა მათი მარშრუტი. ქართველობა ყველგან დიდი სიხარულით ხვდებოდა უცხოელ სტუმრებს. ქართული პრესა ხშირად აქვეყნებდა წერილებს უორდროპე-

* საქ. ლიტ. მუზეუმი. ხელნაწერი № 1783-6.

ბის მოგზაურობის შესახებ. „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ კორესპოდენციას ოზურგეთიდან:

„ამ თვის 25 (1895 წლის იანვარი ლ. თ.) ოზურგეთში გვეწვიენ ინგლისელი სტუმრები და-ძმა უორდროპნი და ოცდაექვსში დაათვალიერეს შემოქმედის მონასტერი, მისი ძვირფასი დიდი სიმდიდრე და ხელოვნება—ხოლო 27 შემოვიდნენ ჩვენს წიგნის მაღაზიაში და წიგნთსაცავში, საიდანაც 10-12 მანეთის წიგნები წაიღეს, რომელიც თბილისში ვერ ეშოვათ.

მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს სიხარულს და აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როდესაც მშვენიერის ქართულით მითხრეს: „ახალ სენაკში და ოზურგეთში დაბეჭდილი წიგნები რაც გაქვთ, მოიტანეთო“. ჩვენი ქართველი „ბარიშნები“ და „დამები“ რომ შემოდიან მაღაზიაში, მეუბნებიან“: „აკაკის საჩინენიას“ შენს ტიპოგრაფიაში რატომ არ ბეჭდავო, ან კიდევ „ნოვო სენაკის“ ტიპოგრაფიაში უფრო „დახოდი“ გაქვს, თუ ოზურგეთისაშიო“ და სხვა.

აბა მოდი, და ამ დროს ნუ მოხვალ აღტაცებაში, როდესაც იმ შესანიშნავი და ჩვენზედ დიდად დაშორებულ სახელმწიფოთაგან, სადაც ხსენება ქართველისა არ არის, მოდის ადამიანი, რომელსაც თავისით შეუსწავლია ქართული ენა და მელაპარაკება ჩინებულის ქართული ენით—„ახალ სენაკისა და ოზურგეთის სტამბების გამოცემა მომაწოდეო“...

დღესვე იყო ოზურგეთის საზოგადოებისაგან გამართული სადილი ჩვენის იშვიათი სტუმრების პატივსაცემად, სადაც 80-ზე მეტი ქალი და კაცი დაესწრო და ბევრი გრძნობიერი სიტყვა წარმოითქვა...“ *

საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი მარჯორი უორდროპს გადმოცემული აქვს ნარკვევში—„შენიშვნები 1894-95 წლებში საქართველოში მოგზაურობის შესახებ“, რომელიც ოქსფორდის ბიბლიოთეკაში ინახება და მეტად საინტერესო მასალას შეიცავს.

ქვემოთ მოგვყავს ამ ნარკვევის თარგმანი, რადგან ვფიქრობთ, მკითხველი დაინტერესდება მ. უორდროპის შთაბეჭდილებით იმდენად, რამდენადაც საქართველოში მოგზაურო-

* „ივერია“. 1895, № 25

ბამ გარკვეული გავლენა მოახდინა მ. უორდროპის შემდგომ მთარგმნელობით მუშაობაზე და კიდევ უფრო გააღრმავა მისი თაყვანისცემა ქართველი ხალხისადმი.

„ერთ დილით, 1894 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში მარსელიდან ცამეტი დღის მოგზაურობის შემდეგ შევიტყე, რომ ჩვენი გემი ბათუმის ნავსადგურს უახლოვდება.

რიყრაჟი იყო და ქალაქი ბურუსში გახვეულიყო, მაგრამ დრო-და-დრო შორეული მთები მაინც გაიელვებდნენ.

ეს იყო ჩემთვის პირველი ხილვა ქვეყნისა, რომელსაც ხშირად ვიხატავდი ჩემს გონებაში—ღამის ჩვენებებსა თუ დღის ოცნებებში, მას შემდეგ, რაც გამეღვიძა ინტერესი საქართველოს უძველესი სამეფოს, მის მშვენიერ სანახაობათა, მისი მამაცი და ლამაზი მკვიდრების, მისი მდიდარი ლიტერატურისა და, ყველაზე მეტად, მისი სევდიანი, მაგრამ დიდებული ისტორიისადმი. ვნატრობდი იმ დღეს, როდესაც შევიძლებდი ვწვეოდი ადგილებს, რომელთა შესახებაც ბევრს ვკითხულობდი და ვფიქრობდი, სადაც, ალბათ, შევხვდებოდი იმ პოეტებს, რომელთა ნაწერებს ჩემთვის ბევრი სიამოვნება მოუნიჭებიათ.

საქართველო ჩემთვის ზღაპრული ქვეყანა იყო და სწორედ ახლა შევდიოდი ამ მომჯადოებელი ქვეყნის საზღვრებში.

მხოლოდ ერთ დღეს დავრჩით ბათუმში—ქალაქში, რომელიც ყოველ დღე იზრდება კომერციული თვალსაზრისით, მაგრამ მოგზაურისათვის ცოტა რამით არის საინტერესო. ბათუმში პირველად განვიცადეთ ის სტუმართმოყვარეობა, რომლითაც სახელგანთქმულნი არიან ქართველები, შევხვდით რამდენიმე საინტერესო პიროვნებას, რომლებმაც გულთბილად მიგვიღეს თავის ქვეყანაში. მეორე დღეს დავტოვეთ ბათუმი და მატარებლით წავედით თბილისისაკენ. შავი ზღვის გაყოლებით რამდენიმე მილი გავიარეთ და მივედით ჩაქვში, სადაც ამ ბოლო დროს ჩაის პლანტაციები გააშენეს.

გაოცებული დავრჩი, როცა სადგურზე მატარებლის შესახვედრად მოსულ თვალწარმტაც გურულთა შორის ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი ნაწნავიანი თორმეტიოდე ჩინელი დავინახე.

ბათუმიდან თბილისამდე მგზავრობამ კარგა ხანს გასტანა,

მაგრამ ეს უფრო სასიხარულოა იმ მოგზაურისათვის, რომელსაც საშუალება ეძლევა იხილოს წარმტაცი სანახაობა, თანდათან რომ იშლება მის თვალწინ. ღრუბლები გადაიწმინდა და მიწის მშვენების ულამაზესი სურათი წარმოგვიდგა: ერთმანეთს მისდევენ გორაკები, რომელთაც უძველესი ციხე-კოშკები ამშვენებენ; სუროთი შემოსილ მათ რღვეულ კედლებს წარსულ დღეთა მრავალი ლეგენდა შემოხვევია; ანკარა წყაროები, რომელთა წყალიც ხშირად შეღებილა გმირთა სისხლით; ჩრდილოვანი ტყეები, რომელთა დევთა შესაფერ სიღრმეში მხდალი ადამიანი ვერც კი შეჰბედავს; ხოლო შორს, ჩრდილოეთით, ყინულოვანი კავკასიონი, მარადი თოვლით შემოსილი მწვერვალებით... თითქოს ბუნებას ეღალატნა თავისი წესისათვის—ზამთარი იყო, მაგრამ ყველაფერი მწვანეში ჩაფლულიყო. ყველა დრო ერთად შერწყმულიყო, რომ სურათი უფრო ნარნარად ექცია—გაზაფხულს ლურჯი იების ხალიჩა დაეფინა იმ დროს, როცა ხეებს ჯერ კიდევ უხვად ფარავდა ზაფხულის ფოთლების სიმწვანე, შემოდგომის ნათელ ფერებს რომ ექიშპებოდა; შორს კი, ყინულოვანი მთის მწვერვალებიდან კრძალვით იმზირებოდა ზამთარი, რომელსაც ვერ გაებედნა ამ საოცარი ქვეყნის გაუდაბურება.

საღამოს ათი საათი იქნებოდა, როცა მცხეთაში შევედით, ძველ სამეფო დედაქალაქში, სადაც მეოთხე საუკუნეში წმ. ნინომ ქრისტიანობა იქადაგა და მეფე მირიანსა და მთელ საქართველოს მიაღებინა სარწმუნოება, რომლისთვისაც ასე მამაცურად იბრძოდა ივერიელი ერი.

მცხეთაში შევხვდით რამდენიმე კეთილშობილ ქართველს, რომლებიც შემოგვხვდნენ, რომ მოგვსალმებოდნენ და თან გაგვყოლოდნენ თავის დედაქალაქისაკენ. მათ შორის იყვნენ დიდი პოეტი თავადი ილია ჭავჭავაძე მეუღლით და დით და ეკატერინე გაბაშვილი, სახელგანთქმული მწერალი ქალი. მანძილი მცხეთიდან თბილისამდე მალე გავიარეთ და თერთმეტის ნახევარზე ჩამოვედით. დაღლილობას არ ვგრძნობდით, ვნანობდით მხოლოდ, რომ ეს სასიამოვნო მგზავრობა დასასრულს მიუახლოვდა.

თბილისი, სადაც სამი კვირა გავატარეთ, მომხიბლავი ქალაქია, როგორც აღმოსავლეთის, ეს დასავლეთის დამახასია-

თებელი ნიშნებით. ინგლისელებს გააოცებდა საუკეთესო ქართული ოჯახების ფუფუნება და დახვეწილი გემოვნება; გააკვირვებდა მაღაზიები გოლოვინის პროსპექტზე, რომელიც Regent Street—ს წააგავს. მეორეს მხრივ, თუკი ერთ საათს გაატარებთ აღმოსავლურ ბაზარში, ნახავთ შავგვრემან სპარსელებსა და ჰაიკის შვილებს, რომლებიც ფეხმორთხმულნი სხედან თავიანთ საქონელთან და გამვლელებს ეპატიჟებიან.

თბილისის საუკეთესო ხედები წმ. დავითის მონასტრიდან-მთაწმინდიდან და ბოტანიკური ბაღიდან იშლება. ამ უკანასკნელის სახელწოდების ისტორია მეტად უცნაურია: თავდაპირველად ქართველებმა მას ბატონის ბაღი უწოდეს, ვინაიდან იგი მათ მეფეს ეკუთვნოდა; როცა შემოვიდნენ რუსები, რომელთაც ქართული ენა არ ესმოდათ, „ბატონის ბაღის“ ნაცვლად მას „Ботанический сад“ უწოდეს და ახლა ის მართლაც ბოტანიკურ ბაღად იქცა. შენობათა სახურავები მეტწილად ბრტყელია, შეღებილია ლურჯად, ცისფრად და ძალზე ლამაზია. ციხე-სიმაგრე გადმოსცქერის ქალაქის შუაგულში მიმდინარე „მშვიდსა და მღვრიე“ მტკვარს. ყოველ გორაკს, ქალაქსა და დაბლობს ზემოდან გადაჰფენია ვარდისფერი ბურუსი, რომელიც ხედს მომჯადოებელ იერს აძლევს.

თბილისში ბევრი რამ არის საინტერესო. იქ არის რამდენიმე უძველესი ტაძარი. სიონი, რომელიც 445 წელს * მიეკუთვნება, უდიდესია მათ შორის. საკურთხევლის წინ დასვენებულია სუროს ორი რტოსაგან წმ. ნინოს თმით შეკრული ჯვარი, რომელიც მუდამ უწმინდესი რელიქვია იყო საქართველოში.

მეტეხის ციხე-სიმაგრის ეკლესიაც აგრეთვე მე-5 საუკუნეს მიეკუთვნება, იქ განისვენებს წმ. შუშანიკი, მეფის წამებული ასული, **

მუშტაიდი მშვენიერი ბაღია მტკვრის ნაპირზე, მიხეილის ქუჩის ბოლოში. აქ 1889 წელს მოეწყო კავკასიის გამოფენა და ძველი შენობები გარდაიქმნა მეაბრეშუმეობისა და მეფუტ-

---

* მ. უორდროპის ეს აზრი მცდარია. ყველა ქართული მატიანე სიონის აგებას მე-6-7 საუკუნეებს მიაწერს.

** ამ შემთხვევაში მ. უორდროპი ალბათ გადმოცემებით ხელმძღვანელობს.

კრეობის სკოლად, რომელსაც კარგად მოწყობილი მუზეუმი აქვს.

თბილისში რამდენიმე თეატრია და თბილისელები, ისევე, როგორც ყველა ქართველი, გართობის მოყვარულნი და გულმხიარულნი არიან. ქართული თეატრი ეროვნული დრამატურგების პიესებით საზრდოობს და მას მრავალი ნიჭიერი მსახიობი ჰყავს.

საქართველოში მრავალია მწერალი, რომელთა შორის ბევრია მწერალი ქალიც, რაც აღმოსავლეთისათვის უჩვეულო რამაა. უძველესი დროიდან მოყოლებული, ქართველი ქალები უდიდეს გავლენას ახდენდნენ მთელ ერზე; ეს, ალბათ, ქრისტიანობის ადრეულ მიღებას უნდა მივაწეროთ: მაშინ, როდესაც მამაკაცები მედგრად იბრძოდნენ ისლამის წინააღმდეგ ომებში, რასაც თავს ახვევდნენ საქართველოს, ქალები შინ იყვნენ, ასწავლიდნენ ბავშვებს წერა-კითხვას და ისეთ ხელოვნებას, რაც ზოგჯერ უცნობი იყო მამაკაცთათვის. ლიტერატურის უდიდესი ნაწილი ქალთა მეშვეობით გადაურჩა მივიწყებას. ისინი ეწაფებოდნენ თავიანთ უძველეს კლასიკოსებს, რომელთა უმრავლესობასაც ზეპირად სწავლობდნენ. ამ ქვეყანაში დღესაც მრავლად შეხვდებით ქალს, რომელიც ზამთრის გრძელ საღამოებს იმით კლავს, რომ შოთა რუსთაველის მშვენიერ ეპიურ პოემას „ვიფხისტყაოსანს“ კითხულობს ზეპირად. პოემა 6000 სტრიქონზე მეტს შეიცავს. ესაა სიყვარულისა და თავგადასავალის დიდებული პოემა, სავსე აღმაფრთოვანებელი ადგილებით, და მით უფრო გასაოცარია, როცა ვიხსენებთ, თუ რა ადრეა ის დაწერილი, დანტეს დაბადებამდე. თვით პოეტი ბევრ ადგილას ლაპარაკობს სქესთა თანასწორობაზე. მაგალითად, ხშირად ხმარობენ ციტატას „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. თანამედროვე ქართველი ქალები უძველეს ტრადიციებს იცავენ. თბილისში თქვენ შეხვდებით როგორც გაზეთის რედაქტორ, ასევე ლიტერატურულ თანამშრომელ ქალებსაც. მაგრამ ქართველი ქალები მარტო ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრების დროს როდი იყვნენ დახელოვნებულნი. სწორედ აქ იბრძოდნენ ამორძალები და დღესაც შემორჩენილა მრავალი თქმულება იმ საომარ, საგმირო საქმეთა შესახებ, ფუფუნებაში აღზრდილ ქართველ ქალებს

რომ ჩაუდენიათ. აბჯრით შემოსილ დიდ დედოფლებს თამარს და ქეთევანს არა ერთგზის წაუყვანიათ თავისი ჯარები სპარსელების წინააღმდეგ.

თბილისში სიამოვნებით გატარებული სამი კვირის შემდეგ, გადავწყვიტეთ ეწვეოდით ქუთაისს, იმერეთის სატახტო ქალაქს, რომელიც ქართლის დასავლეთით მდებარეობს. თბილისში ამ კუთხის სიმშვენიერის ბევრი ქება გვესმოდა და ჩვენც გვწყუროდა ის საკუთარი თვალით გვენახა. დავბრუნდით იმავე გზით, რომლითაც თბილისში მოვედით, რიონთან გადავსხედით სხვა მატარებელში და ოც წუთში ქუთაისში ვიყავით. სადგურზე დიდძალი ხალხი დაგვიხვდა, რადგან ჩვენმა კეთილმა თბილისელმა მეგობრებმა გვაიძულეს, ქალაქისათვის ჩვენი ჩასვლის დღე შეგვეტყობინებინა.

ქართველებს უყვართ სტუმარი. სტუმრის პატივისცემა მათი ერთ-ერთი პირველი ღირსებათაგანია. გარდა უცხოელისადმი მათი ბუნებრივი სიყვარულისა, ისინი განსაკუთრებით დაინტერესდნენ ჩვენით, რადგან ჩვენ ქართული ენა შევისწავლეთ და მათ სანახავად მოვედით.

გულითად და აღფრთოვანებულ შეხვედრებს გვიწყობდნენ ყველგან და ეს შეხვედრები გვინაზღაურებდნენ იმ დიდ ცდასა და მძიმე საათებს, რაც მათი ენისა და რთული ქართული ზმნის შესწავლას მოვანდომეთ. ქუთაისში ჩვენს პატივსაცემად დიდი წვეულება გამართეს და, რადგანაც ქართული ნადიმი ერთგვარად განსხვავდება ევროპულისაგან, მე მას აგიწერთ: ადგილობრივი მმართველობის მიერ გამოგზავნილი ეტლით წაგვიყვანეს გორაკზე მდებარე შენობისაკენ, რომელიც იმოდენა იყო, რომ თავისუფლად იტევდა ჩვენს პატივსაცემად მოსულ 150 კაცს. გაცნობის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ, შევედით სანადიმო დარბაზში, სადაც მაგიდები კედლების გასწვრივ და გარდიგარდმო იდგა. ჩვენ მთავარ მაგიდასთან ვისხედით, შუაში, თავადაზნაურობის მეთაურთან, ქალაქის თავთან და სხვა წარჩინებულ პირებთან ერთად, რომელთაც ცოლებიც ახლდნენ. სადილი კარგა ხნის დაწყებული იყო, როცა სუფრის მეთაური (ტოლუმბაში) აირჩიეს. მან ყველას შესთავაზა ჩვენი სადღეგრძელო. თვითეული მოხდენილი სიტყვებით მოგვმართავდა და სცლიდა სასმისებს. ამავე

დროს გვერდით ოთახში, ნაციონალური საკრავების თანხლებით, მომღერლებმა დააგუგუნეს ეროვნული სიმღერები— „მრავალჟამიერი“, „ღმერთმა ინებოს“ და საპასუხო „მადლობელი ვარ“. შეისვა ყველა იქ დამსწრისა და ინგლისში მყოფ ჩვენ ნათესავ-მეგობართა სადღეგრძელო და ადვილი გასაგებია, რომ ეს მართლაც განსაცდელი იყო ღვინის სმას შეუჩვეველთათვის, მაგრამ ქართველი კაცი თავაზიანი მასპინძელია და უცხოს შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც ესიამოვნება. მრავალი ქართული მელოდია იმღერეს. ერთმა მანდილოსანმა საუცხოოდ შეასრულა მომხიბლავი „ნანა“. ორი თუ სამი საათის შემდეგ დარბაზი გაათავისუფლეს ეროვნული ცეკვისათვის. გაკეთდა წრე და საკრავთა აკომპონიმენტს ყველამ ტაში ააყოლა. პირველად ექვსი წლის პატარა მშვენიერმა თამარმაიცეკვა თავის დედასთან, ულამაზეს თავადის ქალთან ერთად. ის მდიდრული ფარჩებით იყო შემოსილი, შემდეგ ჩერქეზულ ტანსაცმელში გამოწყობილი ვაჟი მოქნილი რხევით მიუახლოვდა ქალს და ხელის შესაბამისი მოძრაობით გამოიწვია. ცოტა თხოვნის შემდეგ ქალი დათანხმდა და დაიწყო ნარნარ მოძრაობათა მთელი სერიები. თეთრად შემოსილ ქალს ერთი ხელი თავს ზემოთ აეწია, მეორე—მხრის გასწვრივ გაეშალა და თავისუფალი მიხვრა-მოხვრით თითქმის შეუმჩნევლად მისრიალებდა. უკან მას მდევარი მიჰყვებოდა. ქალი ხან შეჩერდებოდა, სანამ ვაჟი მის გარშემო ტრიალებდა, ხან კი ისე ჩაუქროლებდა დარბაზს, თითქოს ამ გულმოდგინე მთხოვნელისაგან თავის დაღწევას ლამობდა. ქალი ხანდახან თავს მიიბრუნებდა ვაჟისაკენ და ვაჟიც ცდილობდა დასწეოდა, მაგრამ ამაოდ, ახლა ქალი უკან იხევდა. ქართული ცეკვა შეიცავს მოძრაობათა მთელ პოეტურობას, იგი გვარწმუნებს, რომ ცეკვა ხელოვნებაა, სავსებით განსხვავებული მოუხეშავი, თავბრუდამხვევი სამეჯლისო ვალსისაგან. როცა დაიღალნენ, ერთი წყვილი მეორემ შეცვალა. დამსწრენი ტაშისკვრას განაგრძობდნენ.

ჩვენ იმერეთში ვართ, რომანტიულ ქვეყანაში. აქ, ქუთაისში, უძველეს ქუთაისში, კოლხეთში, რიონის ჩრდილოეან ტყეებს შორის მოსულა იაზონი ოქროს საწმისის საძებრად. აქ ჰპოვა მან ის განძიც—რომელსაც დიდხანს ეძებდა და

აქვე ჩასჩურჩულებდა სიყვარულის ზღაპრებს მშვენიერ ჯადოქარ მედეას.

აი, იქ უფატრავდა გულს ზევსის სასტიკი ბრძანებით კლდეზე მიჯაჭვულ პრომეთეს ზეცის ფრთოსანი ძაღლი. მრავალი ძველი ლეგენდა შემოუნახავს გლეხთა მეხსიერებას. ერთი მათგანი არის ლეგენდა ამირანის შესახებ, რომელიც სხვა არა არის რა თუ არა კლასიკური მოთხრობა პრომეთეს შესახებ. მედეა და იაზონი დღემდე საკუთარ სახელებად იხმარება საქართველოში და თქვენ შეხვდებით ტელემაქს, იუნონას და ვენერასაც კი ამ საინტერესო ქვეყნის ლამაზ მკვიდრთა შორის.

ქუთაისი ერთ-ერთი საინტერესო ქალაქია. მას საუცხოო მდებარეობა აქვს. იგი მკერდზე ეკვრის რიონის დაბლობს, რომელსაც გარს ყოველი მხრიდან მაღალი მთები აკრავს. ქალაქს ბაგრატის ტაძრის ნანგრევები გადმოჰყურებს, ცოტა მოშორებით კი, ტყით დაფარულ გორაკზე ჩიტის ბუდესავით მოჩანს გელათის მშვენიერი თეთრი ტაძარი.

ჰაეა სასიამოვნოდ გრილია ზაფხულში და რბილი – ზამთარში.

ქუთაისში ყოფნისას დრო უქმად როდი დაგვიკარგავს. მეორე დღეს ეტლით წავედით გელათის ეკლესიაში, რომელიც მეფე დავით აღმაშენებლის მიერაა აგებული მე-11 საუკუნეში. მეტად ძნელად სავალი გზა რიონის კლდოვან ნაპირებს მიჰყვება და საუცხოო სურათებს გვიხატავს. როგორც იქნა, თანდათან ჩამოვედით ციცაბო კლდეზე და გელათს მივადექით. გელათის შესახებ აღტაცებით წერს ბევრი ქართველი პოეტი და მართლაც ლამაზი ადგილია, შემკული მდელოებითა და ტკბილსურნელოვანი ყვავილებით. აქ არის ადრეული ხანის შენობა, * სადაც მარხია მეფე დავითი—გიგანტური ძალისა და აგებულების მონარქი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა თავისი ქვეყნისათვის ახალი ძეგლების აგებისა და ძველის აღდგენის საქმეში. არსებობს გადმოცემა, რომ

* სინამდვილეს არ შეეფერება ის აზრი, თითქოს ის შენობა, სადაც დავით აღმაშენებელია დაკრძალული, გელათის ძირითად შენობაზე უფრო ადრეული იყოს.

მას თვით აუტანია ერთ-ერთი ქვა ეკლესიის ასაგებად. ეს უზარმაზარი ლოდი დღესაც კედელშია გამოშვერილი. დავითის საფლავის ქვაზე წარწერილია სიტყვები:

„როს ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნიე პურად დამესხეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღუართა იქით გამესხეს...“

დავითის შვილთაშვილი იყო ბრწყინვალე დედოფალი თამარი, რომლის მეფობა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის ოქროს ხანაა. ზოგი ფიქრობს, რომ ისიც აქვე უნდა იყოს დაკრძალული. ტაძარში ბევრი ძვირფასი რელიქვიაა. მათ შორის არის მე-6 საუკუნის ბერძნული ხელნაწერი... აქ შემორჩენილა ხახულის ღვთისმშობლის ხატი, რომლის შესახებ შემდეგი ლეგენდა არსებობს: როდესაც ქრისტეს სიკვდილის შემდეგ, წმ. ანდრია პალესტინას ტოვებდა და კაეკასიონისკენ მოეშურებოდა, ღვთისმშობელმა სამოსი სახეზე მიიდო, ხედ თავისი სახის გამოსახულება აღბეჭდა და შემდეგ მოციქულებს გადასცა. წმ. ანდრია სწორედ იმ დროს ჩამოვიდა საქართველოში, როცა დედოფალს პირმშო გარდაეცვალა. როგორც კი სამოსით შეეხენ მიცვალებულს, იგი მაშინვე აღსდგა. ამის შემდეგ ქრისტიანობა ბევრმა მიიღო, მაგრამ წარმართ ქურუმებს ანდრიას სასწაულებისა არაფერი სწამდათ და ძალის გამოსაცდელად მიიწვიეს. ველზე აღმართულ კარავში ერთ მხარეს წმინდა ხატი დაასვენეს, მეორეზე—ადგილობრივი კერპები, დილით კერპები დამხობილი დახვდათ, სასწაულმოქმედი ხატი კი უძრავად იდგა. ეს სასწაული ხალხის მოქცევის საშუალებად იქცა, ხოლო სასწაულის ადგილას ეკლესია ააგეს. წმინდა გამოსახულება აქვე ინახებოდა, სანამ მაჰმადიანთა შემოსევების გამო, ქართველებმა არ გადამალეს. ახლა ის გელათში ინახება თვალმარგალიტით მოოქვილ ძვირფას ყუთში. ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენად მართალია ეს გადმოცემა, მაგრამ ერთი რამ უდაოდ ცხადია: ვინაიდან ეს წმინდა ხატი ადრეული ხანის ზოგ მწერალთან მოიხსენიება, უეჭველად უძველეს დროს უნდა ეკუთვნოდეს. თვით ეკლესიას ბიზანტიური ჯვრის ფორმა აქვს; თაღზე კარგადაა შემონახული მოზაიკა ღვთისმშობელი უფლისწულით და მოციქულები – მიქაელი და გაბრიელი. ეს მო-

ზაიკა ალექსი კომნენს უჩუქებია დავით აღმაშენებლისათვის*: აქვე ინახება დარუბანდის** ერთ-ერთი უძველესი ალაყაფის კარები, რომელიც მოწმობს, რომ იგი 1063 წელს ყოფილა გაკეთებული. მეორე კარს, როგორც გადმოგვცემენ, ეკლესიის სახურავზე გადასაფარებლად ხმარობდნენ.

იანვარი იყო, მაგრამ გარეთ, სუროს ფოთლების ჩრდილში ვისაუზმეთ. ცაზე არც ერთი ღრუბელი არ ჩანდა. თუმც შუა ზამთარი იდგა, ჰაერი ისეთი გამჭირვალე იყო, როგორიც იტალიაში იცის ხოლმე მაისის თვეში.

გელათიდან სამი მილის მოშორებით მდებარეობს მოწამეთას (წამებულთა ადგილი) მონასტერი, რომელიც მე-11 საუკუნეში აუგია ბაგრატ დიდს. მონასტერი ხიდით უკავშირდება გარე სამყაროს. კლდე, რომელზედაც აღმართულია შენობა ნახევარკუნძულს წააგავს. ხეებითა და სუროთი დაფარულ კლდეს ჩამოუდის სწრაფი წყალწითელა (ასე უწოდებენ მდინარეს, ვინაიდან ნიადაგის ქანების გამო წითლად იღებება). ამაზე უფრო უდაბურსა და განმარტოებულ ადგილს ძნელად თუ წარმოიდგენს ადამიანი. აქ განისვენებს დავითი და კონსტანტინე, ორი ქართველი წმინდანი. გადმოცემის მიხედვით, მტრებთან ბრძოლაში მათი სისხლით შეღებილა მდინარის ტალღები და ამიტომაც დაურქმევიათ ამ მდინარისთვის „წყალწითელა". სიკვდილის წინ გმირებს უთხოვიათ ღვთისთვის, რომ მათი სხეული გაუხრწნელად შეენახა და მათთვის კი განმკურნებელი ძალა მიენიჭებინა. დღესაც ბევრი გადმოცემა არსებობს იმ სასწაულების შესახებ, რაც მათი შეხებით ხდებოდა.

იმერეთის ახლანდელი ეპისკოპოსი თუმც მთლად თმადათოვლილი მოხუცია, მაგრამ მისი ძლიერი გავლენა არასოდეს განქარდება. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, ორ ტომად, რომელიც გამოირჩევა ჰუმანიურობით, ენის დახვეწილობითა და აზრის დიდებულებით, თბილისში გამოქვეყნდა და მას

---

* გელათის მოზაიკა წმინდა ქართული მოზაიკაა, შესრულებული 1125-30 წლებში.

** დარუბანდის კი არა, განძის კარია დავით აღმაშენებლის შვილის დემეტრე I-ის მიერ წამოღებული განძის აღების შემდეგ.

შემდეგ ბევრჯერ ხელახლა გამოიცა. აწ განსვენებულმა მალანმა ამ ქადაგებათაგან ზოგიერთი ინგლისურად თარგმნა.

არასოდეს დამავიწყდება ჩვენი სტუმრობა გაბრიელ ეპისკოპოსთან. ის თავის სამუშაო ოთახში იჯდა. მნახველი გულდამშვიდებით ვერ შეხედავდა მისი მშვენიერი ცხოვრების დაისს. თმა თოვლივით გათეთრებოდა, თვალებსაც დაკარგოდათ ახალგაზრდული ცეცხლი, მაგრამ მის დახვეწილ ნაკვთებში გამოსჭვიოდა კმაყოფილების მშვიდი გამომეტყველება, რაც იმ სიცოცხლის დასასრულზე მეტყველებდა, რომლის განმავლობაშიც ის ხალხს მხოლოდ სიკეთისაკენ მიუძღოდა.

მან აივანზე გაგვიყვანა და დიდი აღფრთოვანებით გვაჩვენა მრავალი საინტერესო საგანი ბუნების ამ მომხიბლავ წიაღში.

გაბრიელ ეპისკოპოსის სასახლიდან ქვის სროლის სიშორეზე დგას ბაგრატის ტაძრის ნანგრევები. სასახლე 1032 წელს აუშენებია ბაგრატ მეფეს, 1090 წელს კი ის თურქებს გაუნადგურებიათ. * აქ ბევრი ქართული წარწერაა, ერთ-ერთი წარწერა მიგვითითებს ამ შესანიშნავი ნაგებობის შემქმნელზე. ეკლესია ქართულ-ბიზანტიურ სტილშია. შიგნით მრავლადაა ამოჩუქურთმებული ქვა. შენობა გარშემორტყმულია უძველესი კედლის ნანგრევებით—მხოლოდ ესღა დარჩენილა დიდებული ნაგებობიდან.

ქუთაისის დღევანდელი მკვიდრნი სიამაყით მიგვითითებენ თავისი ქალაქის ადრინდელ საზღვრებზე, რომელიც ბაგრატის სასახლიდან რიონის მარცხენა ნაპირებამდე ვრცელდებოდა. ამბობენ, რომ ქალაქი ადრე 100 000 მცხოვრებს ითვლიდა, ახლა კი 20 000 ძლივს არის.

ქუთაისელებს დავპირდით, რომ კვლავ დავბრუნდებოდით, დავტოვეთ იქაურობა და ჩვენს თავაზიან მასპინძლებთან ერთად ვეწვიეთ თავად მაჭუტაძის მეუღლეს ნიგოეთში. ეს ქალი ინგლისელია, თავისი სიკეთისათვის დიდად პატივცემული. იგი დღენიადაგ ზრუნავს თავის გლეხებზე, გულისხმიერი ადამიანია და გლეხობაც ავადმყოფობისა თუ გასაჭირის დროს,

* ბაგრატის ტაძრის მშენებლობა დამთავრებულა 1003 წელს, ხოლო, 1691 წელს დაუნგრევიათ ის თურქებს.

მას ხშირად მიმართავს რჩევისა და ნუგეშისათვის. მისი შვილები ისევე თავისუფლად ლაპარაკობენ ინგლისურს, როგორც ქართულს. მაჭუტაძეები დიდი სტუმართმოყვარეობით გაგვიმასპინძლდნენ. ნიგოეთიდან ექსკურსიაზე წავედით ჯუმათში. ჯუმათის მონასტერი მაღალ მთაზე მდებარეობს, იქ დაკრძალულია გურიის ზოგიერთი მმართველი, თუმც იანვრის დასაწყისი იყო, ყველგან გაშლილიყო შხამას, ენძელებისა და ფერისულების წარმტაცი ხალიჩა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა სილამაზით შხამას ყვავილები მათი მკრთალი ყვითელი ფერი ვარდისფერში იღვრებოდა. დაბლობში გზებსა და ბილიკებზე ხუთი მილი რომ გავიარეთ, აღმართი დაიწყო. მთებში ორი საათის სიარულის შემდეგ, პანორამა თანდათან გაფართოვდა.

ჯუმათი მდებარეობს ჩოხატაურის მთების ჯაჭვის ერთერთ შტოზე; იგი რიონის აუზს გამოჰყოფს სუფსისაგან, ზღვის დონიდან დაახლოებით 1644 ფუტის სიმაღლეზეა და ერთ-ერთ უმაღლეს მთას წარმოადგენს. მთების ხედს ჯუმათიდან რომ იშლება, არაფერი შეედრება: ჩრდილოეთით გადაჭიმულია კავკასიონის მთების მთავარი ჯაჭვი, რომლის ყოველი ყინულოვანი მწვერვალი მკაფიოდ იხატება ლაჟვარდ ცაზე; ამ მთებს შორის მდებარეობს ენგურის, ხობის, რიონის, წყალწითელას მდიდარი ველები; აღმოსავლეთით, ქართლ-იმერეთის ქედია აღმართული, სამხრეთით—თოვლით დაფარული აჭარა-ახალციხის მთები, რომლებიც კედელს უქმნიან გურიის მობიბინე მდელოებს; ქვემოთ მოჩანს ბათუმის ყურე და ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს ეს მშვენიერი ნაპირი ტრაპეზუნდამდე გრძელდება. დასავლეთით შორეულ ბურუსში ინთქმება შავი ზღვის სანაპირო თავისი ყურეებით. კარგად ჩანს პალიასტომის ტბასთან მდებარე ფოთიც.

ჯუმათში გაგვიმასპინძლდა მამა არსენი, სათნო, უბრალო, კეთილი ბერი —დამკვიდრებული სიმარტოვის გუშაგი. მან გვიჩვენა ყველაფერი, რაც კი საინტერესო იყო. უწინდელ დროში მონასტერი ძალიან მდიდარი ყოფილა, რადგანაც ეპარქიის კათედრას წარმოადგენდა. იქ დღესაც ბევრი მშვენიერი ხატია დაცული. ოცი წლის წინათ მონასტერი ნაცრისფერი ქვით მოუპირკეთებიათ.

ჯუმათიდან წავედით სუფსაში, სადაც ორი დღე გავატა-

რეთ გურიის თავადის რეზიდენციაში. ეს თავადი მე-19 საუკუნის დასასრულამდე მართავდა მთელ პროვინციას. მთავრის ოჯახი ყოველმხრივ შესანიშნავია. მის წევრთა გარეგნობა მეტად განსხვავებულია. სხვა დამახასიათებელ თვისებათა შორის აღსანიშნავია მათი საუცხოო ხუჭუჭი თმა. გურული იშვიათად ატარებს ქუდს, რადგან თმა კარგად იფარავს მას ზამთრის სიცივისა და ზაფხულის სიცხისაგან. მისი განსაკუთრებით სწორი და დახვეწილი ნაკვთები გასხივოსნებულია ისეთი გამომეტყველებით, რომელშიც ჩანს ინტელექტიცა და დაუცხრომელი სულიც.

ერი რომ მეომარი ყოფილა, ამას ყველა შეამჩნევს და უთუოდ ირწმუნებს იმ უამრავ ამბებს, რასაც გადმოგვცემენ მისი სიმამაცის შესახებ. გურიამ ქვეყანას მისცა ქართველ პოეტთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო—მამია გურიელი, რომელიც დაახლოებით 1892 წელს გარდაიცვალა. მთელი ქვეყანა იცნობს მის ლექსებს, თუმცა ყველა მათგანი დასტამბული არ ყოფილა. ტელემაქ გურიელი—ოჯახის ახლანდელი უფროსი, მშობლიური ლიტერატურის დიდი ენთუზიასტია.

სუფსაში ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მრავალი თავადი და თავადის ქალი მოვიდა ინგლისელი სტუმრების სანახავად. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ქალთა ჩაცმულობაზე, აგიწერთ სამოსს, რომელიც კარგი აღნაგობის ყმაწვილ ქალს ეცვა.

მდიდრული აბრეშუმის „სადედოფლო“ მოლისფერი კაბის თეთრი გულისპირი ოქროთია ამოქარგული. წელიდან ფეხებამდე ჩამოშვებულია ოქროთივე ნაქარგი თეთრი ქამარი. ქალის შიშველ ყელს ამკობს ძვირფასი ყელსაბამი. სახელოები იდაყვს ქვემოთ თავისუფლად იშლება. ქართველ ქალთა თავსამკაული შემდეგია: ძვირფასი ქვებით შემკულ და აბრეშუმის ძაფით ამოქარგულ ჩიხტს იხურავენ შუბლზე; ჩიხტი კეფას სწვდება; აქედან მხრებზე ეშვება მაქმნიანი ლეჩაქი. თმა უკან ორ ნაწნავადაა დაწნული, წინ კი ორ კულულად ივარცხნება. გურული თავსამკაული წარმოადგენს შავი ან თეთრი ბაბთის თავსაბურავს. თმა გრძელ ნაწნავებადაა ჩამოშვებული. ორივე ეს თავმორთულობა მეტად ლამაზია. გურული თავსამკაული ქალს ახალგაზრდულ იერს აძლევს, ქართ-

ლური კი უფრო დარბაისლურია. ეს ალბათ ამ სხვადასხვა პროვინციების მცხოვრებთა ხასიათს შეეფერება: ქართლელი სერიოზულია და დაფიქრებული, გურული კი მკვირცხლი და მხიარული.

სუფსიდან ოზურგეთისაკენ, გურიის დედაქალაქისაკენ გავეშურეთ. ქალაქი პატარაა. ძლივს აღემატება დიდ სოფელს. მისი მკვიდრნი დიდ ინტერესს იჩენენ ლიტერატურისადმი, აქვთ თავისი საბეჭდი მანქანა და მრავალ საყურადღებო წიგნს აქვეყნებენ.

ვეწვიეთ უძველეს ათაბაგთა (ახალციხის განმგებელთა) ჩამომავალს, რომელმაც დიდი სიხარულით მიგვიღო. ოზურგეთიდან წავედით შემოქმედის მონასტერში, რომელიც მდინარე ჭუჭის პირას მდებარეობს და, სხვა ძველ მონასტერთა მსგავსად, წინათ გამაგრებული ციხე-სიმაგრე ყოფილა. მონასტერს თურმე დიდძალი მიწა ეკუთვნოდა და მთელი გურიაც მას ემორჩილებოდა. ტაძარი ორნავიანია, განათებულია რვაკუთხოვანი თაღებით. შენობა აგურისაა, გარედან დროთა ვითარებაში ძალიან შელახულა. აქვეა გურიელთა სამარხებიც.

მოძღვარმა ამბროსიმ, მაღალმა, მომხიბლავმა ქართველმა, გულთბილად მიგვიღო. მეორე დღეს შემოგვითვალა, სადილად ვწვეოდით. ჩვენც წავედით და მხიარულად გავატარეთ დრო.

ოზურგეთიდან გამგზავრებისას ქალაქმა გამოსამშვიდობებელი წვეულება გაგვიმართა კლუბში და მე არასოდეს დამავიწყდება ამ კეთილი გურულების ენთუზიაზმი და საუკეთესო სურვილები. ყველანი გვეპატიჟებოდნენ, უამრავი ოჯახი გვიწვევდა.

წვეულება ორ საათს გაგრძელდა და მხოლოდ იმის გამო წამოვიშალეთ, რომ ბათუმში მიმავალ მატარებელს უნდა გავყოლოდით. გამომშვიდობებისას, კეთილი მგზავრობა გვისურვეს და ერთ-ერთმა სულმოუთქმელად დალია ადგილობრივი შამპანიურის მთელი ბოთლი. ბოლოს, თავმოყრილ სტუმართა შეძახილებით დავტოვეთ ოზურგეთი და გზას გავუდექით.

ივერიელთა სტუმართმოყვარეობაში ეჭვი არასოდეს შეუტანია ვინმეს. მათი უდიდესი პოეტი რუსთაველი ამბობს: „რასაცა გასცემ, შენია, რას არა, დაკარგულია“ და მის თანა-

მემამულეებს არ უღალატიათ ამ ნაანდერძევისათვის. ქართული გამოთქმა „სტუმარი ღვთისაა“ საყოველთაოდაა ცნობილი და სიძუნწე მართლაც უცხოა ქართველისათვის. ამ გულთბილ, უბრალო, წარმოსახვის დიდი უნარით დაჯილდოებული ხალხის სოციალური ცხოვრება ძალზე მიმზიდველია მათთვის, ვინც მიჩვეულია თანამედროვე ცხოვრების პირობითობას. ისეთ სასიამოვნო მყუდროებას, რომელსაც ჰპოვებთ ზოგიერთ ქართულ სოფელში, ძნელად თუ შეხვდებით სადმე.

აქ გლეხებსაც აქვთ თავისი კულტურა, დამყარებული თავის კლასიკოსთა საფუძვლიან ცოდნაზე.

ქართული ენა შესანიშნავად ემორჩილება რიტმსა და რითმას. საქართველოში თითქმის ყველა ადამიანი ბუნებით მელექსეა. სახალხო მთქმელები ახლაც დადიან სოფლიდან სოფელში, უკრავენ საზანდარზე (მუსიკალური საკრავია), თხზავენ არაკებსა და ლექსებს ვაჟკაცობასა და სიყვარულზე.

უამრავ ქართველ მწერალთა შორის თავად ილია ჭავჭავაძეს უპირველესი ადგილი უჭირავს. იგი არა მარტო პოეტია, არამედ ნოველისტიც, სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი, ყოველდღიური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთ „ივერია“-ს რედაქტორი. მისი ლექსები ღირსშესანიშნავია აზრის დიდებულებითა და ენის სიდარბაისლით, მისი ნაწარმოებები ღრმა პატრიოტიზმით სუნთქავენ. ბუნების მგზნებარე მოსიყვარულე და ამ ბუნების მიერვე შთაგონებული, იგი იგონებს თავისი ქვეყნის წარსულ დიდებას და ვერცხლისფერი არაგვის პირას დასტირის წარსულს, იგონებს იმ დღეებს, როცა იქ გრგვინავდა მტრის წინააღმდეგ ამხედრებულ ქართველთა ხმა; იხსენებს, თუ რა ხშირად შეღებილა არაგვის ანკარა წყალი თავისუფლებისათვის დაღვრილი სისხლით. როცა გაზაფხული მიწას ახალი ცხოვრებისათვის აღვიძებს, პოეტი ნატრობს იმ დღეს, როცა მისი საყვარელი მამულიც აყვავდება.

თავადი აკაკი წერეთელი თანამედროვეთაგან ისევე ღრმად პატივცემული პოეტია, როგორც ილია ჭავჭავაძე. მისი მუზა უფრო მსუბუქია. მას მხიარულება უყვარს და თავის ძლიერ სატირას იყენებს აწმყოს გასაკრიტიკებლად. აკაკი თავისი ქვეყნის ბედნიერებისათვის იღწვის და არაჩვეულებრივად პოპულარულია.

ინგლისელთა მხრივ უდიდესი ყურადღების ღირსია თავადი ივანე მაჩაბელი, როგორც შექსპირის შესანიშნავი მოწაფე. მან ბრწყინვალედ თარგმნა ქართულად შექსპირის რამდენიმე პიესა, რომლებმაც საყოველთაო აღიარება დაიმსახურეს.

როგორც, საერთოდ, მთაში მცხოვრებ ხალხს, ქართველებსაც წარმოსახვის ნათელი უნარი აქვთ და ძლიერ უყვართ პოეზია. აქ შეუძლებელია მოვიხსენიოთ ყველა პოეტი და პოეტი ქალი, რომელთაც სახელი გაითქვეს საქართველოში, მაგრამ, ვიმედოვნებ, ინგლისელი საზოგადოება მალე უფრო უკეთ გაეცნობა ამ ხალხის ძველსა და ახალ ლიტერატურას, რომელიც დასავლეთისათვის თითქმის სრულიად უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ყოველთვის დასავლეთისაკენ უფრო ისწრაფოდა, ვიდრე აღმოსავლეთისაკენ. ჯერ კიდევ მე-11-12 საუკუნეებში მათი ახალგაზრდა დიდებულები განათლების მისაღებად საბერძნეთს იგზავნებოდნენ და დღემდე ქართველები განათლების მიღებას დასავლეთში ცდილობენ.

„ივერიის“ გარდა, აქ რამდენიმე ჟურნალი და გაზეთი გამოდის ქართულ ენაზე. ყოველთვიური ლიტერატურული და სამეცნიერო ჟურნალია „კვალი“, სამეურნეო საკითხებს ეძღვნება „მეურნე“, გამოდის საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილი“, რელიგიური ჟურნალი „მწყემსი“ და სხვა“. *

ზემოთ მოყვანილ ნარკვევში მეღავნდება არა მხოლოდ ქართველთათვის დამახასიათებელ თვისებათა სათანადო შეფასება, არამედ, საეროდ, ხელოვნებისა და, კერძოდ, არქიტექტურის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, რომელიც ინგლისელმა ქალმა ჩვენი მატერიალური კულტურის ძეგლთა შეფასების დროს გამოიჩინა. მარჯორი ზერელედ არაფერს ათვალიერებს. ის ყველგან იძიებს და იკვლევს ამა თუ იმ მოვლენის მიზეზს და, ძირითადად სწორი დასკვნები გამოაქვს. ამ მხრივ საინტერესოა მისი დაკვირვება იმ საკითხზე, რომ „გლეხებსაც აქვთ თავისი საკუთარი კულტურა, დამყარებული თავიანთ კლასიკოსთა საფუძვლიან ცოდნაზე“, რომ ქარ-

* M. Wardrop—Notes of Journey in Georgia in 1894—95.

თულ ენას საოცარი რიტმულობა ახასიათებს, რომ ყველა ქართველი ბუნებით პოეტია და სხვა. მარჯორი უორდროპს იტაცებს არა მხოლოდ საქართველოს თვალწარმტაცი პეიზაჟები, არამედ, ქართველთა ჩაცმულობა, ჩვეულებები, კულტურა, მათი ხასიათი. ნარკვევის ყოველ სტრიქონში ჩანს დიდი აღტაცება და სიყვარული, რომელიც შემდეგში კიდევ უფრო გაღრმავდა და საბოლოოდ საქართველოსადმი დიდი თაყვანისცემის გრძნობაში გადაიზარდა.

1895 წლის შვიდ ნოემბერს მარჯორი უორდროპი საქართველოდან ოდესის გავლით ლონდონს გაემგზავრა. ოდესის რკინიგზის სადგურზე ქართველ ახალგაზრდობას მთელი ქართველი ხალხის სახელით მარჯორისათვის მიურთმევია * შესანიშნავი ყვავილების თაიგული წარწერით.

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია.
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.

ილია ჭავჭავაძე „კაკო ყაჩაღი".

საქართველოდან გამგზავრების შემდეგ, მ. უორდროპს არ შეუწყვეტია ურთიერთობა თავის ქართველ მეგობრებთან, რომელთაც ის ხშირად მიმართავდა რჩევისა თუ განმარტებისათვის.

1895 წელს ლონდონში გამოვიდა მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი ილია ჭავჭავაძის „განდეგილი". ამ თარგმანის შესახებ ინგლისური პრესა შემდეგს წერდა:

„ეს პოემა ნათარგმნია ქართული ენიდან, დიდად საყურადღებოა ვითარცა ნიმუში უცხო მწერლისა, თავადი ილია ჭავჭავაძე, უეჭველია, საუკეთესო პოეტი უნდა იყოს თავის ქვეყანაში. ამ პოემის დამწერს აშკარად ეტყობა დიადი ნიჭი და ძლიერება პოეტური ფანტაზიისა. უორდროპი სრულ საშუალებას გვაძლევს, ისეთი ქართველი ნიჭიერი პოეტი, როგორიც არის ილია ჭავჭავაძე, სავსებით გავითვალისწინოთ და პატივი ვსცეთ მის შესანიშნავ მოღვაწეობას". **

* „ივერია", 1895, № 38.

** „ცნობის ფურცელი" 1896, № 1.

ჟურნალ „Academy“-ს ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო „განდეგილის“ შინაარსი და ინგლისური თარგმანის ანალიზი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „განდეგილის“ გამოქვეყნებამ, გამოხმაურება ჰპოვა ქართულ კრიტიკაშიაც. „განდეგილის“ მნიშვნელობის საკითხს ეხება ცნობილი ქართველი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე თავის წერილში „განდეგილი“ პოემა თავად ი. ჭავჭავაძისა“, რომელიც მან მარჯორი უორდროპს მიუძღვნა. აი, რას წერს კ. აბაშიძე:

„ქ-ნი უორდროპი თურმე ამბობს, რომ განდეგილი თავ. ჭავჭავაძის პოემისა, საქართველოს სიმბოლიური გამომხატველია და მშვენიერი ქალი—ნეცნიერებისა და ახალი კულტურისაო და, ავტორის აზრით, თუ საქართველომ მეცნიერება და კულტურა არ შეითვისა, დაიღუპებაო. ჩვენ სასიამოვნოდ მიგვაჩნია, რომ პატივცემულმა მწერალმა ქალმა ასეთი აზრი გამოიტანა ი. ჭავჭავაძის პოემიდან. ეს ამტკიცებს, რა ღრმა შინაარსი აქვს ამ პოემას. ქ-ნი უორდროპის აზრი შეიძლება მივიღოთ კერძო, უფრო ვიწრო ნაწილად იმ საზოგადო აზრისა, რომლის გამომხატველადაც მიგვაჩნია ეს პოემა. მართლაც, მეცნიერება ხომ ერთი უდიდესი იარაღია ცხოვრებისა და მისი უარისმყოფელი ვერ ისარგებლებს სავსებით და ხეირიანად ცხოვრებით და ჩანს, ცხოვრების ბრძოლაში დამარცხებული დარჩება“. *

1896 წლის გაზაფხულზე, მარჯორი უორდროპი ხელმეორედ ეწვია საქართველოს, ამჯერად მშობლებისა და მეორე ძმის—თომასის თანხლებით. „მე გიამბეთ ამ საოცნებო ქვეყნის შესახებ,--უთქვამს მათთვის მარჯორის,—რის თქმაც ენით ვერ მოვახერხე, თქვენ თქვენი თვალით ნახეთ“. **

თუ პირველი სტუმრობის დროს, იგი, უმთავრესად, ინტელიგენციის წრეში ტრიალებდა, ახლა ის უფრო ახლოს მივიდა ქართველ ხალხთან. მარჯორიმ იმოგზაურა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს უორდროპებს ქართული პრესა, რომლის ცნობებითაც შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ მარჯორი უორდროპის მეორე მოგზაურობის შესახებ.

---

* „მოამბე“, 1896, № 9-10.
** „სახალხო გაზეთი“, 1912, № 635.

კახეთში მ. უორდროპი სწვევია გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ივანე როსტომაშვილის ოჯახს. * შემდეგში მარჯორი ხშირად იგონებდა ამ სტუმართმოყვარე ოჯახში გატარებულ დღეებს. როგორც ივ. როსტომაშვილის აწ განსვენებულმა მეუღლე ელენემ მოგვითხრო მასპინძლების შემწეობით უორდროპებს დაუთვალიერებიათ ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი გრემი, იყალთო, ნეკრესი, შუამთა და სხვა. ჟურნალ „კვალის“ სიღნაღელი კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ იქ ჩავიდა „ჩვენი ენა-ლიტერატურის მოყვარული ქალი მარჯორი უორდროპი თავის ძმა-მ'შობლებითურთ. ქიზიყ-სიღნაღის ინტელიგენციამ დიდი პატივით მიიღო ძვირფასი სტუმრები. ქალაქის დათვალიერების შემდეგ სასურველი სტუმრები წაბრძანდნენ წმინდა ნინოს მონასტერში, ქვემო მაჩხაანში, და ინახულეს ქიზიყის დეპოც. სიღნაღის მაღალ მთის კორწოხის ბაღში, რომელიც ამაყად გადაჰყურებს დიდებულ სურათს— ალაზნის ველს, ქ-ნ უორდროპის პატივსაცემად იყო გამართული სადილი, რომელზედაც დაესწრო მთელი სიღნაღის შეგნებული ქართველობა: ქალი და კაცი. სადილზე შესაფერი და საგულისხმო სიტყვები წარმოთქვეს შემდეგმა პირებმა: მ. დეკანოზმა, ს. ბეგიაშვილმა, დ. მაჩხანელმა, ა. ხაინდრავამ, კ. მაღალაშვილმა, მ. ნასიძემ და სხვებმა. მომღერალთა გუნდი საქებურათ მღერდა „თამარის დროშა გაშალეს“, „აღსდეგ, გმირთ-გმირო ნუ გძინავს“, „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ და ტკბილი დუდუკიც მწარე კვნესით ხმას აძლევდა იმათ ტკბილ-მწუხარე ხმას. საღამოზე გაიმართა ლეკური ცეკვა და ძვირფასი სტუმრები დიდათ ნასიამოვნები ქართველთა სტუმართმოყვარეობით და ქიზიყის მშვენიერი ბუნების დიდებულებით, გამოემშვიდობნენ ყველა იქ მყოფთ. ბევრი ქართველი ქალი და კაცი დააფიქრა საკეთილოდ ქ-ნ უორდროპის ტკბილმა ქართულმა სიტყვა-პასუხმა...“ **

სიღნაღიდან მარჯორი უორდროპი თბილისისაკენ გაემგ-

---

* ამ ოჯახს ის დანათესავებია კიდეც—მოუნათლავს მათი ქალიშვილი ელენე, რომელიც თორმეტი წლის ასაკში გარდაცვლილა.

** „კვალი“, 1896, № 30, გვ. 534,

ზავრა. გზაზე, სიღნაღის მახლობელ მინდორში „ერთ მუხის ქვეშ მან შეკრიბა ახლომახლო ყანებიდან მომავალი მუშა-მომკელები, გადაიღო ფოტოგრაფიული აპარატით მათი სურათი, დაბატიჟა მუშები პურ-ღვინოზე, უთხრა რამდენიმე ძმური სიტყვა და დაასაჩუქრა ფულითაც. მუშებმა რომ გაიგეს ქ-ნ უორდროპის ვინაობა, გმირულ ხმაზე უმღერეს მუშური და აღტაცებული „გაუმარჯოს“ ძახილით გააცილეს უცხო სტუმრები“. *

თბილისიდან უორდროპები გამგზავრებულან დასავლეთ საქართველოში, სადაც ისინი გ. წერეთელს მიუწვევია თავის მშობლიურ სოფელ ჭალაში.

„სოფ. ჭალა,—წერს „კვალი“—, ერთი უმშვენიერესი სოფელია საქართველოში. ის შეუყვება მდინარე ყვირილას გაღმა-გამოღმით მოგრაგნილ მთების ყელს, იმის მახლობლად, სადაც ლიხის ქედი, კავკასიის დიდი მთებიდან შტოთ გამოსული, მოიხრება დასავლეთისაკენ და იკეთებს მრავალფეროვან ბუნებით შემკულ უბეს. აქ შფოთავენ და ქოთენ დაუცხრომელ ყვირილასთან სხვა მრავალი ხევის წყლებიცა...

ს. ჭალის საზოგადოება ბრწყინვალეთ დაუხვდა და ძველებური სტუმართმოყვარეობა უჩვენა უორდროპების ოჯახს. ჭალელმა ქალებმა გამართეს მასპინძლობა მდინარის ყვირილას პირზე. კაცებს დაავალეს მდინარის ტოტის გადაგდება და უჩვენეს, თუ როგორ იჭერენ ხოლმე ქალი და კაცი თევზებს დაწრეტილ წყალში. მარჯორი უორდროპი ისე გაიტაცა ამ სანახაობამ, რომ კინაღამ ფეხთ არ გაიხადა და არ ჩახტა წყალში, რომ მასაც დაეჭირა თევზი ხელით ქვებს ქვეშ. შემდეგ დასხდნენ დიდ კაკლის ქვეშ მდინარის პირათ, მწვანეზე, და გაშალეს ძველებურათ ნოშოზე სუფრა. მარჯორის ოჯახისათვის იყო ცალკე ამაღლებულ ძელზე სუფრა გაშლილი, მაგრამ მარჯორი და მისი ძმა გადმოხტენ ძირს და ქართულად მუხლები მოიკეცეს ნოშოზე. იქვე დაანთეს ცეცხლი, მოხარშეს ცოცხალი კალმახები და შეიქნა ნადიმი. ამას მოჰყვა სადღეგრძელოები. ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი ამკობდნენ ქ-ნს მარჯორის და მის ოჯახს მშვენიერი სიტყვებით. შემდეგ გაი-

* „კვალი“, 1896, № 30, გვ. 534.

მართა მრავალნაირი ძველი და ახალი ჰანგების სიმღერები: „სუფრული“, „ჩონგური“, „მიწურულ იყო გაზაფხული“, „არალო“, „ორი დელა“ „ხელხვავი“, ძველი „მრავალჟამიერი“ და სხვა.

განსაკუთრებით ისახელეს თავი მშვენიერი და ნამდვილი ქართული კილოს სიმღერებით ხვანე აბაშიძის ქალებმა. ბოლოს გაიმართა მინდორზე ლეკური, დავლური და იმერული ცეკვა-როკვა.

ჭალიდან უორდროპის ოჯახი გადაიწვია დიმიტრი აბაშიძემ სოფელ სავანეს, სადაც მარჯორიმ გაიცნო ძველი, დიდებული ნაშენი ეკლესია ბაგრატ მეოთხის დროისა და გადაიღო ფოტოგრაფიით. აქედან უორდროპები გადავიდნენ საჩხერეს და დაათვალიერეს მოდინახეს ციხე.

საზოგადოდ, ამ პატივცემულს ინგლისელ ოჯახს დიდათ მოეწონათ ზემო იმერეთი და აღუთქვეს გ. წერეთელს უფრო ხანგრძლივათ წვევა მომავალ დროისათვის.

დაბა საჩხერეს იმათ გაათიეს ერთი ღამე თ. ბეჟან წერეთლის ოჯახში და დილით გაემგზავრნენ ჭიათურას. ისინი ჩქარობდნენ, რომ ოც მკათათვისთვის წვეოდნენ ილია ჭავჭავაძეს საგურამოს“. *

საგურამოში ილია ჭავჭავაძე დიდი პატივით დაუხვდა უცხოელ სტუმრებს, „უორდროპის ასული ცდილობდა თავის ახლო ნაცნობებთან ქართულად ებაასნა, ქართულად გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი; მხოლოდ ხანდისხან უკვირდა, რომ თანამობაასეთა, განსაკუთრებით მანდილოსნების, სახეზე გაკვირვების ნიშანს ჰკითხულობდა და სწუხდა, ნუთუ გარკვევით ვერ გამოვსთქვი ქართულიო. თითქო იმედი ჰქონდა, რომ სწორედ ლაპარაკობდა, და დიდს ხანსაც გაგრძელდებოდა მისი გაოცებაცა და დარდიცა, რომ არ აეხსნათ ამ გაუგებრობის მიზეზი. როგორც ვიცით, განსვენებულმა ქართულის სწავლა ინგლისში დაიწყო და პირველად ისწავლა არა თანამედროვე ენა, დღევანდელი ქართველი რომ ლაპარაკობს, არამედ ენა სახარებისა, მე-9 ან კიდევ უფრო ადრინდელ საუკუნეში ნახმარი: „გარქ-

* „კვალი“ 1896, № 32, გვ. 568.

ვით" „გითხარით"-ის მაგიერ, „არ ძალმედვა"—„არ შემეძლოს" წილ და სხვა. სტუმარს აუხსნეს ჩვენი ქალების სისუსტე ძველის ქართულის ცოდნის მხრივ და დაამშვიდეს. ამ ამბავმა არა ერთი და ორი ქალი ჩააგდო გულისხმაში, არა ერთი და ორი დააფიქრა ჩვენ მიერ დედა-ენის დავიწყების შესახებ და შემდეგში უცხოელის მაგალითი თვალწინ ედგათ თავიანთის ნაკლის მამხილებლად". *

ბევრი ქვეყანა მოიარა მარჯორი უორდროპმა, მრავალ ხალხს გაეცნო და დაუახლოვდა, მაგრამ საქართველო მისთვის განსაკუთრებული ქვეყანა იყო. მარჯორიმ შეიყვარა და შეითვისა ყოველივე ქართული. „საქართველო ჩემი მეორე სამშობლოაო", ხშირად ამბობდა ის და არ ყოფილა არც ერთი წუთი, რომ მას საქართველოზე ფიქრი შეეწყვიტა. ის ქართველ ხალხთან იყო ჰირშიც და ლხინშიც. ცნობილია, რომ მას არა ერთხელ გაუწევია მატერიალური დახმარება სტიქიური უბედურებით დაზარალებული ქართველი გლეხობისათვის. 1896 წელს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა მეთაურის სიმონ წერეთლისადმი გაგზავნილ ბარათში მარჯორი უორდროპი წერდა:

„დიდათ პატივცემულო თავადო სვიმონ წერეთელი! ამასთანავე გიგზავნით ას მანეთს, და უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ წყალდიდობისაგან დაზარალებულ გლეხთა შესაწევნათ. ჩემი ძმა და მეც ვგრძნობთ უდიდესი წუხარება უბედურობისათვის საქართველოში და სურვილი მაქვს, რომ შემოწირულება ბევრი იქნება..." **

მარჯორისათვის იმდენად ძვირფასი იყო ყველაფერი, რაც კი მას საქართველოსთან აკავშირებდა, რომ რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ყოფილიყო, ჰქონდა სპეციალური ოთახი, ქართული ადათის მიხედვით მოწყობილი, მორთული ქართველ მოღვაწეთა სურათებით, რომელსაც ის „ქართულ ოთახს" უწოდებდა.

მარჯორი უყურადღებოდ არ ტოვებდა ქართული პერიო-

---

* სახოკია თ.—„ვეფხის-ტყაოსანი" ინგლისურად და მარჯორი უორდროპის ასული", „სახალხო გაზეთი", 1912 № 635.

** მარქსის სახ. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, ხელ. № S—65

დული გამოცემის არც ერთ ნომერს, არც ერთ წიგნსა და ძველ ქართულ ხელნაწერს; რაზედაც ხელი მიუწვდებოდა, ყველაფერს იძენდა და სათუთად ინახავდა თავის ქართულ ბიბლიოთეკაში. სწორედ ამ ბიბლიოთეკის საფუძველზე შეიქმნა ოქსფორდში მარჯორი უორდროპის ქართული ფონდი, სადაც უამრავი ქართული წიგნი და ძვირფასი ხელნაწერი ინახება.

ამ დიდ საქმეს თითქმის მთელი სიცოცხლე მოანდომეს უორდროპებმა და, ცხადია, ისინი ვერაფერს მიაღწევდნენ, ახლოს რომ არ ყოფილიყვნენ ქართველ ხალხთან, ერის მოწინავე ადამიანებთან. მარჯორი უორდროპი იმთავითვე დიდი სიმპათიით გაიმსჭვალა რუსეთში მოღვაწე ქართველი პროფესორების ალ. ხახანაშვილისა და ალ. ცაგარელის მიმართ. მათმა შრომებმა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის დარგში კიდევ უფრო მეტად დააინტერესა ინგლისელი ქალი ჩვენი ქვეყნით. ამ მეცნიერებთან დაახლოვებამ დიდი გავლენა მოახდინა მარჯორი უორდროპზე, რომელიც ხშირად მიმართავდა ალ. ხახანაშვილს საჭირო ლიტერატურისა და სათარგმნი ნაწარმოების ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილის განმარტებისათვის. ასე, მაგალითად, 1896 წელს ის ალ. ხახანაშვილს წერს, * რომ მიიღო მისი სტატია შოთა რუსთაველზე. რომ ოლივერთან ერთად დაამთავრა წმიდა ნინოს ცხოვრების თარგმანი, რომელსაც სხვადასხვა ვერსიებთან შეჯერება სჭირდება. ამ წერილიდან ჩანს, რომ წინა წერილში მ. უორდროპს ალ. ხახანაშვილისათვის უთხოვნია მასალები შ. რუსთაველის შესახებ. ირკვევა რომ წმიდა ნინოს ცხოვრების ინგლისური თარგმანი უორდროპებს ჯერ კიდევ 1896 წელს დაუმთავრებიათ და მხოლოდ ოთხი წლის მუშაობის შემდეგ გამოუქვეყნებიათ. კრეფდნენ რა მასალებს, ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებსა და ხელნაწერებს, უორდროპები მოსვენებას კარგავდნენ, როგორც კი მათთვის საჭირო მასალა იგვიანებდა. ამის შესახებ ისინი დაუყოვნებლივ ატყობინებდნენ თავის ქართველ მეგობრებს და დახმარებას სთხოვდნენ. 1900 წლის ერთ-ერთ წერილში მარჯორი

* ხელნაწერთა ინსტიტუტი. ხახანაშვილის არქივი ხელ. 123.

დიდ მადლობას უხდის ალ. ხახანაშვილს, მის მიერ მიწოდებული მასალის გამო: „ეს შრომები ძვირფასი შენაძენია ჩვენი ქართული ბიბლიოთეკისათვის, რომელიც მუდამ იზრდება და ამჟამად შეიცავს თითქმის შვიდასამდე წიგნს". * მარჯორი აქვე ატყობინებს ალ. ხახანაშვილს, რომ იბეჭდება „ნინოს ცხოვრება" და ძალზე სჭირდება მისი წიგნი — „Источники по введению христианства в Грузии", რომ „შაკად უკვე დავასრულე „ეეფხისტყაოსნის" სრული თარგმანი და ვიმედოვნებ. კვლავ ვიმუშაო მასზე. მალე გავაუმჯობესებ და შევასწორებ."

მარჯორი უორდროპს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ან. თუმანიშვილ-წერეთელთანაც, რომელსაც ხშირად წერდა თავისი მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებ. ერთ-ერთ წერილში მარჯორი ატყობინებდა ტასოს, რომ „ეეფხისტყაოსანი კიდევ დასაწყისიდან გადაეთარგმნა, ამისთვის, რომ ჩემი პირველი თარგმანი არ მომწონდა, მე ეხლა ნახევარი ვაკეთე და სურვილი მაქვს, რომ გაზაფხულის წინეთ დავასრულო, ეს მხოლოდ კვახი თარგმანი იქნება და დიდი შრომა და მოთმინება უნდა წინათ დაიბეჭდის". **

მარჯორი უორდროპი ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებდა ჩვენს დიდ მთარგმნელს ივ. მაჩაბელს, რომლის თარგმანებს მუდამ აღტაცებაში მოჰყავდა იგი. მარჯორი და ოლივერ უორდროპები ხომ პირველი შეფასებელნი იყვნენ მაჩაბლისეული თარგმანებისა. მარჯორი ახლოს იყო როგორც ივ. მაჩაბელთან, ასევე მის მეუღლე ტასოსთან, რომელსაც ის სშირად სთხოვდა ხოლმე მისთვის გაუგებარი ქართული ტერმინის განმარტებას. ივანე მაჩაბლის დაკარგვით შეწუხებულ მარჯორის მთელი წლის განმავლობაში არაფერი მოუწერია მაჩაბლის ქვრივისათვის, კიდევ იმედი ჰქონდა იქნებ სადმე გამოჩნდესო, მაგრამ მაჩაბლის კვალის მიგნების იმედი ამაო იყო და მარჯორმაც ღრმა თანაგრძნობის წერილი გამოუგზავნა ტასოს:

---

* ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხახანაშვილის არქივი, № 123. წერილი დაწერილია ინგლისურ ენაზე.

** საქ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. თუმანიშვილის არქივი № 415

„ერთი წელიწადია, რაც ყოველდღე მინდოდა გავიზიარე ჩვენი ღრმა თანაგრძნობა თქვენთან და თქვენი ოჯახისთან თქვენს დიდ უბედურებაში: ვფიქრობდეთ და იმედში ვიყავით, რომ თქვენი პატიოსანი ქმარი დაკარგულ არ იყო, მაგრამ მხოლოდ წასულ იყო და რომ თქვენ იცოდეთ მისი სადაურობა... ჩვენ დიდად შეწუხებული ვართ, თქვენთვის და საქართველოსთვის, რომ ასეთი დიდებული მოღვაწე დაკარგულია; ჩვენც უღრმესი პატივი ვსცეთ თავადს მაჩაბელს". *

საქართველოში ყოფნისას, მარჯორი უორდროპი საგურამოს ხშირი და საყვარელი სტუმარი გახდა. ის დაუმეგობრდა ილია ჭავჭავაძეს, ოლღას—მის მეუღლეს, და დას—ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისას, რომლებთანაც სიკვდილამდე არ შეუწყვეტია მიწერ-მოწერა. ბუქარესტიდან 1908 წელს გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში მარჯორი იწერებოდა, რომ „ილიას სურათი მუდამ ჰდგას ჩვენს ოთახში—ერთი შინ და ერთიც აქ". ყველა მასალა, რაც კი ხელთ გვაქვს, გვიდასტურებს, რომ ილიასადმი მარჯორის გრძნობა არ იყო მხოლოდ პატივისცემა. ეს იყო სიყვარულიც, მოწიწებაც და თაყვანისცემაც ერთად შერწყმული. ამიტომ, გასაგებია, თუ რა დიდი თავზარი იქნებოდა მისთვის ილიას სიკვდილი. ამ საშინელი ამბის გამგონე მარჯორი უორდროპი საქართველოს მწუხარების თანამოზიარე კი არა, გულმდუღარე ჰირისუფალი იყო, ვერაგული მკვლელობის გამო შეძრწუნებული.

„... ვერ გამომითქვამს სიტყვით ჩემი გულის დარდი. თქვენმა უბედურებამ ჩვენც გაგვაუბედურა... ჯერ ეხლა ვერ მჯერა, რომ ილია აღარ არის"—წერდა ის ილიას დას.

ასე სტკიოდა ინგლისელ ქალს საქართველოს სატკივარი და სისხლხორცეულად განიცდიდა ყველაფერს, რაც აღელვებდა და აფიქრებდა მთელ ქართველ ხალხს.

1900 წელს ოქსფორდში გამოვიდა „წმ. ნინოს ცხოვრების" ინგლისური თარგმანი, აი, რას წერდა „ივერია" ამ თარგმანის შესახებ:

„ამ უკანასკნელ ხანებში (და-ძმა უორდროპებმა ლ. თ.) აღბეჭდეს სამეცნიერო შრომა „ცხოვრება წმ. ნინოსი" საყუ-

* საქ. ლიტერატურის მუზეუმი № 14444—6.

რადღებო წინასიტყვაობითა და შეგნებული შენიშვნებით. ამ ახალს თავის თხზულებაში პატივცემული და-ძმა დაგვენახვენ სრულიად ახალს მოღვაწეობის ფარგალში. მათ შეისწავლეს რამოდენიმე საისტორიო წყარო წმინდა ნინოს შესახებ და მეცნიერულის კრიტიკის თვალით დააფასეს იგი. ამათი შეხედულება ჩვენი ისტორიისა და განათლების უძველეს ხანაზედ საყურადღებოდ მისაჩნევია შემდგომის გამოძიება-გამოკვლევისათვის." *

„წმ. ნინოს ცხოვრების" თარგმანი საყურადღებო ნაშრომია. უორდროპებმა დიდი ინტერესით შეისწავლეს წმიდა ნინოს ცხოვრების რამდენიმე ვერსია, მათ შორის სომხურიც, რომლის თარგმანი ინგლისელ პროფესორ კონიბირს ეკუთვნის.

1909 წლის ნოემბერში ჭლექით დაავადებული მარჯორი გულდაწყვეტით სწერდა ოლღა ჭავჭავაძეს:

„აქ დიდი ზამთარია; ყოველ დღე ყინვა არის და ჰჩანს არ მოდის გაზაფხული ამ წელს..." **

არ მოვიდა მისთვის გაზაფხული, ის 1909 წლის დეკემბერს გარდაიცვალა ბუქარესტში, შორს სამშობლოდან და საქართველოდან, რომელსაც ყოველ წუთს ნატრობდა:

„მეც ღმერთსა ვთხოვ ყოველთვის მაღირსოს თქვენი ნახვა და საქართველოში წასვლა. ყოველ წელიწადს ვგონებ რომ მომავალში შეიძლება მოვალ იქითკენ, მაგრამ ჯერ ჩემ ბედში არ წერილია. ცამეთი წელიწადია არ ვყოფილვარ საქართველოში. ჩემი გული სიყვარულით მისკენ უკუნისამდე ბრუნდება". ***

არ ყოფილა არც ერთი ჟურნალი და გაზეთი, რაც მაშინდელ საქართველოში გამოდიოდა, რომ ნეკროლოგი არ მიეძღვნა მარჯორი უორდროპის ხსოვნისათვის. გაზ. „დროება" წერდა:

„განსვენებულის სიკვდილით საქართველომ დაჰკარგა დიდი მცოდნე ჩვენის ისტორიისა და ლიტერატურისა და ამასთან ერთგული მეგობარი. არ გავაზვიადებ, თუ ვიტყვი, რომ

---

* „ივერია", 1900, №280.

** ხელნაწერთა ინსტიტუტი. ილია ჭავჭავაძის არქივი, ღია ბარათი.

*** ხელნაწერთა ინსტიტუტი. ილია ჭავჭავაძის არქივი, ხელ. № 14.

ვანსვენებული სცოცხლობდა ჩვენის ქვეყნის სიხარულითა და ვარამით, იგი დღითი-დღე გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ჩვენს ცხოვრებას ჩვენივე გაზეთებით, სადაც უნდა ყოფილიყვნენ განსვენებული და მისი უფროსი ძმა, კონსული და ავტორი წიგნისა „საქართველოს სამეფო“, ოლივერ უორდროპი, ლონდონში, პეტერბურგში, ჰაიტის კუნძულებზე თუ ბუხარეტსში—ქართული გაზეთები და ჟურნალები განუწყვეტლივ მოსდიოდათ, ჰქონდათ ხშირი მიწერ-მოწერა ქართველ მეგობრებთან და კავშირი საქართველოსთან არასოდეს შეუწყვეტიათ. მარჯორი უორდროპს უკანასკნელ წუთამდე არც მუშაობა შეუწყვეტია საქართველოს ლიტერატურასა და ისტორიაზე...

იგი საუცხოო ადამიანი იყო. მასში შეერთებულიყო უმაღლესი და უკეთილშობილესი თვისებანი დედაკაცისა მამაკაცის გულადობასა და შრომისმოყვარეობასთან ერთად. ლმობიერი, მოსიყვარულე მისი გული ანდამატი იყო... პატარა თავისუფალი ჩიტებიც-კი, ბეღურები, შოშიები და შაშვები ჰგრძნობდნენ იმის მოსიყვარულე გულს, მისი სახლი სავსე იყო ამ ფრინველებით და ხშირად თავს დასტრიალებდნენ...

ასეთი იყო მშვიდობიანი და ლმობიერი, ნასწავლი და ნიჭიერი მეგობარი ქართველებისა. მისი მშვენიერი სახე სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში და მომავალში იგი არა ერთ ქართველ ქალს აღაფრთოვანებს შრომისა, სიყვარულისა და თანაგრძნობისათვის“. *

„საქართველოს მოამბე“ ასე ემშვიდობებოდა მ. უორდროპს: „საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილშობილო და დიდბუნებოვანო ადამიანო, საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, როგორც შენს ძმა-მეგობარის ოლივერისათვის, ისე ჩვენ შორის, შენთვის უცხო, მაგრამ ძვირფასს მეგობარ ქართველთა შორის. ღვაწლი შენი დიდი იყო ჩვენს წინაშე და მადლობელი ქართველი ერიც ეცდება დაუვიწყარ ჰყოს შენი სახელი, სანამ საქართველო იარსებებს“. **

საქართველო დასტიროდა კიდევ ერთ დიდ დანაკარგს—

---

* „დროება“, 1909, № 280.

** „საქართველოს მოამბე“, 1909, № 8.

ადამიანს, რომელმაც ნის სახელსა და დიდებას შესწირა თავისი ახალგაზრდული მჩქეფარე სიცოცხლე.

მე-19 საუკუნის ბოლო ეოთხედისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში ხშირად შეხვდებით წერილებს, რომლებშიც ქართველი მოღვაწენი თავის აზრს გამოთქვამენ მარჯორი უორდროპის პიროვნების შესახებ. ყოველ მათგანში ჩანს აღტაცება ღრმა ცოდნისა და დიდი განათლების მქონე, უბრალო, ხალისიანი, მოსიყვარულე ინგლისელი ქალისადმი, რომელსაც არა ერთი ღამე შემოსთენებია ქართულ ნაწარმოებთა ინგლისურად თარგმანის დროს. ამ მხრივ საინტერესოა ჩვენი დიდი მგოსნის აკაკის მოგონება—„საუბარი ინგლისელ ქალთან“, სადაც ის წერს:

„ამას წინათ ერთი ახალგაზრდა, ცქრიალა ინგლისელი ქალი გამაცვნეს, რომელიც კარგათ ლაპარაკობდა ქართულათ, მხოლოთ გურულათ კი უქცევდა კილოს, მე, რასაკვირველია, ის ჩვენში დაბადებული და აქვე გაზრდილი მეგონა, მაგრამ გამოდგა, რომ სტუმრად მოსულა ერთ მის ნათესავთან და მას აქეთ, რაც მოსულა, ორი წელიწადის მეტი არ გასულა! გამიკვირდა და ვკითხე: ასე ჩქარა როგორ შეისწავლეთ-მეთქი? სიცილით მიპასუხა: „თუკი მოინდომა, ორი წლის განმავლობაში კაცმა ენა რომ ვერ ისწავლოს, აბდალი უნდა იყოსო“.

ეს რომ თქვა, ალბათ იფიქრა ჩემზე, რომ გურულ სიტყვას „აბდალს“ ვერ გავიგებდი და გადაასწორა: „უვარგისიო“. უნდა მოგახსენოთ, მისს უორდროპისა არ იყოს, პატივისცემა ვიგრძენი არა მარტო ამ ქალისადმი, თვით იმ ხალხისაც კი, რომელსაც ამგვარი ქალები ეკუთვნიან. და განა მარტო მისთვის, რომ ქართული უსწავლიათ? სრულიადაც არა. მე მომწონს იმათი ცნობის-მოყვარეობა და ხასიათი, რომ გარეშე არა ეუცხოებათ-რა და ზიზღითა და დაცინვით არ უყურებენ სხვა ტომის ხალხს“. ამ საუბარში რომ იყვნენ, მათ მიუახლოვდა ერთი ახალგაზრდა ქართველი მანდილოსანი, რომელმაც სხვათა შორის შენიშნა, რომ ქართულად ლაპარაკი არისტოკრატულ საზოგადოებაში უხერხულია. ამ სიტყვების გაგონებაზე „ინგლისელმა ქალმა თვალები დააჭყიტა და ჰკითხა: „როგორ განა აკრძალული გაქვთ, ნებას არ გაძლევენ ილაპარაკოთ?

— ვის უნდა აეკრძალა?! მაგრამ უცხო ენები უფრო გვეხერხება და მართალი რომ ვთქვათ, მაინცა და მაინც სასიამოვნო ენა ვერ არის ქართული, ყურს ეჩოთირება, გამოსათქმელადაც ძნელია: „წ, ძ, ყ, ჭ,...“ სანამ გამოსთქვამდეს კაცი, ენას დაიმტვრევს. ამას წინეთ კოლა შემოვიდა ჩვენთან და გვითხრა: „აბა, ქალებო, თუ იტყვით: ბაყაყი წყალში ყიყინებსო? ბევრი ვეცადეთ, მაგრამ ვერავინ მოვახერხეთ და სულ „ბაკაკი ცქალში ჭიქინებს“ ვამბობდით. ბევრიც ვიცინეთ.—მაგნაირი რამეები განა სხვა ენებში კი არ არის?— ამბობდა გულისწყრომით მარჯორი—ყველა ენასა აქვს თავისი ღირსებაცა და ნაკლიც. ჩვენ, ინგლისელები, თითქმის პირს არ ვაღებთ საუბრის დროს, კბილებზე კბილებს ვაჭერთ სიტყვების გამოთქმის დროს, მაგრამ ჩვენი ენა მაინც კეთილხმოვანი გვგონია და არავისაში არ გავცვლით. ფრანცუზები ცხვირში დუდღუნებენ და მოსწონთ. თქვენ კი...

— საკვირველია,—ამბობდა მარჯორი—გონებაგახსნილმა და განვითარებულმა ადამიანმა როგორ არ უნდა იცოდეს იმ ქვეყნისა და ხალხის ენა, სადაც დაბადებულა და გაზრდილა, გინდ თვითონ არც კი ეკუთვნოდეს მკვიდრთაგანს“. *

აკაკი მოხიბლული იყო მარჯორის კეთილგონიერებითა და ღრმა ცოდნით. მარჯორი კარგად ერკვეოდა არა მხოლოდ ლიტერატურისა და ხელოვნების, არამედ პოლიტიკისა და ეკონომიკის რთულ საკითხებშიც. ბუნებით ნაზი და საოცრად გულისხმიერი, თავისადმი ღრმა პატივისცემის გრძნობით გაწაწყობდა ყველას, ვისაც კი ჰქონდა მასთან შეხვედრის ბედნიერება. ამიტომ იყო, რომ აკაკი წერეთელმა უზადო სიყვარულით გამთბარი ლექსი მიუძღვნა მის ხსოვნას:

მარჯორი უორდროპის სახსოვარი

სახელგანთქმულ ინგლისიდან
შემოფრინდა ჩვენში ობლად,
ვით მერცხალი მოჰიკქიკე
გაზაფხულის მახარობლად.

* აკაკის კრებული, 1898, № 10.

აჭიკჭიკდა და აგვიხსნა
წინ-პართა გახსნა კვალი!
შეუწონა აწმყო წარსულს
და განჭვრიტა მომავალი.

გვითხრა: ტყვეცა გულს ნუ იტეხთ,
თქვენგან მე ბევრს გამოველი.
არ მოკვდება არა ერი,
ვინც წარმოშვა რუსთაველი.

ეს გვითხრა და სხვაც რან კიდევ
ბევრი ჰქონდა მას სათქმელი,
ვისაც ასე ჯერ უდროოდ
საუკუნოდ ფარავს ბნელი.

მაგრამ მაინც იმ ბნელიდან
ზეცის ცისად მოგვფენს ნათელს,
და ბიტომაც საქართველო
არ იკიწყებს იმის სახელს.

ქართული პრესა, მოწინავე ქართველობა მარჯორი უორდროპის მაგალითით აღაგზნებდა ქართველ ქალებს შრომის, სწავლისა და სამშობლოს სიყვარულისათვის. გაზ. „ივერიას“ ლონდონელი კორესპოდენტი Vasiani ქართველ საზოგადოებას შემდეგს მოუთხრობდა იმ ოჯახის შესახებ, სადაც დაიბადა და აღიზარდა მარჯორი უორდროპი:

„სახლში, რომელიც მწვანეშია ჩაფლული და მეზობლად მყოფ სახლებისაგან განაწილებული, გაობლებულია ბაღითა და ბაღჩით, უორდროპის სახლობა ცხოვრობს. როდესაც ჯერ ტალანში შეეედი და შემდეგ სასტუმროში, რომელიც ინგლისელთა აწინდელს გემოვნებაზედ არის მოწყობილი, ფიქრათ გამიარა, ამ სახლის პატრონები წინ დამახვედრებენ-მეთქი მშრალს ზრდილობა-მართებულობას და გაზვიადებულს თავმომწონეობას შეძლებულისა და კეთილშობილის კაცისას, მით უფრო, რომ ასეთი ამბავი ჩვენ ყველას ინგლისელთა შესახებ არა ერთხელ გაგვიგონია და წაგვიკითხავს. მაგრამ შევხედე ო. უორდროპს, “The Kingdom of Georgia“-ს (საქართველოს სამეფო) ავტორს, იმის შინაურს ტანთ-საცმელს, რბილს უქუსლო ფეხთ-საცმელს, პაწია რბილს მაუდის ქუდს, ყოველ-

სავე ამ წვრილმანს მოწყობილობას, ინგლისის სოფლის სადა, გაროობა-შექცევით სავსე თავისუფალ ცხოვრებას და ერთ წამს განმიქრა გულიდან ყოველივე შიში.

ნართლაც, თქვენის მოგზაურის დედა, ეს საუცხოო, დაუბერებელის სახის მანდილოსანი დიდის სტუმართმოყვარეობით დამიხვდა. ამ მასპინძლობის დროს არც ფრანგულ გადაჭარბებულ მოფერება-მოლაქუცებისათვის მიუმართავს, არც პრანჭვა-გრეხიაობისთვის და არც სურვილი გამოუმჟღავნებია „სხვა გვარად" თავის ჩვენებისა... არა, ყოველი მისი ყოფაქცევა სადა იყო, ადამიანური, მოსაწონი. პირველ სიტყვების თქმისთანავე ლაპარაკი შეეხო თქვენს მშვენიერს ქვეყანას, რომელსაც ქ-ნი უორდროპი თვალყურს ადევნებს და რომლის ამბებსაც ისიც სიამოვნებით ისმენს. ეს თქვენის ქვეყნის სიყვარული შვილებისაგან თუ გადასდებია. ამ ლაპარაკში ვიყაით, რომ miss უორდროპი შემოვიდა...

უორდროპი მეტად წყნარია და ცოტა მორცხვიც-კი, თუმცა ამ ტანადს, მოხდენილს, წყნარსა და მორცხვს ქალს დიდი ცოდნა აქვს, ცოდნა საკუთრის შრომითა, სურვილითა და მოწადინებით შეძენილი. მაგალითებრ, ქართული ენა ლიტოგრაფიაში დაბეჭდილ ბროსეს გრამატიკით ისწავლა, ისე, რომ არც ერთი ქართული სიტყვა არ გაუგონია, მხოლოდ ქართულს სახარებით კითხულობდა. წარმოიდგინეთ რამდენი ძეცადინეობა და გულმოდგინება უნდა გამოეჩინა, და ესეც მაშინ, როდესაც მას ახალგაზრდობის საუკეთესო დრო დაუდგა, როდესაც გარს ათასი საზოგადო გასართობი, თავ-შესაქცევარი და გამამხიარულებელი ახვევია.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ ახალგაზრდა, მეცნიერი ქალი არ გაურბოდა არც გასართობსა და შესაქცევარს, არც მხიარულებას. მინდვრად, ბალკონის წინ, გაშლილია მწვანე, მოკლედ შეკვეცილი მოლი „ლოუნ ტენისის" ერთგვარ ბურთაობის სათამაშოდ, რომელიც ძალიან უყვართ ახალგაზრდა მანდილოსნებსა და ყმაწვილ კაცებს..." *

მარჯორი უორდროპის ოჯახისა და თვით მარჯორის ზემოთმოყვანილი დახასიათება არ წარმოადგენს მიკერძოე-

---

*Vasiani—ეხლანდელი ინგლისის დედაკაცი, „ივერია", 1894, № 163

ბულ, ბრმა ხოტბა-დიდებას. ეს არის ქართველი ადამიანის მიერ უშუალოდ განცდილისა და ნანახის ზუსტი ასახვა. ოჯახის წევრებს შორის გამეფებული ურთიერთპატივისცემისა და მეგობრობის ატმოსფეროში აღზრდილი ქალი, ცხადია შეძლებდა გაეზიარებინა ადამიანთა სიხარული და გულისტკივილი, მეგობრისათვის ნამდვილი მეგობრობა გაეწია. ამიტომ იყო, რომ ქართველი ქალები დიდი მოწიწებით მიმართავდნენ მათი ქვეყნისათვის თავდადებულ ინგლისელ ქალს:

ვუძღვნი მარჯორი უორდროპის ქალს

უცხოსა მხრიდან მოფრენილო,
უცხო სტუმარო,
გრძნობით აღვსილო, მხიარულო
ტკბილ მოუბარო.
ჩვენ თანამგრძნობელს, აწ ჩვენ მკობელს
და მეგობარსა,
მეც აწ მოგიძღვნი ტკბილათ სალაჲს,
ქართველთ მკობარსა,
რომ ჩვენი ენა შეიყვარე და შეითვისე,
ჩვენც თანაგრძნობით, როგორც ჩვენ შვილს
გიყურებთ ისე.
შენ გსურს გააცნო უცხო ტომთა
ჩვენი ზნეობა,
წარსულთა ძველთა, ქართველ გმირთა
ბრძოლა, მხნეობა.
სისხლით მორწყული საქართველო
მტერთგან დევნული,
მამა-პაპათა მძლავრი მკლავით
აწ განდევნილი.
შენ შეგვიყვარე, შეგვიერთდი
უცხო ტომთ სქესი,
ჩვენ გულში ღრმათ არს შენი ხსოვნა
შენგან ნათესი.*

1912 წელს, მარჯორის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ, ოლივერ უორდროპმა ლონდონში გამოსცა მარჯორის

---

* ნინო ორბელიანი, ვუძღვნი მარჯორი უორდროპის ქალს, „კვალი" 1896, № 26 გვ. 458

მიერ ინგლისურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, ნაწარმოები, რომელზედაც თვრამეტი წლის განმავლობაში დაუღალავად მუშაობდა ინგლისელი ქალი და რომლის თარგმნას მან თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები შეალია.

წინამდებარე მონოგრაფია მიზნად ისახავს ზემოხსენებულ თარგმანთა და ქართული დედნების ურთიერთშედარებისა და შესწავლის საფუძველზე წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს მარჯორი უორდროპის მიერ შესრულებულ თარგმანებზე, შეისწავლოს ის ხერხები და მეთოდი, რომელსაც იყენებდა მთარგმნელი მუშაობის დროს, შეაფასოს მარჯორი უორდროპის ღვაწლი ქართული კულტურისა და, კერძოდ, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის წინაშე.

ქართული ლიტერატურა მარჯორი უორდროპის ინგლისურ თარგმანებში

ქართული ხალხური ზღაპრები

პირველი თარგმანი, რომელიც მ. უორდროპმა შესთავაზა ინგლისელ მკითხველ საზოგადოებას იყო „Georgian Folk Tales" (ქართული ხალხური ზღაპრები), რომელსაც დიდი მოწონება ხვდა წილად, თუმც მთარგმნელს ის თავიდანვე გამოსაქვეყნებლად არ ჰქონდა გამიზნული. როგორც ქართულ ფოლკლორულ ნიმუშთა ინგლისურ ენაზე თარგმნის პირველი ცდა,* ეს თარგმანი გარკვეულ მნიშვნელობას ინარჩუნებს დღემდე, რადგან ამჟღავნებს მთარგმნელის ფაქიზ ალღოს და მდიდარ მასალას აწვდის ფოლკლორით დაინტერესებულ პირთ.

ქართული ზღაპრების წინასიტყვაობაში მარჯორი მიგვითითებს თავისი თარგმანის წყაროებზე. ესენია:

1. ლადო აღნიაშვილის კოლექცია, გამოქვეყნებული თბილისში, 1890 წელს, ფოლკლორისტთა საზოგადოების მიერ სათაურით „ქართული ხალხური ზღაპრები";
2. პროფ. ალ. ცაგარელის „Мингрельские этюды"-ში შეტანილი მეგრული ზღაპრები, პეტერბურგი, 1880 წ, (მეგრულ და რუსულ ენებზე);
3. ანონიმური კოლექცია სათაურით—„Грузинские народные сказки". პეტერბურგი, 1884 წ.

---

* ქართული ზღაპრების პირველი თარგმანი ევროპულ ენაზე, კერძოდ, ფრანგულად, შესრულებული აქვს ჟ. ბურიეს. ამის შესახებ გვატყობინებს გაზ. „შრომა", 1882 წლის № 20.

როგორც აღვნიშნეთ, „ქართული ხალხური ზღაპრების" ინგლისური თარგმანის ერთ-ერთი წყარო ლადო აღნიაშვილის კრებული ყოფილა. სწორედ ამ კრებულიდანაა შესრულებული ზღაპრების უმეტესი ნაწილის თარგმანი. აღნიაშვილს გამოქვეყნებული აქვს თოთხმეტი ზღაპარი. მარჯორი უორდროპს ამ ზღაპრებისათვის ქართული ქრესტომათიიდან დაუმატებია „მეფის ძე და ვაშლი" და ყველა ზღაპარი მოუთავსებია კრებულის პირველ ნაწილში, რომლისთვისაც Georgian (ქართული) უწოდებია. როგორც მთარგმნელი აღნიშნავს, გურული და მეგრული ზღაპრები მეგრულიდანაა შესრულებული, და რადგან ისინი თარგმანის თარგმანს წარმოადგენენ, მათ განხილვაზე აღარ შევჩერდებით.

მარჯორი უორდროპს ქართული ზღაპრები დაყოფილი აქვს სამ ნაწილად: 1. Georgian (ქართული), 2. Mengrelian (მეგრული), 3. Gurian (გურული). ასეთი დასათაურების გამო, მკითხველს ბუნებრივად ექმნება შთაბეჭდილება, რომ ქართულიც ისეთივე დიალექტს წარმოადგენს, როგორც, ვთქვათ გურული. ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა, მთარგმნელს Georgian-ის ნაცვლად Kartlian (ქართლური) და Kakhetian (კახური) ეხმარა, მით უმეტეს, რომ ის, ალბათ, ამასვე გულისხმობდა, როცა თარგმანს საერთო სათაურად "Georgian Folk Tales"-ს (ქართული ხალხური ზღაპრები) აძლევდა.

ქართულ ფოლკლორულ ნიმუშთა ინგლისური თარგმანების ღირსება-ნაკლოვანებათა ცხადჰყოფის მიზნით საჭიროა გამორკვეულ იქნას:

ა) თუ როგორ გადააქვს მარჯორი უორდროპს ორიგინალის შინაარსობლივი მხარე;

ბ) როგორ იცავს ის ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელ საყოფაცხოვრებო დეტალებს;

გ) რა ხერხებს მიმართავს ქართული ფრაზეოლოგიის გადასატანად.

მარჯორი უორდროპის მიერ შესრულებული ინგლისური თარგმანის გაცნობისთანავე ნათელი ხდება, რომ მთარგმნელი კარგად გადმოსცემს დედნის შინაარსს, ცდილობს რა მაქსიმალურად დაიცვას ფოლკლორის ენისათვის დამახასიათებელი სისადავე და თხრობის ლაღი მდინარება. ამ აზრის საილუსტ-

რაციოდ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ავიღოთ რამდენიმე მათგანი.

ორიგინალი:

„აქედან გაფრენაში მე ყველაზე წინ მოვექცევი, უკან დაბრუნება'ში ყველაზე უკან ჩამოვრჩები და როცა ოსტატმა გკითხოს, რომელია შენი შვილი, შენ ჩემზე უჩვენე. გაუხარდა გლეხს და ოსტატის მოლოდინში გულდაიმედებული იყო".

თარგმანი:

"In the flight I shall fly before all and in the return I shall be behind of all and if the master asks thee which is thy son, thou wilt show to me. The peasant rejoiced and awaited the master with the hopeful heart".

ორიგინალი:

„გაუშვებდა ამ ორივე კურდღელს, გამოუდგებოდა და ორივეს ერთად იჭერდა. უყურა, უყურა ამ კაცს ასფურცელამ და ბოლოს დაუძახა: კაცო რას შერები, მაგ კურდღლებს როგორ იჭერ?—ასფურცელამ ასთავიანი დევი მოკლა და მე რო ორი კურდღელი დავიჭირო, რაში გაგკვირვებიაო?—უთხრა კურდღლიჭერიამ:

თარგმანი:

"He let the hares away, and then caught both again. Asp'hurtsela gazed and gazed at the man and then said: "Man, what art thou doing? how can thou catch these hares?—"Asp'hurtsela killed a hundred headed devi, and what is remarkable in catching two hares?—"said the hare-catcher".

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, მარჯორი უორდროპი კეთილსინდისიერად მიჰყვება ტექსტს და კარგად გადმოგვცემს მის უშუალობას, მაგრამ, თარგმანში ვხვდებით ისეთ ადგილებსაც, საიდანაც ჩანს, რომ მთარგმნელს ორიგინალის აზრი სწორად არ ესმის. ეს განსაკუთრებით ითქმის კრებულის პირველ ნაწილში მოთავსებული რამდენიმე ზღაპრის შესახებ. ასე მაგალითად,

„ერთხელ ცოლი აუტყდა ნაცარქექიას: გინდა თუ არა, ხელმწიფე უნდა დავპატიჟოთო“.

ნიუანსი სიტყვისა „აუტყდა“ მთარგმნელს არასწორად აქვს გადმოცემული. მარჯორი ხმარობს “said“, რაც „უთხრა“-ს ნიშნავს, უნდა ყოფილიყო bothered, insisted ან სხვა მსგავსი სიტყვა.

არც შემდეგ წინადადებაში გამოხატული აზრია სწორად გაგებული—„დედაჩემი რო ამ სოფლით მიიცვალა, თან ერთი ბექედი გაჰყვა“. აქ „ამ სოფლით“ მთარგმელს გაგებული აქვს პირდაპირი მნიშვნელობით—ამ სოფელში “in this village“ რაც, რასაკვირველია, სწორი არ არის. არც შემდეგი წინადადების აზრია მართებულად თარგმნილი—„თუ პირის ბანაში, წყალი სისხლად გექცეს, გაჭირვებაში ვიქნები და მომეშველეო“. ორიგინალის აზრი შემდეგია: თუ პირის ბანის დროს წყალი სისხლად გექცეს და სხვ. როგორც ჩანს, მთარგმნელს ფორმა „ბანაში“ გაუგია როგორც „ბანი“ და ასევე გადაუტანია ის ინგლისურ თარგმანში—“roof“.

საინტერესოა, თუ რამდენად ერკვევა მარჯორი უორდროპი ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებების, ადათ-წესებისა და ეთნოგრაფიული საგნების გაგებაში. ავიღოთ ზღაპარი „Good-for-nothing“—ნაცარქექია, რომელშიც ერთ ადგილას ნათქვამია—„შევიდა, ყველას ძმობა უთხრა, დეებმა ხმა არ გასცეს“ ე. ი. არაფერი ავნეს. იგივე წინადადება ასე გადააქვს მარჯორი უორდროპს—“He came to the devis and spoke in a friendly manner to them“.

თარგმანში არ არის გადმოცემული ორიგინალის მნიშვნელოვანი ნიუანსი ძმობის, დაძმობილების შესახებ; მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ხარვეზს მთარგმნელი მომდევნო ზღაპრებშივე ასწორებს.

სწორად არ არის გადატანილი შემდეგი წინადადების აზრიც – „ტირიან, ტირიან, რო პირი-სახეს სუ ფრჩხილით იკაწრავენ“. მარჯორი თარგმნის „იტირეს, იტირეს, სანამ სახე მთლად არ გაუფითრდათ“. ეს პატარა, თითქოს უმნიშვნელო დეტალი მოწმობს, რომ მთარგმნელი ჯერ კიდევ საკმაოდ კარგად არ იცნობს ქართველთა ჩვეულებებს. ინგლისელთათვის პირისახის კაწვრა უჩვეულო რამ არის, მაშინ როდესაც

იმდროინდელი ქართველი ქალისათვის დიდი უბედურების დროს ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. აქვე უნდა ვთქვათ, რომ „ვეფხისტყაოსანში“, სადაც ხშირად გვხვდება ეს გამოთქმა, მარჯორის სწორად აქვს ის თარგმნილი. — “scratch the face“.

არადამაკმაყოფილებლად არის თარგმნილი სიტყვა „ბანი“. იმისათვის, რომ ინგლისელებმა თვალნათლივ წარმოიდგინონ ქართველთა საცხოვრებელი შენობა, მას აუცილებლად უნდა ჰქონოდა დართული სათანადო შენიშვნა.

მთარგმნელი, ძირითადად, კარგად ახერხებს ქართული კოლორიტის დაცვას თარგმანში. ეთნოგრაფიულ საგანთა სახელწოდებები როგორიცაა: „ლიტრა“, „დოქი“, „ქოჩი“, „ყანწი“, „კოდი“ და სხვა, პირდაპირ გადააქვს და შენიშვნაში იძლევა მათ განმარტებას, თუმც იშვიათად ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მთარგმნელს ავიწყდება მის მიერ არჩეული გზა და „ნაბადს“ თარგმნის “a piece of felt, „ქალამანს“—“shoe“, „ფეშხვას“—“basketful“ და სხვა.

ქართული ზღაპრის სპეციფიკურობის შენარჩუნების მიზნით, მ. უორდროპი გვაძლევს ზღაპრის დასაწყისისა და ზღაპრისათვის დამახასიათებელ გამოთქმათა კარგ თარგმანს. ასე მაგალითად, „იყო და არა იყო რა“ თარგმნილია “there was and there was not at all“. „ჩემი შიშით ცაში ფრინველს ვერ გაუვლია და დედამიწაზე ჭიანჭველას—“for fear of me, bird cannot fly under heaven, nor even ant can crawl on earth“ და სხვა.

მ. უორდროპი ინგლისურ თარგმანში ტოვებს ზღაპრების ქართულ სახელწოდებას „კონკიაჟღარუნას“, „ასფურცელას“ და სხვა, მაგრამ, რატომღაც ასე არ იქცევა, როდესაც საქმე ეხება „ნაცარქექიას“, საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ზღაპარს, რომელიც გადატანილია “Good-for nothing“—ანუ უსაქმური.

რაც შეეხება, მ. უორდროპის მიერ ქართული ფრაზეოლოგიის გაგების საკითხს, უნდა ითქვას, რომ მთარგმნელს, უმრავლეს შემთხვევაში, მართებულად აქვს გაშიფრული მათი მნიშვნელობა.

ორიგინალის გამოთქმები: „შენ ხელი არა გქონდესო“

თარგმნილია—„ის შენთვის დაკარგულია; „პირ კატა ეცა“—გაოგნებული დარჩა. „ასე იდგა ყურებჩამოყრილი“ — ასე იდგა ნაღვლიანი, „სულ გულ-მუცელი აემღვრა“—ძლიერ აღელდა და სხვა.

როგორც ვხედავთ, ქართული ხატოვანი თქმები ძირითადად დაუძლეველი არ აღმოჩნდა მ. უორდროპისათვის. მან ხატოვანი თქმების სწორი გაშიფვრა მოგვცა, მაგრამ ჩვენის აზრით, თარგმანი უფრო მოიგებდა, მთარგმნელს ინგლისურ ფრაზეოლოგიაში რომ მოეძებნა შესაფერისი პარალელური იდიომები და ხატოვანი თქმები. ასე, მაგალითად, „ყურებჩამოყრილი“-ს—“he was sad“ ნაცვლად უმჯობესი იყო ამ შემთხვევაში მთარგმნელს გამოეყენებინა “He was in despair“, ვინაიდან ეს გამოთქმა უფრო უკეთ გამოხატავს მოქმედი პირის განწყობილებას (ვაჟკაცს ბაყაყი შეხვდა ცოლად, ცხადია, აქ ნაღვლიანი სუსტად გამოხატავს ორიგინალში ნაგულისხმევ აზრს); ან კიდევ, „ყველა თავში უფაჩუნებდა“ გადატანილია როგორც „სდევნიდა“. აქაც უნდა ყოფილიყო ისეთი გამოთქმა, რომელიც მკვეთრად გამოხატავს აბუჩად აგდებას, შეურაცხყოფას. ჩვენი აზრით, აქ უმჯობესი იქნებოდა მთარგმნელს გამოეყენებინა “Put an ape in his hood“ ან მისი მსგავსი გამოთქმა.

მარჯორი უორდროპს მოხდენილად გადააქვს ინგლისურ ენაზე როგორც ქართული გამოთქმის აზრი, ასევე ლაკონურობაც. ასე მაგალითად, „დარჩა ხახამშრალი“ გადატანილია “he was left with dry throat“; „დარჩა ბურთი და მოედანი“—“He was left the master of the field“; „მთელი ქვეყნის ტალახი თავზე ჩამოაქცია“—“cast all the dirt of the world on his head“ და სხვა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თარგმანში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მთარგმნელს სწორად არ ესმის ესა თუ ის ქართული გამოთქმა. ასე მაგალითად, „პუპლუცზე დაგვსხამს“, მარჯორი უორდროპს გადატანილი აქვს „ციხეში ჩაგვსვამს“, „პუპლუცზე დაგვსხამს“ კი ნიშნავს ცარიელზე დაგვტოვებს; გამოთქმა „ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა“ მარჯორის გაგებული აქვს დათმობის მნიშვნელობით, საპირიპირო აზრი კი უნდა ყოფილიყო—გაჭინიანდა, გაჯიუტდა; არც შემდეგი წინადადების

აზრი ესმის მთარგმნელს მართებულად: „არც არავინ საპმლის გამკეთებელი ჰყავდა, არც სახლ-კარის ყურის მიმგდები“, რომელიც ინგლისურად ასეა თარგმნილი: „არც არავინ საპმლის გამკეთებელი ჰყავდა, არც სახლის კარებთან მოდარაჯე“. როგორც ვხედავთ, „სახლ-კარის ყურის მიმგდები“ გადატანილია „სახლ-კარის მოდარაჯედ“, სინამდვილეში კი ეს გამოთქმა ოჯახის მოვლა-პატრონობას ნიშნავს და სხვ.

აღნიშნული ხარვეზები ნაწილობრივ უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ მ. უორდროპი ზღაპრებზე მუშაობის პროცესში ჯერ კიდევ უშუალოდ არ იცნობდა ქართველი ხალხის ცხოვრებას, მის ყოველდღიურ სასაუბრო ენას, რომელსაც ხატოვანი თქმებისა და იდიომების დიდი სიუხვე ახასიათებს. მიუხედავად ამისა, მარჯორი უორდროპმა მოგვცა კრებულის ჯეროვანად შესრულებული თარგმანი, რომლის ყოველ ზღაპარში ისმის გონებამახვილური, ნათელი, სადა, უშუალო თხრობა და ჩანს ასახული მოქმედების დინამიურობა. თავისი მშობლიური ფოლკლორის საუკეთესო მცოდნემ, მ. უორდროპმა ინგლისურ შესატყვისთა ზუსტი და მოხერხებული გამოყენებით შეძლო შესაფერისად წარმოედგინა ქართული ხალხური ზღაპრები, არა მხოლოდ ინგლისელ, არამედ, საერთოდ, ევროპელი მკითხველისათვის.*

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მ. უორდროპი ფოლკლორს, გვიდასტურებს, როგორც წინამდებარე თარგმანი, ასევე, ოლივერ უორდროპის მიერ გამოცემულ ინგლისურ-სვანური ლექსიკონის წინასიტყვაობა, სადაც ნათქვამია, რომ მ. უორდროპს ხელნაწერის სახით დარჩენია სვანური ხალხური ზღაპრების თარგმანი. ამ თარგმანის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არაფერია ცნობილი და, ცხადია, მისი მიკვლევა დიდ ინტერესს გამოიწვევს.

„ქართული ხალხური ზღაპრების“ ინგლისური თარგმანი გვიჩვენებს, რომ, ამ პერიოდში, მ. უორდროპს უკვე აქვს

---

* ცნობილია, რომ გერმანელი მეცნიერები გოლთერი და ნერინგი მ. უორდროპის თარგმანით გაეცნენ მეგრულ ზღაპარ „სანართიას“, რომელიც შემდეგში მწვავე ლიტერატურული მსჯელობის საგნად იქცა. ამის შესახებ იხ. შ. რევიშვილის წერილი გაზ. „თბილისში“, 1963 წ. № 208-209.

შესაფერისი საფუძველი ქართულ ლიტერატურულ ძეგლთა თარგმნისთვის, შესწევს უნარი სწორად აუღოს ალღო სხვადასხვა ნაწარმოებს, ჩასწვდეს მის ხასიათს და ნათლად წარმოგვიდგინოს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებითი სახე.

„მგზავრის წერილები"

უკანასკნელ დრომდე მარჯორი უორდროპის თარგმანებს შორის ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებს" არსად იხსენიებდნენ. არაფერს ამბობდა მისი არსებობის შესახებ არც იმდროინდელი ქართული პრესა და არც ოლივერ უორდროპის წინასიტყვაობა „ვეფხისტყაოსნის" ინგლისური თარგმანისათვის.

„მგზავრის წერილების" ინგლისური თარგმანი ოქსფორდის ბიბლიოთეკის მ. უორდროპის ფონდში აღმოჩნდა. შესაძლებელია, რომ მარჯორი მის შესახებ სწერდა კიდეც თავის ქართველ მეგობრებს, მაგრამ ასეთი მასალა ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის, და თარგმანის დათარიღებაც დღესდღეობით შეუძლებელი ხდება.

საფიქრებელია, რომ თარგმნის პროცესში, მარჯორი უორდროპს ხელთ ჰქონდა „მგზავრის წერილების" ორი გამოცემა. ერთი გამოქვეყნებული 1871 წელს, ხოლო მეორე— 1892 წელს, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა. როგორც ირკვევა, მარჯორის უხელმძღვანელია ქართველთა ამხანაგობის გამოცემით, რადგან 1871 წლის გამოცემის ტექსტში მთლიანად იყო ამოშლილი პირველი თავი და რიგი ადგილი. მ. უორდროპისეულ თარგმანში კი პირველი თავიც და ცენზურის მიერ 1871 წლის გამოცემის ტექსტიდან ამოღებული ადგილები თარგმნილია.

მ. უორდროპის თარგმანში ჩანს დიდი ილია, მისი დახვეწილი, თავშეკავებული მსჯელობა, გესლიანი სარკაზმი და

მახვილი ენა. ყოველივე ამას მთარგმნელი ინგლისური ლექსიკის ზუსტი და მოხერხებული გამოყენებით აღწევს.

ცდილობს რა ყოველთვის ახლოს იყოს დედანთან და მაქსიმალურად გადმოსცეს მისი შინაარსი, მთარგმნელი ქართულ სიტყვათა მრავალმნიშვნელობას სწავლობს და იკვლევს. მაგალითისათვის ავიღოთ „მგზავრის წერილების“ მეოთხე თავი, სადაც ილია სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობს სიტყვას „დიდებული“. თუ ერთგან მწერალს ეს სიტყვა სჭირდება მყინვარის სიდიადის, მისი ამაყი იერის დასახატად, მარჯორი იყენებს "great it is"; მეორეგან, როცა მწერალი ახასიათებს მყინვარს როგორც მდიდრულსა და ზვიადს, მარჯორი ხმარობს სიტყვას "grandeur", სხვა შემთხვევებში როდესაც საუბარია მყინვარის მეფურ სახეზე თარგმანში ვხვდებით "noble"-ს.

როგორც ვხედავთ, სიტყვა „დიდებული“ სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. ამ მრავალმნიშვნელოვანი აზრის გადატანა ერთი ინგლისური სიტყვით შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მთარგმნელის მიერ ქართულ სიტყვათა ნიუანსების ღრმა ცოდნა, რაც მარჯორის უკვე აქვს. ორიგინალის ხატოვან თქმებს მთარგმნელი გვაძლევს აღწერის გზით. „მგზავრის წერილებში“ ვხვდებით ასეთ ხატოვან თქმებს:

„ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად“, რომელიც უორდროპს შემდეგნაირად აქვს თარგმნილი: "The heavens are my headdress and the earth my slippers"; „რა ნესტარითაცა ხარ ნაჩხვლეტი“—"How thou art pierced with lancets" და სხვ.

თუ პირველი ხატოვანი თქმის გადატანის დროს მ. უორდროპმა კარგად შეინარჩუნა ორიგინალის სურათოვნება, მერე თქმისათვის, თუმც ის ზუსტად გამოხატავს ორიგინალში ნაგულისხმევ აზრს, უმჯობესი იყო მთარგმნელს გამოეყენებინა მისი ინგლისური ეკვივალენტი—"What is eating you", რადგან ეს გამოთქმა უფრო გაუადვილებდა ინგლისელ მკითხველს ორიგინალის აზრის გაგებას.

თარგმანში, მიუხედავად მ. უორდროპის თარგმნისათვის დამახასიათებელი სისწორისა, აქა-იქ მაინც გაპარულა ზოგი-

ერთი უზუსტობა. ერთ ადგილას ილია ამბობს —„დიდებულმა რამ არის ეგ მყინვარი“. მთარგმნელს ვერ გაუგია ნიუანსი სიტყვისა „რამ“ და პირდაპირ გადაუთარგმნია ის, რის გამოც, დაირღვა წინადადების აზრი და მწერლის ჩანაფიქრი შესუსტდა. მარჯორი თარგმნის—„რაღაც არის მყინვარში დიდებული“. გამოდის, რომ მყინვარი მთლიანად კი არ არის აღვსილი დიდებულებით, არამედ მხოლოდ დიდებულების ნაწილია მასში.

ერთ ადგილას, სადაც ილია ამბობს თერგზე „მოდის და მობღავის და აბღავლებს გარეშემოსა“, მარჯორი თარგმნის—„მოდის და მობღავის“. თარგმანში ამოვარდნილია მნიშვნელოვანი სახე „აბღავლებს გარეშემოსა“, რაც გარკვეულ დაღს აჩენს პასაჟის ზემოქმედებით ძალას.

მეოთხე თავში, სადაც ილია წერს თერგზე „რაკი გაუმინდკრებია და გაუვაკნია, ის დევ-გმირული ხმა ჩასწყვეტია“-ო, მთარგმნელს სიტყვა „დევ-გმირული“—შუაზე გაუყვია, ერთი ნაწილი გადაუთარგმნია როგორც „დემონური მეორე კი—როგორც „გმირული“. თუ მთარგმნელმა გაიაზრა თერგის ხმის სიძლიერე, სასურველი იყო მას შეენარჩუნებინა ის ნიუანსიც კეთილშობილურისა, რომელიც ქართულ „დევ-გმირულს“ ახასიათებს, დემონურისაგან განსხვავებით.

ერთგან ილია წერს: „თერგის მღვრიე წყალში ჩანს ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა“. მთარგმნელს აქაც არასწორად გაუგია ორიგინალის აზრი. ის თარგმნის: „მის მღვრიე წყალში შეგიძლიათ იპოვოთ ნაცარ-ტუტა მთელი ქვეყნის უბედურების ჩამოსარეცხად“. ცხადია, თარგმანში სულ სხვა აზრია გატარებული.

„მგზავრის წერილების“ ინგლისურ თარგმანში ვხვდებით ერთ დეტალს, რომელიც მოწმობს, რომ მ. უორდროპი ჯერ კიდევ საკმაოდ კარგად არ იცნობს საქართველოს ცხოვრების ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს, კერძოდ, ამ შემთხვევაში, მხედველობაში გვაქვს სიტყვა „თერგდალეულის“ თარგმანი, რომელიც მთარგმნელს გადააქვს „თერგთან მცხოვრების“ მნიშვნელობით, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა, ნაწარმოების თარგმნის პროცესში, მარჯორისათვის უცნობი იყო. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ მარ-

ჯორი უორდროპს „მგზავრის წერილების“ თარგმანი შესრულებული აქვს საქართველოში ჩამოსვლამდე.*

„მგზავრის წერილების“ ინგლისურ თარგმანში მ. უორდროპი დიდ მხატვრულ ოსტატობას ამჟღავნებს. მთარგმნელს პოეტური შეგრძნებით გადააქვს ორიგინალის მხატვრული სახეები, დიალოგები, აღწერები. ასე მაგალითად, თერგის სახე ისეთივე სიმძაფრით წარმოუდგება ინგლისელ მკითხველს, როგორც ქართველს. ვკითხულობთ თარგმანს და ვხედავთ გამძვინვარებული, შეუპოვარი, დაუმონავი თერგის კლდეებთან შერკინებას და გვესმის მისი გაცოფებული ტალღების თავზარდამცემი შხუილი. მთარგმნელის უტყუარ ნიჭზე მეტყველებს მყინვარის სახის დედნისებური სიძლიერით გადმოცემა. ინგლისური თარგმანის ამ ნაწყვეტის წაკითხვა ააღელვებს ყველას, ვისაც კი ოდესმე ილიასეული აღწერა სმენია:

„ერთი მუჭის ოდენი ღრუბელიც არა ჰფარავდა მის მაღალ შუბლსა, მის ყინვით შეეერცხლილ თავსა, ერთადერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე ზედ დაჰნათიდა, ერთს ალაგას გაჩერებული, თითქო მყინვარის დიდებულ სახეს განუცვიფრებიაო. მყინვარი! დიდებულია მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღელვებს, მაციებს და არ მათბობს. ერთი სიტყვით, მყინვარია. მყინვარი მთელი თავისი დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდებულება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ჭარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალ შუბლზე ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმც დედამიწაზე უდგას, თავი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია“...

იგივე ინგლისურად:

“Not a cloud, even of the size of a man's hand, dimmed its lofty brow. Its head silvered with frost. One solitary star of great brilliance shone steadily as if marvelling at Mqinvari's noble mien. Mqinvari! Great it is

* „მგზავრის წერილების“ ინგლისური თარგმანი გამოუქვეყნებელია. ის ოქსფორდში ინახება.

calm and peaceful, but it is cold and white. Its appearance makes me wonder and does not move me. In a word it is Mqinvari (frozen).

Mqinvari with all its grandeur is to be admired but not to be loved and what do I want with its greatness? The world's hum, the world's whirlwind and breezes, the world's ill and weal makes not even a nerve in his lofty brow twitch. Although his base stands on mother earth, his head rests in heaven; it is isolated"...

„მგზავრის წერილების" ინგლისური თარგმანის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მთარგმნელმა შეძლო მოხდენილად გადმოეცა ილიას მიერ დახატული თერგისა და მყინვარის დიდებული სურათები. ინგლისელი მკითხველი იგრძნობს, ერთის მხრივ, იმ დიდ კონტრასტს, რომელიც ახასიათებს დარიალის ხეობაში აბობოქრებულ, გამალებით მსრბოლ და შემდეგ დაბლობზე ზანტად მიმდინარე, დამდორებულ, უსიცოცხლო თერგსა, ხოლო მეორეს მხრივ, ქვეყნის ცხოვრებით აბობოქრებულ თერგსა და ცხოვრებისაგან განმდგარ გულცივ მყინვარს შორის.

„მგზავრის წერილების" შინაგანი მუსიკის დაცვის მიზნით მ. უორდროპი ილიასეულ მხატვრულ ხერხებს მიმართავს. თარგმანში არა ერთხელ მეორდება „დაღამდა", „გათენდა" და ორიგინალში ემფატიურობის მიზნით გამოყენებული სხვა სიტყვები. მარჯორი უორდროპს განსაკუთრებით ეძარჯვება ილიას იუმორით აღსავსე დიალოგების სხარტად გადატანა. მისთვის ყოველ ქართულ სიტყვას შინაარსობლივად ზუსტი ინგლისური ეკვივალენტი შეესაბამება. მარჯორის მიერ თარგმნილი „მგზავრის წერილების" რომელი პასაჟიც არ უნდა ავიღოთ, ცხადად ჩანს, თუ რა საოცრად გრძნობს მთარგმნელი ძარღვიანი ქართული სიტყვის ძალას. მას დაჭერილი აქვს ნაწარმოების შინაგანი რიტმი და კარგად აქვს ის აჟღერებული ინგლისურ თარგმანში. უორდროპი დიდი სიფრთხილით არჩევს სიტყვებს, დიდი მუსიკალური შეგრძნებით აწყობს მათ წინადადებებში და სასურველ შედეგსაც აღწევს—მისი თარგმანი თეთრი ლექსივით მსუბუქია, ნატიფი, ამაღლებული.

მ. უორდროპის თარგმანი ორიგინალის მექანიკური გადაღება კი არ არის, ის მაღალპოეტური აღმაფრენისა და დიდი ნიჭიერების ნაყოფია. თუ „ქართული ხალხური ზღაპრების" თარგმანში მ. უორდროპმა გამოაჩინა თავისი მთარგმნელობითი შესაძლებლობანი, ნათელჰყო, რომ მას შესწევს უნარი სწორად აუღოს ალღო ამა თუ იმ ნაწარმოებს, „მგზავრის წერილების" თარგმანით ის უფრო შორს წავიდა—მან დახვეწა თავისი მეთოდი, გაამახვილა ყურადღება არა მხოლოდ შინაარსის სრულყოფილად გადმოცემაზე, არამედ ორიგინალის სიტყვიერ სამკაულებზე და შინაგან რიტმზე, რაც ასე საჭიროა ნხატვრული თარგმანისათვის. ამ თარგმანზე მუშაობის დროს მიღებულმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ გააბედინა მარჯორი უორდროპს ხელი მოეკიდა მე-19 საუკუნის ქართული პოეზიის მშვენების, ილია ჭავჭავაძის „განდეგილისათვის".

„განდეგილი"

ილია ჭავჭავაძის „განდეგილის" ინგლისურ თარგმანში ყველაზე მეტად გამომჟღავნდა მარჯორი უორდროპის მთარგმნელობითი ხელოვნება და მისმა თარგმნის მეთოდმაც სავსებით ჩამოყალიბებული სახე მიიღო. მარჯორი უორდროპის ეს შემოქმედებითი გამარჯვება განაპირობა, როგორც პოემა „განდეგილის" იდეურ-მხატვრულმა ღირსებებმა, ასევე ქართული ლექსისათვის შესაფერისი ფორმის შერჩევამ და ავტორისეული სტილის მაქსიმალურად ამეტყველებამ თარგმანში. „განდეგილის" ზოგად-საკაცობრიო იდეამ, გმირთა მაღალმა შინაგანმა სამყარომ, პოემის კომპოზიციურმა დახვეწილობამ და მომხიბლავმა მხატვრულმა სახეებმა მიიპყრო მთარგმნელის ყურადღება. მოვუსმინოთ რას ამბობს ამის შესახებ თვით მარჯორი:

„დაწყებული `უძველესი ბუდისტური ლეგენდიდან – თანა-

მეოცე ფრანგულ რომანამდე, მრავალი მოთხრობა დაწერილა წმიდა განდეგილთა ცთუნების შესახებ. „განდეგილი“ განსხვავდება ყველა ამათგან თავისი აღმაფრთოვანებელი სისადავით. აქ არ არის თეატრალური ხელოვნურობა, არც ზმანებანი იმ ძალისა, რომელსაც სურს შეაცდინოს მწირი, გამოიყვანოს ის მარტოობიდან, სიღარიბიდან, ტანჯვიდან. არც კლეოპატრასა და სემირამის მოჩვენებებს ძალუძს ააცდინოს განდეგილი თავისი მოვალეობის გზას. მხოლოდ უბრალო ასულმა შესძლო ეს, უმანკომ და მშვენიერმა. ის უამბობს მწირს ადამიანური სიყვარულისა და ცხოვრების სიხარულის შესახებ. მაინც, რაც უფრო უბრალოა ეს ცთუნება, მით უფრო ვგრძნობთ მის სიმწვავესა და სიძლიერეს“.*

მთარგმნელი კარგად იცნობს როგორც აღმოსავლეთის და ისე დასავლეთის ლიტერატურას, იცის მრავალი მოთხრობა წმიდა განდეგილთა ცთუნების შესახებ, მაგრამ საკითხის იმგვარი გადაწყვეტა, როგორც ილიამ მოგვცა, მას არსად შეხვედრია.

„განა განდეგილი არ გამოხატავს მიდიევიზმს,—წერს მარჯორი,—და მწყემსი ქალი კი ასეთი მომჯადოებელი და ნათელი რენესანსი არ არის, რომელიც საქართველოში დასავლეთზე ბევრად უფრო გვიან მოვიდა? მისი მშვენიერებისა და მხიარულების წინაშე დრომოჭმული ცხოვრება დიდხანს ვერ იზეიმებს, მან ან უნდა გაიზიაროს მისი აღფრთოვანება, ან მოკვდეს“.**

როგორც ვხედავთ, მარჯორი უორდროპი ასკეტიზმის წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლის გარდა, პოემაში ხედავს რენესანსული იდეების ტრიუმფს, თუმცა ის სწორი არ არის, როცა ამბობს, რენესანსი საქართველოში დასავლეთზე ბევრად უფრო გვიან მოვიდაო.

თარგმანის წინასიტყვაობაში მ. უორდროპი გადმოგვცემს ილია ჭავჭავაძის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს და ცდილობს უცხოელ მკითხველს მწერლის მრავალმხრივი მოღვაწეობის მთლიანი სურათი წარმოუდგინოს.

---

* Ilia Chavchavadze—The Hermit, London, 1895 p. 3

** იქვე. გვ. 3

სანამ მ. უორდროპისეული ინგლისური თარგმანის უშუალო განხილვაზე გადავიდოდეთ, გვინდა გაკვრით შევეხოთ იმ სიძნელეებს, რასაც წააწყდა მთარგმნელი ქართული ლექსის ინგლისურ ენაზე გადატანის დროს.

როგორც ცნობილია, ქართულ ლექსს უდიდესი ტრადიცია აქვს. მის უძველეს ფორმებს დღესაც ვხვდებით ძველ ქართულ ხალხურ ანდაზებში, გამოცანებსა და პოემებში. დღემდე შემორჩენილი უძველესი ლექსები ქორე-დაქტილურ საზომზეა დაფუძნებული (ხევსურული, სვანური). ქართველ მეცნიერთა—პროფ. პ. ბერაძის, პროფ. აკ. გაწერელიას და სხვათა კვლევა-ძიების შედეგად საბოლოოდ დამტკიცდა, რომ ქართული ლექსის, სიმღერისა და ცეკვის ძირითადი მეტრი ქორე-დაქტილია. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მე-12 საუკუნეში და უფრო ადრეც, როცა ქართულმა ლექსმა თავისი განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია (ექვსტერფიანი დაქტილი), ინგლისურ პოეზიაში ჯერ იამბი ჩამოყალიბებული არ იყო. შეიძლება ითქვას, რომ ინგლისში, ნორმანების შემოსვლამდე, გარითმული ლექსი არც კი არსებობდა.

მე-15-16 საუკუნეებში ხალხური ბალადების განვითარებასთან ერთად, იამბი საბოლოოდ განმტკიცდა ინგლისურ ლექსთწყობაში და ძირითად, დამახასიათებელ ტერფად იქცა. ქორეული ტერფი, რომელიც ქართულისათვის დამახასიათებელი ტერფია, ინგლისურში იშვიათობას წარმოადგენს; იამბი კი სრულიად შეუფერებელი ტერფია ქართული ლექსთწყობისათვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ და ინგლისურ ლექსთწყობას ერთმანეთის საწინააღმდეგო კანონები ახასიათებს. თუ ქართულში ყველა ორმარცვლიანი სიტყვა ქორეულია (წა-დი, კა-რი, მო-დი, ჯა-რი და სხვ.), ინგლისურში, უმრავლეს შემთხვევაში, იამბურია (re-ceive, de-fine, re-fuse და სხვა).

დაქტილს, ქართულისათვის ძირითად ტერფს, ინგლისურში ძალზე იშვიათად ვხვდებით. ქართული ლექსი დაღმავალი რიტმით ხასიათდება—ერთი მახვილიანი და ერთი უმახვილო (—⏑), ან ერთი მახვილიანი და ორი უმახვილო (—⏑⏑), ინგლისური კი, პირიქით, ერთი უმახვილო და ერთი მახვილიანი (⏑—), ან ერთი უმახვილო და ორი მახვილიანი(⏑——).

ინგლისურში ლექსის სტრიქონთა მეტრი, ძირითადად, დამოკიდებულია მახვილთა რაოდენობაზე, ქართულში კი „ლექსის რიტმი ემყარება მახვილიანი და უმახვილო მარცვლების კანონზომიერ თანმიმდევრობას ტაეპში, სიტყვიერი მარცვლების პოტენციურ ხარისხს“.*

ინგლისელი პოეტი სამუელ კოლრიჯი (1772—1834) ინგლისური ლექსის თავისებურების ნათელ დახასიათებას გვაძლევს: „დათვალეთ მახვილთა რაოდენობა სტრიქონში და არა მარცვალთა რაოდენობა, თუმცა მარცვალთა რაოდენობა იცვლება შვიდიდან თორმეტამდე, ყოველ სტრიქონში მხოლოდ ოთხი მარცვალია“.**

ქართულ ენას ფლექსიური ფორმების სიჭარბე მეტ მოქნილობასა და ლაკონიურობას მატებს, ინგლისურ· ენას კი ასეთი ფორმები არ გააჩნია. როცა ვამბობთ: „დააწერინა“, გასაგებია, რომ „დააწერინა მან მას ის“. ინგლისურში ვერ ვიტყვით მხოლოდ “write“-ს, იგივე აზრის გამოსახატად აუცილებლად უნდა შემოვიტანოთ მთელი კონსტრუქცია. ასეთი ვითარება, თავის მხრივ აგრძელებს ინგლისური ლექსის სტრიქონს და ხშირად იძულებულს ხდის მთარგმნელს ორიგინალის დინამიურობის დაცვის მიზნით შეცვალოს ლექსის ფორმა.

როგორც ვხედავთ, ინგლისური ლექსთწყობა რადიკალურად განსხვავდება ქართული ლექსთწყობისაგან. ამიტომ მთარგმნელმა ისეთი მეტრი უნდა მონახოს სათარგმნ ენაზე, რომელიც ყველაზე მეტად უდგება დედნის მეტრს. სწორედ ასე მოიქცა მარჯორი უორდროპიც, რომელმაც იამბიკური პენტამეტრი მიუყენა დედნის ათმარცვლიან ლოგაედურ მეტრს (ქორე-დაქტილური) თვალსაჩინოებისათვის ავიღოთ პოემის დასაწყისი სტროფი:

„სადაც დიდებულ მთასა მყინვარსა — ⏑ / — ⏑ ⏑ / — ⏑ / — ⏑ ⏑
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან, — ⏑ / — ⏑ ⏑ / — ⏑ / — ⏑ ⏑
სად წვიმა-ქარი ყინულად ქმნილნი — ⏑ / — ⏑ ⏑ / — ⏑ / — ⏑ ⏑
მზისგან არასდროს არა დნებიან.“ — ⏑ / — ⏑ ⏑ / — ⏑ / — ⏑ ⏑

---

* გაწერელია აკ.—ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1955, გვ. 15
** Coleridge S.—Preface to "Christabel", London, 1816

იგივე ინგლისურად:

"There, where Mount Kazbek rears his noble
brow, ⏑—/⏑—/⏑—/⏑—/⏑—
Where eagle cannot soar, nor vulture fly, ⏑—/⏑—/⏑—/⏑—/⏑—
Where, never melted by the sun's warm
rays, ⏑—/⏑—/⏑—/⏑—/⏑—
The frozen rain and snow eternal lie." ⏑—/⏑—/⏑—/⏑—/⏑—

თავის თარგმანში მარჯორი უორდროპი, დედნის მსგავსად, ყველგან ინარჩუნებს ჯვარედინ რითმას.

„განდეგილის" ინგლისური თარგმანი წარმოადგენს რეალისტური თარგმნის შესანიშნავ მაგალითს, არაჩვეულებრივი სიცხოველით გადმოგვცემს რა დედნის აზრსა და მხატვრულ სახეებს.

ორიგინალი:

„არავინ იყო... ხოლო ცეცხლა-პირს
ქალს დაღალულსა მისძინებოდა;
და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს,
ვით საყვარელსა, ზედ დაჰხაროდა.
საოცარ იყო მიძინებული,
იგი სიტურფე, იგი მშვენებაl
თითქოს მის შექმნას ერთად ცდილანო
თვით სიყვარული და ნეტარება..."

თარგმანი:

"But none was there... none save the wearied maid,
Who, sunk in slumbers soft, in silence lay,
While lovingly on her the firelight glowed
And flickered o'er her fair face, glad and gay.
Bewitching was she as she lay asleep,
Adorned in beauty and all charms of love,
As if, seeking to make her fair and good,
Both love and happiness together strove".

თუმცა მ. უორდროპი ყველგან დიდი კეთილსინდისიერებით მიჰყვება დედნის ტექსტს, თარგმანში არის შემთხვევები, როდესაც ფლექსიური ფორმების უქონლობის, ან არჩეული სალექსო მეტრის გამო, მთარგმნელი იძულებული ხდება მიმართოს მრავალსიტყვაობას, ან შეცვალოს ზოგიერთი სიტყვა.

მაგალითად, ერთგან ერთი ქართული სიტყვის „გადმომდგარიყო“-ს ნაცვლად მ. უორდროპი იძულებულია მთელი წინადადება შემოიტანოს—"Forth through the door he dragged his limbs“, ხოლო მეორეგან, იამბურ ტერფთა შენარჩუნების მიზნით სიტყვას „მყინვარი“, ცვლის "Kazbek“-ით, ვინაიდან პირველი დაქტილია (—⏑⏑), ხოლო მეორე—იამბი (⏑—).

საინტერესოა, თუ რამდენად ახერხებს მ. უორდროპი ილია ჭავჭავაძის სტილისტურ თავისებურებათა გადატანას. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ილია მეტი გამომსახველობის მიღწევის მიზნით, არა ერთხელ მიმართავს არქაიზმებს. მარჯორი უორდროპიც ასევე იქცევა. ის დიდი სიფრთხილითა და ზომიერებით ეკიდება არქაულ სიტყვებსა და გამოთქმებს. პოემის მხატვრულ სახეთა გადატანის დროს კი, თუ შესაძლებელია, პირდაპირ გადააქვს ისინი, თუ არა და, ერთ სახეს მიახლოებული სახით ცვლის, ცდილობს რა ყოველთვის ახლოს იყოს ორიგინალთან. ასე მაგალითად:

„და მთის მწვერვალზე ვით ცეცხლის ბორბალი
ირგვლივ სხივგაშლით ანთებულიყო“.

თარგმანში „ცეცხლის ბორბალის“ ნაცვლად ვხედავთ—„აალებულ ცეცხლის მარაოს“, მაგრამ თარგმანში არსებითად არაფერი იცვლება, ვინაიდან სახეთა ასეთი შენაცვლება ერთსა და იმავე ასოციაციას იწვევს. სათარგმნი ტექსტისადმი ასეთი მიდგომის მიუხედავად, მ. უორდროპის თარგმანში, თუმც იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით დედნის მხატვრული მხარის ერთგვარ შესუსტებასაც. ასე მაგალითად, ილია ამბობს:

„და იმ ყინულში შეთხრილ ღვთის ტაძარს,
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.“

ინგლისურ თარგმანში, სრულიად ამოვარდნილა სახე „ყინულში შეთხრილს“, რის გამოც ინგლისელ მკითხველს ვერ ექმნება სრული წარმოდგენა ბეთლემის ადგილ-მდებარეობისა, ნაწარმოების ამ ადგილას აღწერილი ბუნების შესახებ. პოემის არც შემდეგი მხატვრული სახეა სწორად გადატანილი ინგლისურ თარგმანში:

„და მყინვარიდან ვითა ვეშაპი,
შავი ღრუბელი დაიძრა მძიმედ.“

მ. უორდროპს თარგმანში თითქოს უმნიშვნელო ცვლილება შეუტანია, „ვეშაპი“ შეუცვლია „გველით“, მაგრამ ამის გამო, სრულიად იცვლება მხატვრული სახე. ილიასთან პირქუში ჯანღი ვეშაპივით მძიმედ იძვრის. ილია სიტყვას „ვეშაპივით“ ხმარობს გრანდიოზულობის საჩვენებლად, თარგმანში კი ვხედავთ სურათს, სადაც შავი ღრუბელი გველივით სწრაფად მიიკლაკნება. განსხვავება ამ ორ სახეს შორის აშკარაა.

ინგლისურ ენას მოკლე სიტყვები ახასიათებს და ქართული ლექსის მუსიკის დასაცავად მთარგმნელი ხშირად იძულებული ხდება, ინგლისური ლექსის სტრიქონში სიტყვები დაუმატოს. ამის გამო, თარგმანში არის შემთხვევები, როდესაც ილიას მხატვრულ სახეებს მარჯორი უორდროპი კი არ აკნინებს, არამედ, თუ შეიძლება ითქვას, აძლიერებს კიდეც. ასე მაგალითად:

„ცოდვაა გარეთ დაგტოვო ამ დროს“.

თარგმნილია:

“It were a sin to leave thee to the storm a prey“.

ანუ ცოდვა იქნებოდა ქარიშხლის მსხვერპლად დამეტოვებინე.

ან კიდევ;

„მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო.“

თარგმანი:

“The setting sun had not sunk to rest
Behind the mountain's summit still he beamed.“

რაც ნიშნავს—ჩამავალი მზე მოსასვენებლად არ ჩაძირულიყო, ჯერ კიდევ სხივებად იშლებოდა მთის მწვერვალიდან და სხვა.

ასე რომ, თუ ზოგიერთი მხატვრული სახე ზუსტად ვერ არის გადმოცემული, სამაგიეროდ, უმრავლეს შემთხვევებში, მარჯორი უორდროპი კარგად ინარჩუნებს ორიგინალის შინაარსსა და საერთო განწყობილებას.

განსაკუთრებულ წარმატებას აღწევს მ. უორდროპი ილიასეული პეიზაჟების გადატანისას. მისი თარგმანით ინგლისელ მკითხველს მთელი სისრულით წარმოუდგება კავკასიონის ზვიადი მომხიბლავი სანახაობა. თუ „განდეგილის“ პროლოგში ჩვენ თვალწინაა ცადმიბჯენილი, მზის სხივებით გაცისკროვნებული ჰაღარა მყინვარი, სულ სხვაა იგივე მყინვარი ავდარში — სახეჩაშავებული, მწუხრის ღრუბლებითა და ელვის გრაგნილებით გარშემორტყმული. ამ შესანიშნავი პეიზაჟების ფონზე მომხიბლავად გამოიყურება თარგმანში განდეგილისა და მწყემსი გოგონას ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სახე. მწირი—„სახეგამხდარი, კუშტი და მწყრალი, ლოცვით და მარხვით ხორცთუძლურქმნილი“ საოცარ სულიერ გარდატეხას განიცდის. მასში იღვიძებს ხელოვნურად ჩაკლული, მიძინებული გრძნობა. ამქვეყნიური ცხოვრების სადიდებელი ჰიმნი ისმის ილიას ყოველ სტრიქონში და ამასვე ვგრძნობთ ინგლისურ თარგმანშიც. რა უბრალოდ, რა უშუალოდ გვიხატავს მარჯორი უორდროპი ცეცხლის პირას მიძინებული მწყემსი გოგონას მშვენიერებას! რა დიდი ძალით იგრძნობა ამ აღწერაში სიცოცხლის სუნთქვა, მისი ძლიერი მაჯისცემა.

ინგლისელი მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის დიდი ხელოვნებით იყენებს ინგლისური ენის მდიდარ ლექსიკას. მოსაწყენი რომ არ გახდეს თარგმანი, მარჯორი დიდი სიფრთხილით არჩევს სინონიმებს და თავის თარგმანში კონტექსტის შესაბამისად იყენებს მათ.

„განდეგილის“ ინგლისურ თარგმანში მ. უორდროპმა შესძლო გადმოეცა ილიასათვის დამახასიათებელი ღრმა ლირიზმი, ცოცხალი, სხარტი ენა, ლაკონიური და მომხიბლავი მხატვრული სახეები. ამ თარგმანით მარჯორი უორდროპი წარმოგვიდგა, როგორც თარგმნის ხელოვნებას დაუფლებული, მომწიფებული შემოქმედი, რომელიც უკვე საკუთარი ჩამოყალიბებული მეთოდით ხელმძღვანელობს: ის ცდილობს არა მხოლოდ ორიგინალის შინაარსის მაქსიმალურად დაცვას, არამედ დიდი პოეტური შეგრძნებით გადააქვს თარგმანში ორიგინალისათვის დამახასიათებელი სურათოვნება. მარჯორი მაქსიმალურად იცავს ორიგინალის ლექსის ჟღერადობას და თავის თარგმანში მაღალმხატვრულობას აღწევს. ამ თარგმა-

ნით* მარჯორი უორდროპმა გარკვეული სამსახური გაუწია ინგლისელ საზოგადოებას ქართული პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილების „განდეგილის“ გაცნობის საქმეში.

„წმიდა ნინოს ცხოვრება“

შემდეგი თარგმანი, რომლითაც მარჯორი უორდროპი თავის ძმა ოლივერთან ერთად წარუდგა ინგლისელ მკითხველ-საზოგადოებას, „წმ. ნინოს ცხოვრება“ იყო. ეს თარგმანი 1900 წელს გამოქვეყნდა ოქსფორდში. ის გარემოება, რომ უორდროპებმა სათარგმნელად ეს ნაწარმოები აირჩიეს, კიდევ ერთხელ ადასტურებს აზრს, რომ ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ უცხოელთა ყურადღება მიექციათ საქართველოსადმი, რომელმაც აღმოსავლეთში ერთ-ერთმა პირველთაგანმა აღიარა ქრისტიანული სარწმუნოება.

„წმ. ნინოს ცხოვრების“ თარგმანს დართული აქვს მთარგმნელთა წინასიტყვაობა, ნაწყვეტები რუფინუსიდან და ცნობილი არმენოლოგის კონიბირის მიერ სომხურიდან შესრულებული „ქართლის ცხოვრების“ ინგლისური თარგმანი.

თარგმანის წინასიტყვაობიდან ჩანს, რომ მთარგმნელებს უსარგებლიათ 1882 წელს მიხ. საბინინის მიერ გამოცემულ ქართველ წმინდანთა ცხოვრების კრებულით –„საქართველოს

---

* აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ „განდეგილის“ მ. უორდროპისეული თარგმანით უსარგებლია ჟ. ბურიეს, როცა ის პომის ფრანგულ პროზაულ თარგმანზე მუშაობდა. ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილა დოც. ფატი გოკიელმა თავის შრომაში—„ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ფრანგულ თარგმნით ლიტერატურაში“. შრომის ავტორმა „განდეგილის“ ინგლისური და ფრანგული თარგმანების შედარების საფუძველზე სავსებით მართებული დასკვნები გამოიტანა. ბურიეს თარგმანში ვხედებით მარჯორი უორდროპის მიერ გავრცობილ წინადადებებს, რომლებიც უორდროპთან სალექსო ფორმითაა განპირობებული და ბურიეს პროზაულ თარგმანში შესაძლებელი იყო მათი ისევე გადატანა, როგორც ორიგინალშია, მარჯორი უორდროპის მიერ შეცვლილ მხატვრულ სახეებსა და სხვა.

სამოთხე". მთარგმნელები იქვე მიუთითებენ, რომ მათ ერთმანეთისათვის შეუდარებიათ ექვთ. თაყაიშვილის მიერ 1892 წელს გამოქვეყნებული „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა" და შემჩნეული განსხვავება „ახალ ვარიანტსა" და საბინინის ტექსტს შორის შენიშვნაში შეუტანიათ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მთარგმნელებს ექვთ. თაყაიშვილის „ახალი ვარიანტი" უძველეს ტექსტად მიაჩნდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თარგმნეს არა „ახალი ვარიანტი", არამედ საბინინის მიერ გამოცემული ტექსტი. თავისი არჩევანის გასამართლებლად მთარგმნელები წერენ:

„საბინინის ტექსტს ის ღირსება აქვს, რომ გვაძლევს ურთიერთდაკავშირებულ თხრობას".

თუმცა უორდროპებმა ერთმანეთს შეუდარეს მათ მიერ თარგმნილი ძეგლის რამდენიმე ვერსია, მაგრამ მათი მეცნიერული გაანალიზება ვერ შეძლეს. ეს გარემოება იმთავითვე შენიშნა ნ. მარმა, რომელმაც სპეციალური წერილი მიუძღვნა უორდროპების ინგლისურ თარგმანს. მოგვყავს პატარა ამონაწერი ამ წერილიდან:

„В первом предисловии и примечаниях принадлежащих его авторам, встречаемся с краткими указаниями, в общем точными на издания и лежащия в их основания рукописи, но не находим достаточного знакомства литературою предмета, довольно бедною. Что же касается критического отношения к переводимому тексту, то у Марджори и Оливер Уордроп нет его и тени".*

მეორე წერილში აკად. ნ. მარი მთარგმნელებს ედავება ზოგიერთი სიტყვის, კერძოდ, სიტყვა „Evadagi"-ის** გამო,

---

* Марр Н.—Жития св. Нины, текс. и раз., кн. V, 1900 г., ст. 49.

** 1896 წლის წერილში მ. უორდროპი ოლღა ჭავჭავაძეს თხოვს ამ სიტყვის განმარტებას. აი, რას წერს ის: „წმ. ნინოს ცხოვრება გადავთარგმნე, მაგრამ ვერსად ვერ ვპოვე რას ნიშნავს „ვადაგი მეფეთა" (იქვეა მინაწერი „ნათესავი თუ ტომი") და „უორეს შენებულისა". მე დიდათ მადლობელი ვიქმნები, თუ შეგიძლიათ ნიშანს მითხრობა" (ხელნაწერთა ინსტიტუტი. ილიას არქივი. ხელ. № 6). თუ როგორი განმარტება მისცა მთარგმნელს ო. ჭავჭავაძემ, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მარჯორი არ დაკმაყოფილებულა ამ განმარტებით და საკითხი მაინც ღიად დაუტოვებია, თუმც „ევადაგი" ინგლისურ თარგმანში თავი ასოთი დაუწერია.

რომელიც მთარგმნელებს საკუთარი სახელის წერის წესით აქვთ მოცემული. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მთარგმნელები ამ სიტყვას იქვე სათანადო შენიშვნას ურთავენ, რომელიც მიუთითებს, რომ "Evadagi"-ის მნიშვნელობა ჯერჯერობით გაურკვეველი და დაუდგენელია.

„წმ. ნინოს ცხოვრების" ინგლისური თარგმანი კეთილსინდისიერად შესრულებული ნაშრომია. მასში მთარგმნელებმა ზედმიწევნით გადმოსცეს ორიგინალის შინაარსი და ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთათვის დამახასიათებელი სტილისტური თავისებურებანი.

მარჯორი და ოლივერ უორდროპები არ ცდილობენ მექანიკურად გადაიტანონ ინგლისურ თარგმანში ქართულ წინადადებათა წყობა.

მათ, უპირველესად ყოვლისა, აინტერესებთ დედნის აზრის სრულყოფილად გადატანა ინგლისურ ეკვივალენტთა შეხამების გზით.

უორდროპების თარგმანი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სახარებისათვის დამახასიათებელი, უშუალო, სადა, ამაღლებული სტილის გამო. თარგმანის გაცნობისას, პირველივე წინადადებებიდან იგრძნობა ფარული რიტმული მდინარება, რაც თარგმანს თავისებურ სიდარბაისლესა და ზემოქმედებით ძალას მატებს. არქაიზმების ზომიერი გამოყენება, მოხდენილი ინვერსიები, რაც განსაკუთრებით იგრძნობა ინგლისურ წინადადებაში, რომელსაც სიტყვათა მტკიცე წყობა ახასიათებს, ბიბლიური ტექტების სტილისტურ თავისებურებათა ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, დასახული მიზნის წარმატებით განხორციელებაში ხელს უწყობს მთარგმნელს. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოგვყავს ერთი ფრაგმენტი „წმ. ნინოს ცხოვრების" ინგლისური თარგმანიდან:

"I see, my child, thy strength, like the strength of the lioness, whose roar is louder than of any other fourfooted animal, or like the female eagle, which, soaring in the highest air, beyond the male, and with the pupil of her eye, seeing all the country tiny as a pearl, stops, searches like lightning perceiving her prey-she plumes her wings and immediately swoops upon it".

ბაევის თარგმანში უორდროპები ყოველმხრივ ცდილობენ ორიგინალის კოლორიტის დაცვას. მათ პირდაპირ გადააქვთ ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი სიტყვები და შენიშვნაში მათ განმარტებას გვაძლევენ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მთარგმნელები გეოგრაფიულ სახელწოდებებსა და საკუთარ სახელებს წერენ ისე, როგორც ისინი გამოითქმის ქართულში; ამის გამო, ინგლისურ თარგმანში თითქმის არც ერთი სახელი და სახელწოდება არ არის დამახინჯებული, რასაც ხშირად ვხვდებით დასავლეთ ევროპის მწერალთა როგორც ქართულ, ასევე რუსულ იმდროინდელ თარგმანებში.

თუმცა თარგმანში აქა-იქ ადგილი აქვს ზოგიერთ უზუსტობას, ის მაინც ინარჩუნებს გარკვეულ მნიშვნელობას, რადგან დაინტერესებულ პირთ სწორ წარმოდგენას უქმნის ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშზე.

„ვეფხისტყაოსანი"

„ვეფხისტყაოსნის" ევროპულ ენებზე თარგმნას, ისევე, როგორც, საერთოდ, ქართული მწერლობის ნიმუშთა თარგმნას, არცთუ ისეთი დიდი ხნის ისტორია აქვს.

„ვეფხისტყაოსნის" ფრანგულ ენაზე თარგმნის პირველი ცდა ეკუთვნის ცნობილ ქართველოლოგს მ. ფ. ბროსეს, რომელმაც შეასრულა „ვეფხისტყაოსნის" პროლოგისა და დასაწყისი სტროფების თარგმანი. ეს თარგმანი „Journal Asiatique"-ში გამოქვეყნდა, მაგრამ ქართული ლიტერატურა და თვით საქართველო იმდენად უცნობი იყო ევროპელთათვის, რომ რუსთაველის პოემის ფრაგმენტთა პროზაულ თარგმანებს არც კი მიაქციეს ყურადღება. მიუხედავად ამისა, ბროსემ მთელი პოემა თარგმნა და სიცოცხლის უკანასკნელ ხანებამდე ასწორებდა და ხვეწდა მას.

ბროსეს შემდეგ „ვეფხისტყაოსანი“ ი. მეუნარგიამ თარგმნა ფრანგულად. მართალია, არც ეს თარგმანი გამოქვეყნებულა, მისი წინამორბედის მსგავსად, მაგრამ მისი მეშვეობით გაეცნო რუსთაველს ცნობილი ავსტრიელი ლიტერატორი ბარონ ზუტნერი, რომელმაც არა ერთი წერილი გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, რითაც, თავის მხრივ, ნიადაგი მოამზადა ამ ნაწარმოებით უცხოელთა დაინტერესებისათვის.

რუსთაველის პოემისადმი ინტერესი გამოიჩინეს პოლონელებმაც. 1863 წელს ვარშავაში, პოლონურ ენაზე გამოვიდა კაზიმირ ლაფჩინსკის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“.

1889 წელს ლაიპციგში გამოვიდა არტურ ლაისტის მიერ თეთრ ლექსად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“. ბევრი ნაკლის მიუხედავად, ლაისტის თარგმანმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ ძეგლით და საერთოდ, ქართული მწერლობით დაინტერესების საქმეს.

როცა უცხოელი მეცნიერები და მკვლევარები „ვეფხისტყაოსანს“ გაეცნენ, მათ ისეთი შეხედულება შეექმნათ, რომ შეუძლებელია რუსთაველის თარგმნა მისი ლექსის უნაკლო ფორმის, შინაარსით განპირობებული ალიტერაციისა და აფორიზმთა სიმრავლის გამო. ზოგიერთი მათგანი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის უარყოფამდეც კი მივიდა. ფრანგი ფილოლოგი ჟ. მურიე პირდაპირ აცხადებდა, რომ „რუსთაველის თარგმნა სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს, რადგან მისი თავისებურება, ორიგინალობა და მხატვრული სიდიადე, რაც საყოველთაოდ ცნობილია, დაიკარგება და რუსთაველის განთქმული სახელი დამცირდება“.*

ზემოხსენებულ სიძნელეთა მიუხედავად, მ. უორდროპმა განიზრახა მოეცა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანი. ამ აზრს ადასტურებს ჟურნალ „კვალის“ ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

„... მ. უორდროპი „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნის. ნახევარი გადაუთარგმნია სიტყვა-სიტყვით პროზად, შემდეგ სურს

---

* იმედაშვილი გ.—რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957, გვ. 118.

გალექსვა. ოლივერის აზრით, უეჭველად საჭიროა ლექსად დაიბეჭდოს, მხოლოდ მაშინ დააფასებს ინგლისის საზოგადოებაო, თუმცა გალექსვა ძალიან უჭირს".

მ. უორდროპი რომ „ვეფხისტყაოსნის" გალექსვას აპირებდა, მოწმობს „ვეფხისტყაოსნისათვის" დართული წინასიტყვაობაც, რომელშიც ოლივერ უორდროპი მიგვითითებს, რომ მთარგმნელი კიდევ ათი წლის განმავლობაში აპირებდა თარგმანზე მუშაობას. შეუძლებელია მ. უორდროპს ათი წელი (მას შემდეგ, რაც თვრამეტი წელი უკვე იმუშავა ლ. თ.) ემუშავა ისევ პროზაულ თარგმანზე, როცა ტექსტოლოგიური ხასიათის მთავარი სირთულე დაძლეული ჰქონდა. „ვეფხისტყაოსნის" ინგლისური თარგმანის სტროფთა შინაარსი, უდაოდ, მიგვითითებს მთარგმნელის საბოლოო მიზანზე პოეტურ თარგმანზე, თუმცა მთარგმნელი ძალიან კარგად გრძნობდა მასზე დაკისრებულ უდიდეს პასუხისმგებლობას.

თითქმის თვრამეტი წელი იმუშავა მარჯორი უორდროპმა პოემის თარგმანზე—კრეფდა მასალას, სწავლობდა ეპოქას: როგორც ეს „ვეფხისტყაოსნის" ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობიდან ირკვევა, მ. უორდროპს ნაწარმოების თარგმანზე მუშაობა დაუწყია 1891 წელს, კენტში, ძველი ქართული ენის დაუფლებისთანავე, თავისი პირველი თარგმანის "Georgian Folk Tales"-ის გამოქვეყნებამდე სამი წლით ადრე. ცხადია, „ვეფხისტყაოსანზე" მუშაობის პროცესში, მარჯორი უორდროპი გარკვეულ სიძნელეებს წააწყდებოდა, რაც გამოწვეული იყო ქართული ენის თავისებური ქცევებითა და გამოთქმებით. მთარგმნელი მიხვედრილა, რომ რუსთაველის პოეზიის ფესვები ღრმად არის გადგმული ხალხურ შემოქმედებაში და საკმარისი არ არის ეხლოდ მწიგნობრული ენის ცოდნა. ის დარწმუნებულა, რომ საჭიროა კარგად გაერკვეს ცოცხალი, სამეტყველო ენის ნიუანსებში, დაეუფლოს ხატოვან თქმებს, სადად, ლაკონიურად გამოთქმულ ყოველ აზრს და, უთუოდ, ამიტომ მოუკიდია ხელი ქართულ ფოლკლორულ ნიმუშთა შესწავლა-თარგმნისათვის. „ვეფხისტყაოსნის" თარგმნის პროცესში, მარჯორი უორდროპი პარალელურად მუშაობდა სხვა თარგმანებზედაც (რაზედაც წინა თაეებში გვქონდა საუბარი ლ. თ.). მარჯორის პირადი წერილებიდან

ირკვევა, რომ ის არასოდეს კმაყოფილდებოდა მიღწეულით. ყოველი ახალი მასალის გაცნობისას, კიდევ და კიდევ უბრუნდებოდა მის მიერ თარგმნილ-თაეებს, ხვეწდა და ასწორებდა მათ.

მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ გადაუმუშავებია თავისი თარგმანი, მ. უორდროპი თვლიდა, რომ მას „სულ ცოტა ათი წლის შრომა დასჭირდებოდა თარგმანისათვის საბოლოო ფორმის მისაცემად".* ამასთან დაკავშირებით გვინდა შევჩერდეთ ერთ გარემოებაზე: მკითხველ საზოგადოებას, ვინც უშუალოდ არ იცნობს „ვეფხისტყაოსნის" მარჯორი უორდროპისეულ თარგმანს, ეს თარგმანი პროზაულ, მაგრამ სავსებით დასრულებულ თარგმანად მიაჩნია. ამ შეხედულების გავრცელებას ხელი შეუწყო როგორც თვით თარგმანის გამოქვეყნებამ, ისე „ვეფხისტყაოსნის" ინგლისური ტექსტის წინასიტყვაობის, თ. სახოკიას მიერ შესრულებულმა თარგმანმა, რომელიც „სახალხო გაზეთში" დაიბეჭდა. ამ თარგმანში არასწორადაა გადატანილი წინასიტყვაობის ის ადგილი, რომელიც ზემოხსენებულ საკითხს ეხება. მარჯორი უორდროპს, როგორც ოლივერი გადმოგვცემს, მიაჩნდა, რომ თავისი შრომის დასასრულებლად კიდევ ათი წელი დასჭირდებოდა. თ. სახოკიას კი უორდროპის ეს აზრი ისე აქვს გაგებული, თითქოს მთარგმნელმა „ათ წელზე მეტი ხნის შრომის შემდეგ, გადასწყვიტა დასრულებულად მიეჩნია შრომა".**

აზრი იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსნის" მ. უორდროპისეული თარგმანი დასრულებულ ნაწარმოებს წარმოადგენს უფრო განამტკიცა სოლ. იორდანიშვილისა და ელ. ორბელიანის მიერ 1938 წელს გამოქვეყნებულმა „ვეფხისტყაოსნის" მ. უორდროპისეული თარგმანის მეორე გამოცემამ. ამ უკანასკნელის მიხედვით იქმნება აზრი, რომ ჩვენ ხელთ გვაქვს პროზაული, მაგრამ სავსებით შევსებული და შესწორებული უორდროპისეული თარგმანი, რაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სინამდვილეს არ შეეფერება.

---

* Rust'haveli—The Man in the Panther's Skin, London, 1912. p. XIII.

** თ. სახოკია „ვეფხის-ტყაოსანი" ინგლისურად და მარჯორი უორდროპის ასული", „სახალხო გაზეთი", 1912, № 635

მ. უორდროპს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა თავის მთავარ მიზნად მიაჩნდა და მუშაობის დროს ითვალისწინებდა ყველა სირთულეს, რომელიც ამ ნაწარმოების თარგმნასთან არის დაკავშირებული. მთარგმნელმა გადაწყვიტა მკითხველი საზოგადოებისათვის მიეწოდებინა ისეთი თარგმანი, რომელიც რუსთაველზე შესაფერის წარმოდგენას შეუქმნიდა მას.

1896 წელს მარჯორი უორდროპი წინასწარგანზრახული მიზნით ჩამოვიდა საქართველოში. მას უნდოდა ქართველ მეგობართა დახმარებით განემარტა პოემის ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილი. აი, რას წერდა ამის შესახებ ჟურნალი „კვალი“:

„მ. უორდროპს შავად უკვე გადაუთარგმნია „ვეფხისტყაოსანი“ და სურს ქართულის ზედმიწევნით მცოდნე კაცებთან ერთად განმარტოს ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილის აზრი“.*

მ. უორდროპის მიერ გაწეულ უდიდეს შრომაზე მეტყველებს ან. თუმანიშვილისადმი გამოგზავნილი წერილიც, რომელშიც მარჯორი ატყობინებს ტასოს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ კიდევ დასაწყისიდან გადავთარგმნე, ამისათვის, რომ ჩემი პირველი თარგმანი არ მომწონდა. მე ახლა ნახევარი ვაკეთე და სურვილი მაქვს, რომ გაზაფხულის წინათ დავასრულო. ეს მხოლოდ კვახი (ე. ი. მკვახე, უხეში) თარგმანი იქნება და და დიდი შრომა და მოთმინება უნდა წინეთ სანამ დაიბეჭდის“.**

როგორც აღნიშნული გვქონდა, „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანი მხოლოდ მთარგმნელის სიკვდილის შემდეგ, 1912 წელს გამოქვეყნდა ოლივერ უორდროპის დიდი მეცადინეობის შედეგად. ოლივერმა თარგმანს დაურთო წინასიტყვაობა, მარის მიერ განმარტებულ სტროფთა თარგმანი, ბიბლიოგრაფიული ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, სახელთა, პირთა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა საძიებლები.

პოემის წინასიტყვაობაში ო. უორდროპი მკითხველს აცნობდა რუსთაველის ვინაობას და თავის მოსაზრებას გამოთქ-

---

* „კვალი“, 1896, № 26

** ხელნაწერთა ინსტიტუტი. ან. თუმანიშვილის არქივი. № 170

ვამდა რუსთაველის პოემის რაობაზე. ო. უორდროპის ყურადღებას იქცევს რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხი. მისი აზრით, მოსალოდნელი იყო რუსთაველი ქრისტიანულ დოგმათა მჭადაგებლად მოგვევლინებოდა, მაგრამ ის წარმოგვიდგა ისეთ თავისუფალ მოაზროვნე მწერლად, რომ ორთოდოქსული ეკლესია მე-18 საუკუნემდე სდევნიდა და ანადგურებდა მისი პოემის ხელნაწერებს. ო. უორდროპი ხედავს, რომ რუსთაველი კრიტიკულად უდგება ყველა ფილოსოფიურ მიმდინარეობას და ცხოვრებაზე თავის საკუთარ შეხედულებას აყალიბებს. წინასიტყვაობის ავტორი ამასთან დაკავშირებით იმოწმებს აკად. მარსა და მიხ. თამარაშვილს, რომ იმდროინდელი ქართველები დიდი ინტერესით ეხმაურებოდნენ დასავლეთის მოწინავე აზროვნების სფეროში დასმულ ყოველ საკითხს.

წინასიტყვაობის ავტორს სრულიად კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია ის გარემოება, რომ შვიდასი წლის განმავლობაში ქართველი ხალხი სათუთად ინახავდა რუსთაველის გენიალურ პოემას, რადგან ამ ნაწარმოებს ის თვლის ისეთ ქმნილებად, რომელიც ქართულ სინამდვილეში პოულობს ფესვებს.

ო. უორდროპი თვლის, რომ რუსთაველის პოემის გაცნობა სასარგებლოა მთელი კაცობრიობისათვის, რადგან ის გმირობის, ვაჟკაცობის, მეგობრობის, თავდადებისა და წმიდა სიყვარულის იდეებს შთააგონებს ადამიანებს.

თავის წინასიტყვაობაში ო. უორდროპი ეხება აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალობის საკითხსაც. „ვეფხისტყაოსნის" ინგლისური თარგმანის გამოქვეყნება დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც ნ. მარი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ „ვეფხისტყაოსანი" თარგმნილია სპარსული „შარიან-ნამედან", რომელიც ბრიტანეთის მუზეუმში ინახება. ამასთან დაკავშირებით ო. უორდროპი შემდეგს წერს:

„დღემდე ამის მსგავსი ამბის კვალიც კი არ აღმოუჩენიათ და აღმოჩენილიც რომ იყოს, ჩვენი ავტორის სახელსა და დიდებას ისევე არაფერი დააკლდება, როგორც შექსპირისას არა დაჰკლებია ლუიჯი და პორტოს ამბის გამო".*

* Rust'haveli—The Man in the Panther's Skin, London, 1912, p. XI

ო. უორდროპი იცნობს როგორც მარის, ასევე ალ. ხახანაშვილის შეხედულებებს ქართული ხალხური გადმოცემებისა და რუსთაველის პოემის ურთიერთმიმართების შესახებ და იზიარებს ალ. ხახანაშვილის აზრს, რომელიც ვარაუდობდა, რომ „ვეფხისტყაოსანი" ქართულ ხალხურ თქმულებებს ემყარება.

თარგმანის წინასიტყვაობაში ო. უორდროპს მითითებული აქვს რამდენიმე მომენტი, რომელთაც შეიძლება არასასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვონ ინგლისელ მკითხველზე. ესენია განშორებით გამოწვეული მწუხარების ჰიპერბოლური აღწერები და ადამიანთა გარეგნობის მოჭარბებული ასტრალური შედარებანი. ო. უორდროპი ცდილობს ახსნას რუსთაველის ამ პოეტური ხერხების გამოყენების გამომწვევი მიზეზი. ის ფიქრობს, რომ განშორება სიკვდილს ემსგავსის „ვეფხისტყაოსნის" გმირთათვის და ამიტომაც არის ის ასეთი ფერებით დახატული. რაც შეეხება ასტრალურ შედარებებს, ისინი, ოლივერის აზრით, გმირთა სულიერი სიმშვენიერიდან გამომდინარეობენ. ასეთი შედარებების უამრავ მაგალითს ვხვდებითო ამბობს ის, როგორც ინგლისურ, ისე ევროპულ ლიტერატურაში.

ო. უორდროპი ანალოგიას პოულობს ტარიელისა და ჰამლეტის ხასიათებში და აღნიშნავს, რომ მათი გულფიცხობა გამოწვეულია იმ დიდი დანაკარგით, რაც ამ გმირებმა განიცადეს.

წინასიტყვაობაში ო. უორდროპი გაკვრით ეხება საერთოდ ქართული ენის მუსიკალურ მხარეს, რუსთაველის პოემის ვერსიფიკაციის საკითხებს და მოკლედ გადმოგვცემს მარჯორი უორდროპის ბიოგრაფიულ ცნობებს, მის ურთიერთობას ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან.

ასეთია, ზოგადად, ის საკითხები, რომლებზედაც ჩერდება წინასიტყვაობის ავტორი. ახლა გვინდა „ვეფხისტყაოსნის" უშუალო განხილვაზე გადავიდეთ.

როდესაც „ვეფხისტყაოსნის" უორდროპისეულ თარგმანს ვეხებით, საჭიროა გავითვალისწინოთ ყველა პირობა, რომელშიც მთარგმნელს უხდებოდა მუშაობა. თუ ერთის მხრივ, ქართულ ტექსტზე მუშაობისას, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ქართული ენის საფუძვლიან

ცოდნას (მოვიგონოთ რომ მარჯორი უორდროპმა ქართული ენა სახარებით ისწავლა), მეორეს მხრივ, მთარგმნელს აბრკოლებდა ის გარემოება, რომ რუსთველოლოგია ის-ის იყო ისახებოდა და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი მეცნიერულად თითქმის შეუსწავლელი იყო.

ინგლისური თარგმანის სათანადოდ შეფასების მიზნით დაგვჭირდა მ. უორდროპისეული თარგმანის დედნის (ქართველიშვილისეული გამოცემის) და „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელი ე. ი. 1957 წლის გამოცემის ურთიერთშედარებითი შესწავლა, საშუალება რომ გვქონოდა თარგმანი რუსთველოლოგიის დღევანდელი პოზიციიდან დაგვენახა.

წინამდებარე მონოგრაფიის მიზანს არ წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ტერმინოლოგიის რთული საკითხების გარკვევა, ჩვენ შემოვიფარგლეთ, უმთავრესად, იმ საკითხებით, რაც მ. უორდროპისეულ თარგმანთან დაკავშირებით დაისმის.

საინტერესოა, თუ რამდენად შეძლო მ. უორდროპმა როგორც „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსობლივი მხარის, ისე, რუსთაველის მხატვრული მეტყველების ელემენტების ინგლისურ ენაზე გადატანა.

როცა ვეხებით საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად სწორად გაიგო მ. უორდროპმა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, უნდა გავითვალისწინოთ ის სიძნელეები, რასაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კითხვის დროს ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა იმდროინდელი მკითხველი. ადვილად წარმოსადგენია, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა უცხოელ მთარგმნელს, რომელიც იწყებდა მეცნიერთა მიერ ახლადხელშენახები ნაწარმოების შესწავლა-თარგმნას. ცხადია, მას დასჭირდებოდა გონების თვალით აეწონა თვით ორიგინალის ტექსტი. თუ „წმ. ნინოს ცხოვრების“ ინგლისური თარგმანი კრიტიკულ თარგმანს არ წარმოადგენს, ამას ვერ ვიტყვით „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანის შესახებ. მარჯორი უორდროპი გულდასმით უდარებს ერთმანეთს ნაწარმოების სხვადასხვა გამოცემებს (კარიჭაშვილის, ჩუბინაშვილის, ქართველიშვილის), აანალიზებს ნაწარმოების ამა თუ იმ პასაჟისა თუ სიტყვის გამო გამოთქმულ სხვადასხვა მოსაზრებებს. ზოგჯერ ეთანხმება ამ მოსაზრებათა ავტორებს, ზოგჯერ კი თავის ინტერპრეტაციას გვთავაზობს.

ჯერ განვიხილოთ ის შემთხვევები, როდესაც „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის გაგებისას, მ. უორდროპი რამდენიმე მკვლევარის მოსაზრებიდან ერთ რომელიმეს აძლევს პრიორიტეტს.

„ქალი მზებრ უკვრეტს ყოველთა, ცნობითა ზე-მხედველითა" (სტ. 45).

თარგმანი:

"The maiden looks on with understanding, all seeing, like the sun".

(აბულაძისეული ინტერპრეტაცია).

ორიგინალი

„ერთი სამეფო საკარგყმო, უბოძა ამირბარობა" (სტ. 316).

თარგმანი:

"He bestowed on him one kingdom well worthy of a good knight and the dignity of Amirbar" (მარისეული ინტერპრეტაცია). და სხვა.

საერთოდ შეინიშნება, რომ სტროფთა მ. უორდროპისეული ინტერპრეტაცია მარისეულ ინტერპრეტაციას ემთხვევა.*

თარგმანში იშვიათი არ არის შემთხვევა, როდესაც მთარგმნელი თავის საკუთარ გაგებას გვთავაზობს. ასე მაგალითად:

ორიგინალი:

„მაგრა არა მცალს დღე-კრულსა, ცეცხლი მწვავს მოუთმინები" (სტ. 1045).

---

* ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ მარის შრომები „Вступительные и заключительные строфы" და „Культ женщины" გამოქვეყნებული იყო 1910 წელს, როდესაც მარჯორი უორდროპი უკვე აღარ იყო ცოცხალი. ამიტომ გასაგებია, რომ მთარგმნელი მათ ვერ გამოიყენებდა. საფიქრებელია, რომ მარჯორი უორდროპს პეტერბურგში ყოფნისას კონსულტაციას უწევდა ნ. მარი, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ მთარგმნელმა მარისაგან დამოუკიდებლად გამოიტანა აზრი ამა თუ იმ პასაჟისა, თუ სიტყვის გაგებისათვის, მით უმეტეს, რომ ასეთ მაგალითებს თარგმანში არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით.

აკად. ნ. მართან ხშირი კორესპონდენცია ჰქონდა ო. უორდროპს, რომელმაც მთარგმნელის მიერ „ვეფხისტყაოსნისათვის" მომზადებული შენიშვნები სისტემაში მოიყვანა და დაურთო პოემის ზოგიერთი სიტყვისა და ადგილის მარისეული ინტერპრეტაცია. ო. უორდროპს რომ „ვეფხისტყაოსნის" ინგლისურ ტექსტში არავითარი ცვლილება არ შეუტანია, მოწმობს ის გარემობა, რომ მარის გამარტებათა ერთი ნაწილი თუმცა გათვალისწინებულია და, მიღებული ოლივერის მიერ, მარჯორი უორდროპისეული ტექსტი ჩაუსწორებლად არის დატოვებული. მაგალითისათვის ავიღოთ პოემის მეოთხე სტროფის გამოთქმა „ნა რხეული", რომლის მარისეული ინტერპრეტაცია ო. უორდროპს სწორად მიაჩნია, მაგრამ ინგლისურ ტექსტში ისევ "pliant crystal-"ს ტოვებს:

მარჯორი უორდროპი შენიშვნაში მიუთითებს სიტყვა „დღეკრულის“ ჩუბინაშვილისეულ განმარტებაზე, მაგრამ არ ეთანხმება მას. მთარგმნელის აზრით, „კრული“ ნიშნავს “bound“-ს, “fettered“, ისევე როგორც სიტყვას “cursed“. ამიტომ, მისი აზრით, დედანი უნდა გულისხმობდეს, ტარიელთან ავთანდილის დაბრუნების დანიშნულ დღეს და სტრიქონს შემდეგნაირად თარგმნის:

“But I unhappy have not time to stay: another fire consumes me“.

ვნახოთ სხვა შემთხვევებიც.

ორიგინალი:

„ჟამიერად უბრძანებდეს საუბარსა მათსა ფერსა“ (სტ. 469).

თარგმანი:

“He entertained the king of Khatavians, he caressed him, he conversed with him for a long time“.

მთარგმნელი აქაც არ იზიარებს კარიჭაშვილისეულ განმარტებას—„შესაფერის დროს“ და თარგმნის „დიდხანს“.

ორიგინალი:

„ლხინად მიჩნს შეყრა მოყვრისა, მის შენგან შეუყრელისა“.

თარგმანი:

“It seems to me a joy to meet the friend thou hast not met“.

მთარგმნელი აქაც უარს ამბობს კარიჭაშვილისეულ განმარტებაზე, რომლის მიხედვითაც „მის“ მიეკუთვნება არა „მოყვრისა“-ს, არამედ „შენგან შეუყრელისა“-ს. შემდეგ.

ორიგინალი:

„იტყოდა: მომკლავს უცილოდ ტანი, ალვისა მოხისა“.

თარგმანი.

“She said: “undoubtedly I am slain by him whose form is like aloe-tree“.

ამ შემთხვევაში მარჯორი უორდროპი არ ეთანხმება ჩუბინაშვილს, რომელსაც სიტყვა „მოხისა“ მიაჩნია „მოხი“-ს ფორმად (ანუ ხავსი) და თარგმანში გადააქვს ის „ალვის ხედ“, რაც უდგება ორიგინალის შინაარსს და დღევანდელ გაგებას ემთხვევა.

ორიგინალი:

„მუნ გვიმასპინძლოს ასმათმან, მან უც ხორცისა ხმელობა“.

თარგმანი:

“There will Asmat'h entertain us, she hath smoked meat“.

მთარგმნელი აანალიზებს ჩუბინაშვილის განმარტებას meagerness (არასაკმარისი, მჭლე), კარიჭაშვილის roast meat (შემწვარი ხორცი) და არც ერთს იზიარებს, არც მეორეს. მთარგმნელი გვაძლევს თავის ინტერპრეტაციას smoked meat (შებოლილი ხორცი), რაც უფრო შეეფერება მოცემული სტროფის შინაარსს.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადად მიგვითითებენ იმაზე, რომ მთარგმნელი ფრთხილად ეკიდება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს და, უმეტეს შემთხვევაში, სწორად გადმოსცემს დედნის შინაარსს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თარგმანში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც პოემის ცალკეულ სიტყვათა და სტრიქონთა აზრი სწორად არ ესმის მთარგმნელს* საილუსტრაციოდ მოგვყავს რამდენიმე მაგალითი.

ორიგინალი:

„ჯერთ არ დამტკბარია“ (სტრ. 244)

თარგმანი:

“She is not sweetened“.

ქართულში „დამტკბარი“ გარდა იმისა, რომ ტკბილს ნიშნავს, იხმარება „გულმომბალი“-ს, „დამშვიდებული“-ს მნიშვნელობითაც. ** ინგლისურში კი ამგვარი მნიშვნელობა “sweetened“ არა აქვს. ის უებსტერის განმარტებით ნიშნავს:

“Pleasing to the taste, pleasing or agreeble in general, dear beloved, having a fresh taste, sweet quality“. ***

როგორც ვხედავთ ქართული სიტყვის „დამტკბრი“-ს

---

* ამასთან დაკავშირებით გვინდა შევნიშნოთ, რომ ცნობილმა ინგლისელმა ქართველოლოგმა რ. სტივენსონმა იმდენად არადამაკმაყოფილებლად ჩასთვალა მ. უორდროპის თარგმანი, რომ თვით თარგმნა ინგლისურ ენაზე შემოკლებული პროზით „ვეფხისტყაოსანი“.

** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 3. თბ, 1953, გვ. 547.

*** Webster's Collegiate Dictionary, U. S. A, p. 1007

შესაბამისი მეორე მნიშვნელობა ინგლისურ "sweetened"-ს არა აქვს, ამიტომ მთარგმნელს უნდა გამოეყენებინა არა "sweeten", არამედ "softened", ან იგივე მნიშვნელობის სხვა რომელიმე სიტყვა.

ან კიდევ ავიღოთ სიტყვა „შეგვამწიფნა" (სტრ. 207), რომელიც მარჯორი უორდროპს თარგმნილი აქვს შემდეგნაირად: "with his whip he ripened us". ქართული „მათრახითა შეგვამწიფნა"-ს წაკითხვისთანავე თვალწინ წარმოგვიდგება მათრახით ნაცემი, აწითლებული, გასიებული ადამიანი, ინგლისური "ripen" სწორად არ გადმოსცემს ორიგინალის აზრს, რადგან ის ნიშნავს: "To grow or make ripe, to become mature as grain, or fruit". * დამწიფებას, პირდაპირი გაგებით.

რუსთაველის პოემის ზოგი სხვა ადგილიც არ არის სწორედ თარგმნილი. მაგალითად:

„ერთგულთა შექმნეს ვაება, მტერთა ხსენება იშისა"

თარგმანი:

"The loyal began to mourn, and recall reproaches of their enemies".

ინგლისური თარგმანის აზრი შემდეგია: ერთგულებმა შექმნეს გლოვა და გაიხსენეს მტერთა საყვედურები. სტრიქონის მეორე ნაწილის აზრი შემდეგნაირად უნდა ყოფილიყო გადატანილი:

"His enemies began to rejoice".

თარგმანში ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მ. უორდროპს სწორად არ გადააქვს „მონა-"ს მნიშვნელობა. იმ შემთხვევაში, როდესაც რუსთაველი „მონა"-ს ხმარობს „ვასალის" მნიშვნელობით, მთარგმნელს გადააქვს ის "slave"-ად. ასე მაგალითად, „მონა შერმადინ" თარგმნილია "slave Shermadin" რაც სწორი არ არის. არც შემდეგ სტრიქონშია სწორად გადატანილი ამ სიტყვის მნიშვნელობა:

„თვით მეფედ მათად მას ხედვენ მონები მკლავმაგრებია" (სტ. 286).

თარგმანი:

"Her lusty-armed servants now view her as their king".

---

* Webster's Collegiate Dictionary, U. S. A.p. 1007

აქ „მონა" გაგებული აქვს მთარგმნელს „მსახურის" მნიშვნელობით, სინამდვილეში კი უნდა ყოფილიყო "warrior"— მებრძოლი.

არც ნაწარმოების სათაურია მართებულად თარგმნილი:

"The Man in the Panther's Skin", უნდა ყოფილიყო: "The Man in the Tiger's Skin" და სხვა.

ინტერესს არ არის მოკლებული საკითხი იმის შესახებ თუ როგორ გადააქვს მ. უორდროპს რუსთაველის სიტყვათწარმოება, რაც პოეტის მხატვრული მეტყველების მნიშვნელოვან დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს. მარჯორი უორდროპი ყურადღებას ამახვილებს სიტყვათწარმოების მართებულ გაშიფვრაზე. მაგალითად, ორიგინალი:

„თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა" (ტ. 51).

თარგმანი:

"T'hinat'hin contemned the sun, but the sun aped T'hinat'hin"

მთარგმნელს სიტყვა „თინათინებდა" გადააქვს „მიბაძვის" მნიშვნელობით.

ორიგინალი:

„ვერ მოვეყავ აქლემითა, აზავრები ვააზავრე".

თარგმანი.

"I could not get enough camels, I loaded bullocks with the burdens"

მ. უორდროპს აქაც სწორად ესმის ორიგინალის აზრი. „ვააზავრე" მთარგმნელს გადატანილი აქვს „დატვირთვის" მნიშვნელობით. ასევე ესმის ეს წარმოებული სიტყვა აკად. აკ. შანიძესაც, რომელიც წერს: „აზავრები თავისი დანიშნულებით გამოვიყენეო, ე. ი. ხარებს ბარგი ავკიდე". *

მართებულად აქვს გაგებული მარჯორი უორდროპს წარმოებულ სიტყვათა მნიშვნელობა სხვა შემთხვევებშიც. მაგალითად.

„მეკეთა ესე თათბირი, ვაზირთა ნავაზირევი" (ტ. 426).

თარგმანი.

"This advice counceled by the viziers pleased me".

---

* რუსთაველი—„ვეფხისტყაოსანი", თბ., 1957, გვ. 347

ამ შემთხვევაში „ნავაზირევი"-ც სწორად აქვს გაგებული მარჯორი უორდროპს.

ორიგინალი:

„ორისაგან ერთი მიყავ: ტყვე მქმენ, ანუ მააზატე".

თარგმანი:

"One of two things do thou to me: make me prisoner or set me free".

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ მარჯორი უორდროპს სწორად ესმის რუსთაველის სიტყვათწარმოება და გვაძლევს წარმოებული სიტყვების გავრცობილ ინგლისურ თარგმანს.

როგორ გადააქვს მ. უორდროპს რუსთაველის მხატვრული სახეები, შედარებანი, მეტაფორები, ეპითეტები, პერიფრაზი?

უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანში ვხვდებით შედარებათა, ეპითეტებისა და პერიფრაზის პირდაპირ თარგმანს, ყოველგვარი ცვლილების გარეშე. იმ შემთხვევაში, როცა შეიძლება ესა თუ ის სიტყვა ან ადგილი ბუნდოვანი აღმოჩნდეს მკითხველისათვის, მთარგმნელი ან სქოლიოში, ანდა ტექსტში ურთავს სათანადო შენიშვნას და ამხსნელ სიტყვებს.

მაგალითად ისეთი მეტაფორა, რომელიც შესაძლებელია ინგლისელმა ვერ გაიგოს, შემდეგნაირად აქვს გადატანილი მთარგმნელს:

"The black knife of jet (of her eyelashes) cut off the flow of tears";

"There, amid the roses (of her cheeks) shone in beauty coral-pearl twins (lips and rows of teeth) და სხვა.

საინტერესოა, თუ როგორ ესმის მ. უორდროპს ზოგიერთი ისეთი მეტაფორა, რომელიც დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მაგალითისათვის ავიღოთ:

„ბროლისა ველსა სტურფობდეს გიშრისა მუნ საყუენია" (სტ, 193).

ამ წინადადების სიტყვა „საყე"-ს აზრი აკად. კ. კეკელიძეს შემდეგნაირად ესმის:

„საყე" ნიშნავს საზეიმო მაგიდასთან მდგომს: საროს მსგავსს. მეტაფორული თქმის აზრი ასეთია: როგორც „საყენი" ან ღვინის მწდენი ამშვენებენ ხოლმე საზეიმო სუფრას, რომ-

ლის გარშემო ისინი დგანან, ისე ამართული შავი (გიშრის) წამწამნი და ულვაში ამკობდა, ამშვენებდა ავთანდილის „ბროლის ველს“ ან ლოყას“. *

ჩუბინაშვილი „საყე“-ს მიიჩნევს ამართულ ძელად. **

აკად. აკ. შანიძე--„სათიბის ჯოხად“. ***

რუსთველოლოგი ვ. ნოზაძე აღნიშნავს, რომ სიტყვა „საყე“ სხვათა ენათა ბიბლიაში ნათარგმნია სიტყვით ჯოხი, სარი, რუსულად ვეხი. ს. ს. ორბელიანის განმარტებით „საყე“—არის ხალა. ხალა არის გრძელი წვრილი ჯოხი. წარმოშობით ეს სიტყვა „საყე“ არის სპარსული—„წვრილნი სარნი, ანუ გრძელი შავი წამწამნი“. ****

მარჯორი უორდროპსაც დაახლოებით ასევე ესმის ეს სიტყვა. ის თარგმნის მას როგორც „წვერს“.

ავიღოთ სხვა მეტაფორა.

ორიგინალი:

„ენახე ძოწსა მარგალიტი, გარე ტურფად მოემაზრა“ (სტ 536).

ამ მეტაფორას პროფ. ალ. ბარამიძე შემდეგნაირად განმარტავს:

„ღრძილებზე ტურფად იყო შემოწყობილი, მიბჯენილი კბილები“. ***** აკ. შანიძის განმარტება იგივე მეტაფორისა შემდეგია: „წითელი ბაგეები გარეთ ტურფად შემოვლებოდა კბილებს“. *** **

მარჯორი უორდროპი შემდეგნაირად თარგმნის ამ მეტაფორას: მე დავინახე მარგალიტი მარჯანში, მარგალიტის გარშემო მარჯანი ფაქიზად დაკეცილიყო.

როგორც ზემომოყვანილი მაგალითიდან ჩანს, მარჯორი უორდროპის გაგება აკ. შანიძის ინტერპრეტაციას ემთხვევა და, ჩვენის აზრით, უფრო სწორი უნდა იყოს.

---

* კეკელიძე კ.—ქართული ლიტ. ისტ. თბ., 1951, ტ. 2, გვ. 389

** ჩუბინაშვილი ნ.—ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 138

*** „ვეფხისტყაოსანი“—თბ. 1957, გვ. 281

**** ნოზაძე ვ.—„ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება, ბუენოს აირეს 1953 გვ. 284

***** ბარამიძე ალ.—შოთა რუსთაველი, თბ., 1958, გვ. 240

****** „ვეფხისტყაოსანი“—თბ., 1957, გვ

ასეთია, ზოგადად, მარჯორი უორდროპის დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისადმი. ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ რიგი ადგილის მარჯორი უორდროპისეული ინტერპრეტაცია გარკვეულ მეცნიერულ ინტერესს შეიცავს და აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების პროცესში.

ინტერესს არ არის მოკლებული საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გადააქვს მარჯორი უორდროპს ორიგინალის აფორიზმები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე შეუსისხლხორცდა ქართველი ხალხის ზეპირმეტყველებას.

ახერხებს თუ არა მარჯორი უორდროპი დაიცვას რუსთაველის აფორიზმთა სული და სისხარტე?

ცნობილია, რომ ინგლისურ ენას ხატოვანი თქმების, ანდაზებისა და აფორიზმების უაღრესად დიდი მარაგი აქვს. ინგლისურ მხატვრულ ლიტერატურასა და ზეპირმეტყველებაში ხშირად ვხვდებით როგორც საკუთრივ ინგლისურ, ისე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების სხარტად გამოთქმულ სიბრძნეს.

უნდა ითქვას, რომ მ. უორდროპის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმთა ერთი ნაწილი ვერ ინარჩუნებს რუსთაველისათვის დამახასიათებელ მოქნილობას, თუმცა ზუსტად გადმოსცემს ავტორის აზრს. მათი თარგმნის დროს მ. უორდროპი მრავალსიტყვაობს, კარგავს რუსთაველის პოეტური მეტყველებისათვის დამახასიათებელ ლაკონიურობას. ვინაიდან ამჯერად საქმე გექონდა პროზაულ თარგმანთან, მთარგმნელს შეეძლო შესაფერისად გადაეტანა აფორიზმები, მით უმეტეს, რომ ის საკმაოდ იყო გათვითცნობიერებული ინგლისურ მხატვრულ მეტყველებაში, კერძოდ კი აფორიზმებსა და ანდაზებში, „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობის პროცესში, ლაკონურად თარგმნის ერთგვარი გამოცდილებაც ჰქონდა. „ქართული ხალხური ზღაპრების“ ინგლისურ თარგმანში მარჯორი უორდროპმა მოგვცა პოპულარული მეგრული ანდაზების ჩინებული თარგმანი (თუმცა ისინი რუსულიდანაა თარგმნილი). მოგვყავს რამდენიმე მათგანი:

1 „Пожелай соседу быка, и бог пошлет его тебе“.

“Wish the neighbour to have an ox and God will give it to thee“.

2 „У бабушки нет зубов, и не любит видеть их у других".

"Our granny has no teeth, so she likes not other s teeth to see"

3 „Твоя бронза лучше чужого золота".

"Better is copper of thine own than gold that is anothers",

თუ „ვეფხისტყაოსნის" აფორიზმთა ერთი ნაწილი მძიმე ენითაა თარგმნილი, მოკლებულია ლაკონიურობას, მეორე ნაწილი ისეა გადატანილი, რომ ისინი გარკვეულ ადგილს დაიჭერენ ინგლისური მხატვრული მეტყველების საუნჯეში. ასეთებია:

„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი".

"Better a glorious death than shameful life"

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია".

"The lion's whelps are equal, be they male or female".

„კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა".

"A wise man cannot abandon his beloved friend". და სხვა.

როგორც წინა თავებიდან დავინახეთ, მ. უორდროპი მის მიერ თარგმნილი ყოველი ქართული ნაწარმოებებისათვის შესაფერის ენობრივ გასაღებს პოულობს. „ქართული ხალხური ზღაპრების" თარგმანი ფოლკლორისათვის დამახასიათებელი სისადავითა და უშუალობით ხასიათდება, „განდეგილში" ისმის ილიას ლექსის მუსიკა, დაცულია პოემის სახეები და მხატვრული თავისებურებანი. „მგზავრის წერილების" თარგმანში ჩანს ილიას დახვეწილი სტილი. „ცხოვრება წმ. ნინოსი" ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებთათვის დამახასიათებელი ამაღლებული ტონით ხასიათდება. გასაგებია, რომ მწერლის ჩანაფიქრის, მისი წერის მანერისა და სტილის თავისებურებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, სიტყვათა შერჩევა განსაზღვრავს.

ინგლისური ენა მსოფლიოში ერთ-ერთ უმდიდრეს ენადაა აღიარებული. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ცნობილი როჯეტის ლექსიკონ ისიტყვისათვის "resent" დაახლოებით 176 სინონიმს გვაძლევს, სიტყვისათვის "give" სამოცდაათზე მეტ ზმნას, 108 არსებით სახელს, 12 ზედსართავ სახელსა და სხვა.

საჭირო აზრისათვის ზუსტი სიტყვის ხმარება ემოციურს, ექსპრესიულს, ნათელსა და ზემოქმედს ხდის ამა თუ იმ მწერ-

ლის ჩანაფიქრს. ამიტომ არის, რომ მარჯორი უორდროპმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ამ მეტად საჭირო პირობაზე. ის უხვად ხმარობს არა მხოლოდ ინგლისურ სინონიმებს, არამედ სინონიმურ ფრაზებსაც. ასე მაგალითად: „მწუხარების“ გამოსახატად მარჯორის თარგმანში ვხვდებით:

grief, sorrow, woe, suffering, distress, affliction, gloom, heavy heart, aching heart, unhappiness, misery, despair, anguish, agony, torture და სხვა.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანში ვხვდებით ასეთ სინონიმურ ფრაზებს.

physician—skilled in pulse;
falls sick—illness afflicts him;
bound in a net—caught in a snare;
I'll steal away,—unknown shall I depart;
hide it—let not the flame of fire be seen და სხვა.

მარჯორი უორდროპი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისას ცდილობს რაც შეიძლება ახლოს იყოს დედანთან და ნათლად და სადად გადმოსცეს პოემის ცალკეულ სტროფთა და ხანდახან ცალკეულ მეტაფორათა შინაარსი. მარჯორისათვის ყოველ ქართულ სიტყვას შინაარსობლივად ზუსტი ინგლისური ეკვივალენტი შეესაბამება. საილუსტრაციოდ მოგვყავს ერთი მაგალითი:

ორიგინალი:

„ხამს მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკმობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ყოელსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს“.

თარგმანი:

"The poet must not spend his toil in vain. One should seem to him worthy of love; he must be devoted to one, he must employ all his art for her, he must praise her, he must set forth the glory of his beloved, he must wish for nought else, for her alone must his tongue be tuneful".

„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანს, თუმცა ის სიტყვა-სიტყვითი პროზით არის შესრულებული, კარგად ემჩნევა ფაქიზი პოეტის ხელი. იმ მხატვრულ ხერხებს შორის, რომელ-

საც მარჯორი უორდროპი მიმართავს, ინვერსიას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მთარგმნელმა იცის, რომ კარგად ნახმარი ინვერსია ემოციურობასა და ზემოქმედებით ძალას მატებს წინადადებას და დიდი ზომიერებით მიმართავს მას.

მაგალითისათვის ავიღოთ განსაზღვრების ინვერსია, რომელსაც მ. უორდროპი ხშირად იყენებს. ინგლისურ წინადადებაში განსაზღვრება (ზედსართავი სახელი) წინ უძღვის გასასაზღვრ სიტყვას, მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც განსაზღვრება ქვემდებარის შემდეგ დაისმის, თუ ის იხმარება „of" წინდებულთან ერთად:

"lance of adamant"; "pierce a heart of stone"

განსაზღვრების ინვერსიით მთარგმნელი ქვემდებარის თვისებებზე ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად:

"There was in Arabia Rostevan, a king by the grace of God h a p p y, g e n e r o u s, m o d e s t";

"Suddenly there appeared a knight, m o r o s e and g l o o m y of visage, seated on a black horse" და სხვა.

მარჯორი უორდროპი მიმართავს ვითარების გარემოების ინვერსიასაც (ზმინიზედა):

"T e n d e r l y indeed we cherish his memory";

"The maiden d i s c r e e t l y hearkened to her father's advice"

მარჯორი უორდროპის თარგმანში ქვემდებარისა და შემასმენლის გადანაცვლებაც ემფატიურობის მიზანს ემსახურება. წესით, ინგლისურ მტკიცებით წინადადებაში ქვემდებარეს უნდა მოსდევდეს შემასმენელი, თარგმანში კი ხშირად საწინააღმდეგოს ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ის პროზად არის შესრულებული. მაგალითად:

"Now want I tongue, heart and skill for utterance";

"So is it with the poet";

"At the head sat the sun-faced Avt'handil".

თარგმანში ვხვდებით შედგენილი შემასმენლის ნაწილების — მაკავშირებელი ზმნის და სახელადი ნაწილის გადაადგილების შემთხვევებსაც. ასე მაგალითად:

"Merciless as a leopard is she"

"Blind is the heart"

"Accursed is the heart of men"

ზემოთ მოყვანილი მაგალითები მოწმობენ, რომ მ. უორდროპს აქვს დიდად განვითარებული მხატვრული გემოვნება და გვიდასტურებენ, რომ ის არ დაკმაყოფილდებოდა მხოლოდ პროზაული თარგმანით, შემდეგში, თავისი ჩანაფიქრის მიხედვით, უთუოდ, შეასწორებდა თავისი პროზაული თარგმანის ბევრ გაუმართავ ადგილს და გარითმავდა მას.

თავის თარგმანში მ. უორდროპი არა ერთხელ მიმართავს გამეორებებსაც, რაც, დედნის მსგავსად, ამა თუ იმ აზრის ხაზის გასასმელად გამოიყენება:

„ბრძენი ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქნს ბრძნობასა".

თარგმანი:

"Wiso, who is wise, what is wise, how can a madman act wisely?".

ან და კიდევ,

„შაბაშ, სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი".

„Brave word, brave man, brave the deed done by him" და სხვა.

წინდებულთა ჭარბი გამოყენებაც კი, უორდროპისეულ თარგმანში კარგად ჟღერს:

"Of that lion, whom the use of lance, shield and sword adorns, of the king..."

"To whom could I tell my secret save thee; none is worthy, t o whom can I entrust the lordship save thee?"

... „f o r whom I am overpowered by melancholy, f o r whom flow streams of blood".

„ვეფხისტყაოსნის" შინაარსობლივ და მხატვრულ მხარესთან ერთად გვხიბლავს მისი ლექსის საოცარი ჟღერადობა, რაც შინაგან რიტმსა და რითმაში მდგომარეობს, თარგმანზე მუშაობის პროცესში მ. უორდროპი იმდენად გაიმსჭვალა პოემის კეთილხმოვანებით, რომ თვითონაც დამორჩილდა მგოსნის მომჯადოებელ სტიქიონს და ბევრ ადგილას წარმატებით გადაიტანა „ვეფხისტყაოსნის" ალიტერაცია. ასე მაგალითად.

"Day dawned, the maiden came forth clad in the same colour"

"Give me the longing of lovers even unto death, lightening of sins";

"A knife cannot cure a wound. it cuts or causes swelling";
"Wending his way he laments to the sky, he speaks: O sun, to thee I pray, thou mighty of mightiest mights". და სხვა.

ბუნებრივია, რომ ალიტერაციის იგივე ბგერებით გადატანა, რაც ორიგინალშია, შეუძლებელია. ასეთი სირთულის მიუხედავად, უორდროპისეულ თარგმანში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც მთარგმნელი წარმატებით იცავს რუსთაველის ალიტერაციას.

მაგალითად:

„უმძლესთა მძლესთა მძლესა",

თარგმნილია:

"Thou mighty of the mightiest mights".

„ქალი წინა მომეგება მხიარული, მოცინარი".

"The maiden met me merry, smiling"

„იმღერს ლექსთა საბრალოთა ღვთისაებრი ცრემლნი სდიან".

"He sings sad songs, tears flow like a fount" და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის" თარგმანი სიტყვასიტყვითი პროზით არის შესრულებული, მან ქართული ლიტერატურისადმი უცხოელ მეცნიერთა და მკვლევართა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ინგლისელი პროფესორი უ. რ. მორფილი, რომელიც ჯერ კიდევ ხელნაწერებში გაეცნო „ვეფხისტყაოსნის" ინგლისურ თარგმანს, წერდა:

„ის პოეტი, რომელიც ერთ-ნახევარი საუკუნით ადრე ცხოვრობდა დანტეზედ, სამი საუკუნით ადრე არიოსტოზედ, რომელმაც მხოლოდ ფანტასტიური პოემა "Rolando furioso" შექმნა და თითქმის ოთხი საუკუნით ადრე ტორკვატო ტასოზედ, რასაკვირველია, ისეთივე დიდებული პოეტი იყო, როგორც ეს იტალიის მწერალნი არიან. ინგლისის სალიტერატურო კრიტიკა შეიძლებს და ღირსეულად დააფასებს თვით რუსთაველის ნიჭის ძალასაც და თქვენი ერის განათლების ხარისხსაც იმ შორეულ ხანაში, რომელსაც ისტორიკოსები სახელად „შუასაუკუნეების ევროპის, გონებრივი ცხოვრების წყვდიადს უწოდებენ". რუსთაველი დიდებულია, მეცნიერება და მცოდნენი ღირსეულ მსჯავრს დასდებენ". *

* „ივერია", 1894, № 198

გერმანელი მწერალი რ. ბლაიხშტაინერი წერდა:

„პირველი თარგმანისათვის უნდა ვამჯობინო, ზუსტი, ტექსტის ზედმიწევნითი ერთგული თარგმანი, არტურ ლაისტის სრულიად მარცხით დამთავრებულ თარგმანზე აღარას ვამბობ. მისს მარჯორი უორდროპის თარგმანი, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მას არ ჰქონდა კრიტიკულად განხილული ტექსტი ორიგინალისა, დღესაც ჯერ კიდევ ძალიან სასარგებლოა.“

ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი ალენი, თავის წიგნში „ქართველი ხალხის ისტორია“ რუსთაველის შესახებ შემდეგს წერს:

„ვეფხისტყაოსანი“ მიმზიდველია თავისი ფილოსოფიით ცხოვრებაზე, მდიდარია მკაფიო აღწერებითა და ხასიათების ღრმა ცოდნით... ის მეტად ძვირფასია როგორც შუასაუკუნეების აზროვნების დოკუმენტი და წარმოადგენს იმდროინდელი ქართველობის სულის სარკეს. *

„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანი ზოგიერთისათვის შთაგონების წყაროდაც კი იქცა. ცნობილია, თუ რა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ამ თარგმანმა რუს პოეტ კ. ბალმონტზე, რომელიც მას კორექტურაში გაეცნო. აი, რას წერდა ბალმონტი ამის შესახებ:

„Я впервые узнал Руставели в океанском просторе, невдали от Канарских островов, на английском корабле, носившем имя красиво-мудрой богини—Афины, где я познакомился с Оливером Уордропом, который дал мне прочесть находившегося при нем в корректурах английский перевод „Витязя в тигровой шкуре“, сделанный с великой любовью его сестрой—Марджори С. Уордроп.

Прикоснуться к грузинской розе в просторах океанских зорь, при благом соучастии Солнца, Моря, Звезд, дружбы и любви, и диких вихрей и свирепой бури; это—впечатление, которого забыть нельзя...

Народ, если он великий, создает песню и выносит в лоне своем мирового поэта. таким венценосцем в веках, еще доселе неузнанный русскими, был избранник Грузин Шота

---

* Allen—A History of Georgian People, London, 1932, p. 319

Руставели, давший в XII веке родине знамя и зов—„Вепхис Ткаосани" – эта лучшая поэма любви, какая когда-либо была создана в Европе, радуга любви, огневой мост, связывающий небо и землю.

Как Гомер есть Эллада, Данте – Италия, Шекспир—Англия, Кальдерон и Сервантес—Испания, Руставели есть Грузия. Каждое из этих имен не только имя поэта, вознесенное вечной славой, но и лучезарное означание души, которая сумела воплотить в себе сокровишницу духа целого народа, этой душой вессиявшего, в этой душе расцветшего цветком пишным и неповторяющимся",*.

მარჯორის თარგმანმა ბალმონტს აღუძრა დაუოკებელი სურვილი რუსულ ენაზე შეექმნა რუსთაველი.

თანამედროვე ინგლისელმა ფილოლოგმა ს. მ. ბაურამ, რომელიც დიდ ავტორიტეტად ითვლება ანტიკური და ევროპის ქვეყნების ლიტერატურის მცოდნეთა შორის, თავის წიგნში „შთაგონება და პოეზია" (Inspiration and Poetry), მთელი თავი მიუძღვნა „ვეფხისტყაოსნის" განხილვას.

„რუსთაველი გათვითცნობიერებული იყო,— წერს ბაურა,— არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის მწერლობაში, არამედ, ის კარგად იცნობდა უფრო განვითარებულ სპარსულ პოეზიასა და ფართოდ გავრცელებულ მის თანამედროვე ფილოსოფიასაც. სიყვარულის ავტორისეული კონცეფცია ისე ძლიერად განაგებს „ვეფხისტყაოსანს", როგორც არც ერთ სხვა სარაინდო პოემას.

ნიზამის „ლეილა და მეჯნუნ" და „ხოსროვ და შირინ" მოგვითხრობს ძლიერ გრძნობებსა და თავგადასავლებზე, მაგრამ იქ არაფერია რუსთაველის სიღრმის, თანმიმდევრულობისა და იმ დიდი ხელოვნების მსგავსი, რომელიც სიყვარულს შთამაგონებელ ძალად და კაცობრიობის სკოლად აქცევს. რუსთაველის ორიგინალობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის სიყვარულს მიიჩნევს ისეთ ძალად, რომელიც საუკეთესო თვისებებს გამოავლენს ადამიანებში, რომელთაც განაგებს".**

თავის წიგნში „ინდოეთის გზებზე" ცნობილი ქართველი პოეტი ი. აბაშიძე შემდეგს გადმოგვცემს:

---

* Бальмонт К.—„Витязь в тигровой шкуре", Москва, 1937, стр. 21

** Boura C. M.—Inspiration and Poetry, London, 1953, p—52

„ინდოეთის ლიტერატურისა და ხელოვნების აკადემიის ხელმძღვანელებს მე გადავეცი „ვეფხისტყაოსნის“ უორდროპისეული თარგმანი, 1938 წლის მოსკოვის გამოცემა. სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს, ინდოეთის ინტელიგენციის ამ მოწინავე და დიდად განათლებულ წარმომადგენლებს რუსთაველის ამ უკვდავ ქმნილებაზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ. მე ვთხოვე მათ: კონფერენციის მსვლელობის დღეებში, ჩემი იქ ყოფნის დროს, როგორმე ეშოვათ დრო და წაეკითხათ იგი... ის ღამე პრაბაჭარ მაჩვეს რუსთაველმა თეთრად გაათენებინა. დილით მივიღეთ მისგან უსაზღვროდ აღფროვანებული წერილი. წერილს თან ერთვოდა „ვეფხისტყაოსნის“ ადგილების თარგმანი, ურდუს ენაზე, რომელიც ამ ღამენათევ კაცს განთიადისას შეუსრულებია“.*

იმდროინდელმა ქართველმა საზოგადოებამ მაღალი შეფასება მისცა „ვეფხისტყაოსნის“ უორდროპისეულ თარგმანს. თ. სახოკია „სახალხო გაზეთში“ წერდა:

„ვერც ერთი ცდა განათლებულ და თუგინდ მეცნიერ ქართველ პროფესორთა, რუსულად გადაეცათ რუსთაველის ქმნილება ვერ შეედრება მისს მარჯორი უორდროპის თარგმანს... „ვეფხისტყაოსანი“ მისს მარჯორი უორდროპისა საშუალებას მისცემს როგორც უმაღლესი პოეზიის მოტრფიალეთ, ისე ლიტერატურის ისტორიკოსთ და მსწავლულ ორიენტალისტებს ღირსეულად დააფასონ რუსთაველის პოეზიის როგორც აზრთა, გრძნობათა სიმაღლე, ისე მე-12-13 საუკუნეების ეპოქა და კულტურა იმ ერისა, რომელმაც პოეტი წარმოშვა“.

ნ. მარიც კი, რომელიც ძვირად ვინმეს შეაქებდა, დიდად აფასებდა მარჯორი უორდროპის თარგმანს, როცა ო. უორდროპს წერდა: „რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანს, შემიძლია დავამოწმო, რომ, საზოგადოდ, სიზუსტის მიხედვით, ის საუკეთესო თარგმანია, ხოლო წვრილმანები თანდათანობით შეიძლება გაუმჯობესდეს“.**

„მის მარჯორი უორდროპის სასახელოდ უნდა ითქვას,—

---

* აბაშიძე ი.—ინდოეთის გზებზე; თბ., 1957, გვ. 27

** მარის ეს წერილი დაცულია ოქსფორდის ბიბლიოთეკაში. ფოტოპირი ინახება ჩვენთან ლ. თ.

წერდა სოლ. იორდანიშვილი,—რომ თარგმანი შესრულებულია დიდი კეთილსინიდისიერებით და თუ თარგმანში გვხვდება ალაგ-ალაგ არასწორი სტრიქონები და შეცდომები, ეს, ნაწილობრივ, აიხსნება იმითაც, რომ იმდროისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი არასაკმარისად იყო შესწავლილი თვით იმ ქართველთა მიერ, რომელთაც ის მიმართავდა დახმარებისათვის“.*

აღნიშნავდა რა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანის ღირსებებს, თ. სახოკია დასძენდა:

„იქნება ინგლისელის მიერ გაწეულმა ამ უებრო შრომამ გულისხმაში ჩაგვაგდოს ქართველობა და ჩვენს გონებრივ საუნჯეს უფრო მეტის ყურადღებით და ზრუნვით მოვეპყრათ, ვიდრე აქამდე გამოგვიჩენია ეს ზრუნვა და ყურადღება. იქნება ჩვენც დავიარსოთ რუსთაველის პოემის და ენის შესასწავლი საზოგადოება (თუ საზოგადოებანი არა), მსგავსად იტალიელთა, რომელთაც თითქმის ყოველ ქალაქში აქვთ დაარსებული ეგრეთწოდებული „დანტეს საზოგადოება“, სადაც მათის უკვდავის პოეტის და შოთას თითქმის თანამედროვე გენიოსის „ღვთაებრივ კომედიას“ მცოდნე პროფესორების ხელმძღვანელობითა სწავლობენ, იკვლევენ და ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომად ხდიან მის შინაარსს და შიგ დაცულ საუნჯეს ენისას“.**

ასეთია, უცხოელთა და ქართველ მეცნიერთა აზრი „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანზე.

ახლა გვინდა თვალი გადავავლოთ იმ შესწორებებსა და დამატებებს, რომლებიც უორდროპისეული თარგმანის 1938 წლის საიუბილეო გამოცემაში იქნა შეტანილი ცნობილი რუსთველოლოგის სოლ. იორდანიშვილისა და მთარგმნელი ქალის ელ. ორბელიანის მიერ.

1912 წლის ლონდონის გამოცემისაგან განსხვავებით (1888 წლის ქართველიშვილისეული გამოცემა, 1576 სტროფი, შედგება 47 კარისაგან, აქ ეპილოგი გამოყოფილი არ არის),

---

* იორდანიშვილი ს.—ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 110.

** სახოკია თ.—„ვეფხის-ტყაოსანი“ ინგლისურად და მარჯორი უორდროპის ასული“., გაზ. „სახალხო გაზეთი“ № 1912, № 633.

1938 წლის გამოცემაში გვაქვს 66 კარი პროლოგ-ეპილოგითურთ.

როგორც ირკვევა, ს. იორდანიშვილს შეუსწავლია უორდროპისეული თარგმანი. ორიგინალისა და თარგმანის შედარების შედეგად, რუსთველოლოგიის იმდროინდელი მონაპოვრების საფუძველზე, მას თარგმანში ბევრი რამ შეუსწორებია და ზოგიერთი ადგილი უფრო ნათლად წარმოუდგენია. ის შეცდომები, რომელიც დაშვებული აქვს მარჯორი უორდროპს თავის თარგმანში, შემდეგნაირად აქვს ჩამოყალიბებული მკვლევარს:

„1. ყველგან, სადაც კი „ვეფხისტყაოსანში" ვეფხი გვხვდება ინგლისურ თარგმანში panther-ად არის თარგმნილი. უნდა იყოს: tiger.

2. დურაჯები თარგმნილია—partridges და wood partridges (კაკბებად და ტყის კაკბებად) უნდა დარჩეს durajis, როგორც ენდემიკა.

3. „ვეფხისტყაოსანში" მინანქრის მნიშვნელობით ხმარებული სიტყვა მინა მთარგმნელს ყველგან გაგებული აქვს შუშის მნიშვნელობით (glass), უნდა იყოს: enamel.

4. სიტყვა ბადახში ყველგან თარგმნილია—ruby (ლალად) უმჯობესი იქნებოდა: ruby of Badashkhan.

5. სიტყვა საწუთრო ყველგან თარგმნილია fate (ბედი). უნდა იყოს: passing world.

6. ალაგ-ალაგ უსწოროდ არის თარგმნილი გარკვეული ტერმინები. მაგ. სახნისი — ploughshare (1016) თარგმნილია — plough. ასევეა (1021, 1031) დრამა თარგმნილია— sixpence 1183; ჩაჩნაგირი თარგმნილია — Chanchagir. უნდა იყოს Chachnagir. ხშირად სოფელი world თარგმნილია fate-ად მაგ. 1275, 1276.

არის უსწოროდ თარგმნილი სტრიქონებიც. მაგ. 70—

„მო,დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი
მისებრი მართ დაბადებით, ვინმცა ყოფილა შობილი".

"Come sit ye down, ye, who have been born under the same fate. Let us shed never-drying tears for Tariel's sake".

ინგლისურ თარგმანში ამ ორი სტრიქონის აზრი ასეა გადმოცემული: „მოდით, დავსხდეთ, ვინც მის მსგავს ბედზე

ხართ დაბადებული: დაე, ვიდინოთ შეუშრობელი ცრემლი ტარიელის გულისათვის.

დედნის მეორე სტრიქონში კი შემდეგია ნათქვამი: „მართლაც რომ დაბადებულთა შორის მისებრი არავინ იქნება (არ დაიბადება)".

სტ. 34 „და ენა ბევრად ასული" თარგმნილია:

"And a very eloquent tongue" უნდა იყოს—a million tongues.

„მას ტანსა კაბა ემოსა, გარეთმა ვეფხის ტყავისა" ინგლისურად თარგმნილია:

"His form was clad in a coat over which was thrown a panther's skin".

სტ. 505 „ებურა მოშლით პიროქრო მე მივეც რიდე რომელი". ინგლისურად თარგმნილია:

"Her golden face was carelessly covered by the golden veil I had given her" უნდა იყოს:

"Her face was carelessly covered by the golden veil I had given her".

რადგან პიროქრო რიდე იყო და არა ნესტანი.

სტ. 600 „ზღვასა შიგან იხვსა ჰგვანდა ხმელსა ზედან შევარდენსა" ფრიდონის მიერ თავის ცხენზე ნათქვამი ინგლისურად ასეა თარგმნილი:

"It seemed as if there were a duck in the sea and a falcon on the land". უნდა იყოს: In the sea (steed) seemed a duck and on the land a falcon". „ხმას სცემს ჩანგი ჩაღანასა" ინგლისურად თარგმნილია: "Harp harmonized with lute". უნდა იყოს: "Harp harmonized with castanets" აქეთ-იქით იჯრებოდეს: ვუჰვრიტოთო ამას რულად". ინგლისურად თარგმნილია: "They pressed on this side and that side, saying: we must gaze on him till sleeptime".

(ე. ი. ვუჰვრიტოთო მას ძილისპირამდისო), მაშინ, როდესაც სტრიქონის აზრია: ერთმანეთს აწყდებოდნენ, აწვებოდნენ, რომ როგორმე ეყურებინათ ავთანდილისათვის. სტრიქონის მეორე ნაწილი უნდა ითარგმნოს: "How shall we gaze on him".*

---

* იორდანიშვილი ს.—ნარკვევები ქართ. ლიტ. ისტ., თბ. 1953, გვ. 95—114.

გარდა მითითებული შეცდომებისა, 1938 წლის რედაქციაში გვხვდება მრავალი ადგილი, რომელიც რედაქტორს შეუსწორებია, მაგრამ ჩვენ მათ განხილვაზე აღარ შევჩერდებით.

1912 წლის გამოცემაში „ვეფხისტყაოსნის“ ბუნდოვანი ადგილების განმარტების მიზნით ბევრი შენიშვნაა მოცემული, 1938 წლის გამოცემაში კი, ასეთი შენიშვნები მოხსნილია. ხშირია შემთხვევა, როდესაც უორდროპისეული გამოცემის შენიშვნაში შეტანილი რომელიმე ადგილის მეორე ვარიანტი ტექსტში შეუტანია რედაქტორს და ამით ის უფრო გასაგები გაუხდია. მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, როდესაც ს. იორდანიშვილი უსაყვედურებდა მ. უორდროპს, რომ მან ორიგინალის სპეციფიურობის დასაცავად თარგმანში არ დატოვა „დურაჯი“, „ამირსპასალარი“ და სხვა, მის მიერ გამოცემულ ინგლისურ ტექსტშიც ვხვდებით ასეთ შემთხვევებს. თუ რედაქტორმა შეასწორა თარგმანი „ამირბარი“ და „ამირსპასალარი“ ისევე გადაიტანა, როგორც ქართულშია, ის ასევე უნდა მოქცეულიყო, როდესაც საქმე „ამილახორს“ ეხებოდა, რომელიც ისევეა დატოვებული მეორე გამოცემაში, როგორც პირველში იყო: “The master of the horse“.

ახლა გვინდა შევეხოთ „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანის ზოგიერთ ხარვეზს, რომელიც მეორე გამოცემაში რედაქტორის თვალს ან უნებურად გაჰპარვია, ანდა თვით ორიგინალის ტექსტის ზოგიერთი ადგილის გაურკვეველობის გამო, 1957 წლის გამოცემასთან შედარებით, არასწორადაა გაგებული.

ქართველიშვილისეულ გამოცემაში: „და კალმად მინა რხეული“.

1957 წლის გამოცემაში: „და კალმად მე ნა რხეული“.

უორდროპისეული თარგმანი, ლონდონის გამოცემა. “And for a pen a pliant crystal“.

იორდანიშვილის გამოცემაში ხაზგასმული სიტყვები ასევეა დატოვებული, მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1912 წლის შენიშვნაში მოცემულია მარისეული განმარტებაც “supple reed“, რომელიც დღევანდელი გაგებით სავსებით სწორია.

„პირველ ყრმა ვარ წასვლა მინდა პატრონისა სამსახურად“ (სტ. 153). 1957 წლის გამოცემაში იგივეა.

უორდროპის თარგმანში:

“First I am a slave, I wish to go forth to serve my lady“.

ამ შემთხვევაში პატრონ-ყმურ ურთიერთობასთან გვაქვს საქმე და არა რაინდულ დავალებასთან. ამიტომ თარგმანი ასეთი სახით უნდა იყოს გამართული:

“First I am a vassal, I wish to go forth to serve my master“.

„ვისთვისმე ხელი უცილოდ მას ცრემლი ემალმალების“. (სტ. 245).

1957 წ. გამოცემაში:

„ვისთვისმე ცხელი უცილოდ მას ცრემლი ემალმალების“

უორდროპის თარგმანი:

“Doubtless her hot tears flow faster (for that) she is mad for someone“. უნდა იყოს:

“Doubtless her hot tears flow faster for someone“. სტ. 332.

„აწ საწუთროსა გამყარა პირმან ბროლ-ბადახშეულმან“.

1957 წლის გამოცემაში იგივეა.

უორდროპისეული თარგმანი:

“Now fate sundered me from the crystal-ruby- faced“.

უნდა იყოს.

“Now the crystal-ruby faced has sundered me from the world“. სტ. 431.

„მოციქულნი დავაყენენ, ხარგა დავდგი არ მაზრები“ 1957 წლის გამოცემაში იგივეა.

უორდროპის თარგმანი:

“I put up a felt tent, I kept the messengers“.

ს. იორდანიშვილს შეცდომით აქვს შესწორებული სტრიქონის მეორე ნაწილი—“I put up a felt tent not a rich one“.

აკად. აკ. შანიძის განმარტებით, „ხარგა უპირისპირდება მაზარას—უბრალო ქსოვილისაგან გაკეთებულ კარავს“ ე. ი. ტარიელს ალუმართავს, არა როგორც შესწორებაშია „არა-

მდიდრული კარვები", არამედ, პირიქით, არაუბრალონი: თარგმანი შემდეგნაირად უნდა ყოფილიყო შესწორებული:

"I put up a rich felt tent".

„ხელსა ხრმლითა დავეკოდე, წყლულად მაჩნდა არ ნაღებად". სტ. 453.

1957 წლის გამოცემაში იგივეა.

უორდროპის თარგმანი:

"I had wounded my arm with the sword. It seemed a mere scratch to me".

ტარიელის ჭრილობა რომ სერიოზული იყო და არა მსუბუქი მოწმობს სხვა სტროფი, საიდანაც ჩანს, რომ მას ხელი ჩამოკიდული აქვს. ამიტომ სტრიქონის აზრი ასე უნდა იყოს გადატანილი:

"I had wounded my arm with the sword. It hurt me so that I could not move it".

როგორც ვხედავთ, 1938 წლის მ. უორდროპისეულ გამოცემაში, იორდანიშვილმა შეასწორა ბევრი ადგილი, მაგრამ ბევრი რამ ისევ შეუსწორებელი დარჩა.

მარჯორი სკოტ უორდროპის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი ქართული ნაწარმოებების—„ქართული ხალხური ზღაპრების", ილია ჭავჭავაძის „განდეგილის", „მგზავრის წერილების", „წმ. ნინოს ცხოვრებისა" და „ვეფხისტყაოსნის" ინგლისურ თარგმანთა ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთარგმნელმა შეძლო ერთ მთლიანობაში წარმოედგინა ქართული მწერლობა—ქართული ფოლკლორის, მხატვრული ლიტერატურისა და ჰაგიოგრაფიის ნაწარმოებთა კარგად შესრულებული თარგმანებით ინგლისელი მკითხველი საზოგადოებისათვის გაეცნო ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები.

ქართულ დედანთა თარგმანებთან შედარებამ ცხადჰყო, რომ მარჯორი დიდი კეთილსინდისიერებით მიჰყვება ქართულ ტექსტს, ერკვევა ქართული ენის თავისებურ ქცევებსა და გამოთქმებში, უხვად და მოხერხებულად იყენებს ინგლისური ენის მდიდარ ლექსიკას, იკვლევს და სწავლობს ქართულ სიტყვათა მრავალმნიშვნელობას და მათი

თარგმნის დროს ყოველთვის კონტექსტიდან გამოდის. მთარგმნელი შემოქმედებითად უდგება მის მიერ არჩეულ ნაწარმოებებს, მაქსიმალურად იცავს მწერლის ჩანაფიქრს ორიგინალის სტილისტურ თავისებურებათა დაცვის გზით.

სათარგმნი მასალისადმი ასეთმა მიდგომამ განაპირობა მარჯორი სკოტ უორდროპის მიერ ქართულიდან თარგმნილ ნაწარმოებთა დიდი წარმატება და თვით მთარგმნელს საპატიო ადგილი დაუმკვიდრა მე-19 საუკუნის რეალისტ მთარგმნელთა შორის.

მარჯორი უორდროპის მოღვაწეობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მისი თარგმნის მეთოდის მხრივ, არამედ იმ მხრივაც, რომ მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ინგლისურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საქმეს, რითაც გარკვეული წვლილი შეიტანა ინგლისელ და ქართველ ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობისა და ურთიერთგაგების დამყარებაში.

ამიტომ არის რომ ყოველი ქართველისათვის ძვირფასია მარჯორი უორდროპის სახელი, სახელი ადამიანისა, რომელსაც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თვალწინ ედგა ჩვენი ქვეყანა, აქ სიხარულით გატარებული ყოველი წუთი.

სიკვდილის სარეცელზე მწოლ მარჯორის ენა წართმევია... რაკი ხმის ამოღება ვერ მოუხერხებია, ნახევრადგაყინული ხელით მოუხაზავს ჰაერში სიტყვა „საქართველო“, სახელი იმ ქვეყნისა, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ხატად ისახავდა, რომელიც ასე სისხლხორცეულად უყვარდა.

მადლიერი ქართველი ხალხი გულით ატარებს მარჯორი უორდროპის ნათელ ხსოვნას და მის სახელს მოწიწებითა და პატივისცემით იხსენიებს თავის ერთგულ მოამაგეთა შორის.

მარჯორი უორდროპის წერილები

ილია ჭავჭავაძეს

Chislehurt. Kent
England.
8 სექდემბერი 1894.

მოწყალეო ხელმწიფევ!*

ინგლისურად თარგმანი ვჰქმენ თქვენსა „განდეგილსა“, რომელსა უკეთესისა ლექსისაა თქვენი მშვენიერი ენაში რომ მე ვკითხვე და რომელსა ქონება ყველას მწერლობას დიდება უნდა იყოს.

მე დიდი სურვილი მაქვს გავუზიარო ჩემს თანამემამულეთ ის სიამოვნება რომელიც მე ამ ლექსმა მაგრძნობინა. ამისთვის ვჰკადრებ თხოვნა თქვენი ნება ეს ჩემი თარგმანი გამოცემად.

ვსცადე სიტყვითი სიტყვითად მას გამოთქმა, მაგრამ ბევრი მისი მშვენიერება უნდა იყოს, საჭიროდ, დაკარგული უცხო თარგმანში.

ჩემი ძმა' დიდი პატივი ქონდა, რაოდენიმე წელიწადნი უკან, ტფილისში, თქვენი გაცნობა ქმნა, და მე დიდი იმედი მაქვს, რომ მეც მაგასთან მალე მოვალ საქართველოში. ქვეყანა რომელკენ მე გულწრფელი სიყვარული ვჰგრძნებ, და სურვილი მაქვს რომ მერე მე შევჰსძლებ პირ და პირ გამოთქმა უღრმესი პატივისცემა თქვენის ნიჭისათვის და დიდებულის მსახურობისათვის მიცემული თქვენგან ძველებურს მეფობას საქართველოსათვის.

მე ვარ, ბატონო, მომლოდინე ჩემთვის სასიხარულო ნებისა
თქვენი პატივისმცემელი
Marjory Wardrop.

---

* ხელნაწერთა ინსტიტუტი. ილია ჭავჭავაძის ფონდი № 200 ხელნაწერი № 30.

British Consulate
St. Petersburg

ტუჩქოვის ნაპირი № 4.
16/29 იგრიკისა. 1906 წ.

ღრმათ პატივცემულო თავადო ილიავ,*
დიდ სიამოვნით გავიგეთ რომ თქვენ აქ მობრძანებულხართ. მოგვილოცავს გულით თქვენი ამორჩებაზე.

ფრიად მოხარულნი ვიქმნებით თქვენი ნახვით. თუ შეიძლება, გთხოვთ მობრძანდეთ ჩვენთან სადილათ პარასკევს საღამოთ რვის ნახევარზე.

ჩემმა ძმამ უგულითადესი მოკითხვა გიძღვნათ.
თქვენი ღრმათ პატივისმცემელი

მარჯორი უორდროპი.

აკაკი წერეთელს

მოწყალეო ხელმწიფევ, დიდათ პატივცემულო ბატონო აკაკი!** მივიღე და წამიკითხია დიდ სიამოვნით თქვენი ჟურნალი „კრებული“. საუბედუროთ, ერთი წიგნი, № 11 იულისთვის, მაკლია. არ ვიცი ფოსტაში დაკარგული იყო ანუ შეცდომით გამოგზავნილ არ ყოფილა. გთხოვთ გამომიგზავნოთ ამ წიგნი მით, რომელ მინდა სრული ჟურნალი ერთად შევჰკრავ.

ჩემი ძმა და მეც მოგვილოცავს ახალ წელიწადზე. ჩვენთვის ფრიად სანანელი იყო რომ აქ არ ვიყავით, როდესაც

---

* ხელნაწერთა ინსტიტუტი. ილია ჭავჭავაძის ფონდი № 200. ხელ. № 31
** ხელნაწერთა ინსტიტუტი. აკაკის ფონდი. № 460. ხელ. № 1.

თქვენ ქერჩში ჰბრძანდებოდით: ინგლისში ვიყავით. სურვილი გვაქვს რომ თუ თქვენ კიდევ მოგზაურობთ ამ მხარისკენ, წინეთ ჩვენთან მოგვწეროთ მით, რომელ შინ ვიყოთ.

თქვენი პატივისმცემელი

მარჯორი უორდროპი.

ადრესი ჩემია:
Miss Wardrop.

Великобританское Консульство в г. Керчи.

როდის გამოდის კიდე „კრებული?“.

დიდათ პატივცემულო თავადო აკაკი,*
დღეს ვნახე რომ ერთი ნომერი „კრებულისა“ 1899 წ. მაკლია. თუ შეიძლება, მადლობელი ვიქმები თუ მიგზავნოთ ნომერი IV (აპრილის 1899 წ.) სრული გამოცემა დასაწყისთგან მაქვს ამ ნომრის კიდე.

სურვილი მაქვს რომ თქვენი ჯანმრთელობა ეხლა სულ კარგი არის.

დიდ მწუხარებით გვესმოდა რომ ჩვენი ძვირფასი მეგობარი გიორგი წერეთელი[2] გარდაიცვალა.

ჩემმა ძმამ მრავალი მოკითხვა გიძღვნათ. აგრეთვე ჩემმა გიერათაც გთხოვ გარდასცე ყველას ნაცნობებს საჩხერეში და ჭალაში გულითადი მოკითხვა.

თქვენი ღრმათპატივისმცემელი

Marjory Wardrop.

ქერჩი

17/29—I 1909 წ.

---

* ხელნაწერთა ინსტიტუტი. აკაკის ფონდი № 460. ხელ. № H-1496/7.

ანეტა ჯუღნიას[3]

11 bis Strada Surorilor Bucharest

18/31 მირკანისა 1909 წ.

უძვირფასესო ანეტა,

თქვენმა წერილმა ფრიად გამახარა. დიდი ხანია მეც მინდოდა წერილი მომეწერა და თქვენი ამბავი გაგვეგო, მაგრამ ადრესი არ ვიცოდი. ორი სამი კვირაა ვენერამ მომწერა რომ ახლა ალექსანდროპოლში ჰსცხოვრობენო და მერე მე მივიღე თქვენი ბარათი.

როდესაც დაბრუნებულვართ დასავლეთ ინდიებისგან ოლივერმა მიიღო ილიასაგან „კალმის მონასმი“ რომლისთვისაც დიდ მადლობას მოახსენებს პატივცემულ მწერალს.

ჰაიტში გავატარეთ ერთი წელიწადის მეტი, და მერე როცა დაიწყო რუსის ომმა იაპანთან ჩემი ძმა დანიშნეს კონსული პეტერბურგში. იქ ვიყავით თითქმის სამი წელიწადი 1906 წ-მდე ზამთარს. ძალიან საინტერესო იყო: ნაცნობები ბევრი გვყვანდა და მათ შორის ქართველები იყვნენ. მაგრამ პეტერბურგის ჰავა მავნებელია და ორივე ავათ ვიყავით. ამ მიზეზისათვის მთავრობამ დანიშნეს ილიერ კონსული ბუხარესტში და ორი წელიწადია აქა ვართ. ამ ორი წელი მე ძალიან სუსტად ვიყავი მაგრამ ეხლა უკეთ ვარ და ძმაც კარგათ არის.

შარშან ზაფხულს ინგლისში ვიყავით დედასთან და ძალიან კარგათ გავატარეთ დროს. დედა ჯანმრთელია და არავინ არ დაიჯერება რომ სამოცი და ათი წლის ქალია. ძმა თომაც[4] ჯერ გასათხოვარია და დედასთან ჰსცხოვრობს.

დიდ მადლობას მოგახსენებთ დაპატიჟებისთვის. ჩვენთვის დიდი სიამოვნება იქმნებოდა კიდევ თქვენ და ბ. ილიას ნახვა. ამ ზაფხულს მეშინიან რომ ვერ მოვდივართ საქართველოში. ძალიან ძნელია ძმისთვის წასვლა ამიტომ რომ ბევრი საქმე აქვს და შარშან სამი თვე იყო ინგლისში. ნატა გნახოთ მომავალში!

დიდის პატივისცემით მოგვიკითხეთ ბ-ნ ილიას, აგრეთვე ოლივერი თქვენ და ბ-ნ ილიას ბევრ მოკითხვას მოგახსენებსთ. ნუ დამივიწყებთ, მომწერეთ კიდევ წერილს.

მარად თქვენი მოყვარული

მარჯორი.

11 bis Strada Surorilor Bucharest

17/30 IV 1909.

ძვირფასო მეგობარო,

თქვენგან წერილი მივიღე და ძალიან გამახარა.

რაც შეეხებს თქვენი სათხოვარი – ჩემგან არასოდეს გარდათარგმნილიყო მოთხრობა ქართულათ: სამწუხაროთ თქვენი ენა არ ვიცი საკმაოდ კარგათ. ერთხელ კი მინდოდა პატარა სტატიებს ანუ ამბებს თარგმნა მაგრამ მხოლოდ ვარჯიშობისათვის რომ უფრო მართლათ ვჰსწერო. მას მერმეთ, თქვენგან არაფერი ამბავი არ მივიღე.

დრო ჩქარათ დადის. მუდამ საქმე მაქვს და ამასთან ამ ორი წელიწადი ჯანმრთელობა სუსტია. თუ მოვახერხე შემდეგში გიგზავნო რამე თარგმანი თუ კეთილ ინებოთ გამისწოროთ.

აქ დიდი სიცხე არის 24°R ჩრდილში.

დიდის პატივისცემით მოგიკითხავთ თქვენ და ბატონ ილიას ოლივერ; ჩემს მაგიერ აგრეთვე გულითადი მოკითხვა

მარად თქვენი მოყვარული

მარჯორი.

ქერჩი
4/16 აპანი. 1896 წ.

ჩემო ძვირფასო ანნეტა!

დიდათ დანაშაული ვარ რომ პასუხი თქვენს გულკეთილს წერილს ვერ მოგწერე; თუმც სულ უქმი არის აქ ქერჩში, დრო ვერ ვჰპოვებ წერილისთვის—მეტადრე ქართული წერილის-

თვის. ბევრი ინგლისური ბარათი უნდა ვჰსწერ, და მუდამ მგონია რომ ხვალე ჩემი მეგობრებთან საქართველოში ვჰსწეროო!

და ხვალ, ვაიმე, დიდი ხანია!

ქერჩი ნამეტანი მოწყენილი არის, და ზამთარი უარესი ჟამია. ბრე-მარეზე გაშლილა ზეწარს სპეტაკის თოვლისას, რომელი დაჰფარავს აქაური გლახა ბუნება, მაგრამ, სამწუხაროთ, ვერ წავიდეთ გორებზე, და არ მომწონს ქალაქში წასვლა.

ბოდიშს ვიხდი რომ სურათები ჯერ ვერ გამოგგზავნე; არ დავივიწყებ ჩემი პირობა,

წავიკითხე საშინელს წყალ-დიდობას და ჰირს შესახებ და ვჰგრძნობ უღრმესი თანალმობა საწყალო ხალხთან; იმედია რომ მალე იქნება კომიტეტი და შემოწირულება წყალდიდობისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად; თუ არა დიდი უბედურობა და შიმშილობა უნდა იყოს.

ხომ იცით სად არის ამბავი რომ ღვთის-მშობელი მისცა ჯვარი წმინდა ნინოსთან? საბინინს საქართველოს სამოთხეში არ არის არც ახალი ვარიანტში. ხომ მოთხრობაში არის ანუ ლეგენდა? შეიძლება ქართლის ცხოვრება ჰამბობს ესა. ჯვარი, მე ვიცი, თბილისში არის, და ნინოს თმით დაბმული არის.

გილოცავთ ახალი წელიწადი!

ჩვენი უგულითადესი მოკითხვა ბ. ილიას, ბ. მირიანს, თქვენი მამას, დედას, დებს და ყველას მეგობრებს.

მარად თქვენი ერთგული

Marjory Wardrop.

უკაცრავათ შეცდომისთვის, მაგრამ დღეს ცოტა მოცლა მაქვს.

Belmont
Sevenoaks.

უსაყვარლესო და ღრმათ პატივცემულო ქნეინა ოლგა,*
ძალიან ვწუხვარ რომ ვერ შეგვიძლებიდა თქვენთან ხლება ჩვენი წასვლას წინ. დიდი სურვილი მქონდა თქვენი და თავადი ილიას ნახვა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

სახლში ყოფნა ფრიად სასიამოვნო არის. ჩვენი ბაღი და აქაური სოფელი ასეთი მშვენიერობაა თითქო საქართველოში იყო. ჩვენი დედა და ძმა ძალიან კარგათ არიან და ხშირათ ვლაპარაკობთ თქვენზე და საქართველოზე.

იმედი მაქვს რომ ეხლა კარგად ბრძანდებით. ბოდიშს ვიხდი თუ გლახათ ვსწერ: მოცლა არა მაქვს. ბევრი ნაცნობი მაქვს და ყოველ დღე სადმე ვარ სტუმრათ. თუმცა ცოტა ვსწერ ბევრჯელ ვფიქრობ თქვენზე, ჩემო საყვარელო მეგობარო და იმედი მაქვს რომ შემოდგომას კიდევ გნახავთ თქვენ და თქვენი ღრმათ პატივცემული ქმარი.

ჩემმა დედამ და ძმებმა გიძღვნათ უგულითადესი მოკითხვა. გაკოცებ ურიცხვს და თქვენს ბედნიერ ცხოვრებას ღმერთს ვსთხოვ.

მარად თქვენი მოყვარული მეგობარი

მარჯორი უორდროპ.

ქერჩ
29/10 თიბისა 1895 წ.

უძვირფასესო და ღრმათ პატივცემულო ქნეინა ოლგა!**

დიდი ხანია მინდოდა თქვენი მიწერა და შენდობასა ვთხოვთ რომ უმალეს ნება არა მქონდა, მაგრამ ინგლისში ინფლუენზა მჭირდა და ქერჩში რადგანაც მოვსულვართ ძნიად წამზედ მომეცალა, ბევრჯერ ფიქრში მომივიდა თქვენთან ბარათს გაგზავნა. ჩვენი სახლში ბოლოს დაბინავებული ვართ,

* ხელნაწერთა ინსტიტუტი. ილიას ფონდი № 374. ხელ. № 1.
** ხელნაწერთა ინსტიტუტი. ილიას ფონდი №374.ხელ. № 3.

ამ ადგილში გორაზედ მდებარეა სადაც ქარია მუდამ ჰქრის ხეებს შორის და ჰაერი სულ გრილია; ეზოშიაც პატარა ბაღი ჰყვავის.

ქერჩ მოწყენილი ქალაქია და საზოგადოებაც ცოტა არის, მაგრამ საქართველოს ახლოს ვართ და ამისთვის მომწონს. რამდენჯერ ჩვენ აღმავალთ მიტრიდატეს მთაზედ, და შავსა ზღუას ვადევნებ თვალს ვიდრემდის კიდევ ვნახავ საქართველოს დიდებული მთები წვერთა მაღალთა ყინულით შემოსილთა, მისი ტყეები და ძველებული ციხები რომელნისა ზღუდეებს იმრგულივ ლეგენდა და ადრინდელი მოთხრობა მრავლად მოხვეული ჯერ არის; კიდევ ვნახავ ჩვენი საყვარელი მეგობრები! ვაგლახ მე რომ მხოლოდ სიზმარია!

მე მეშინიან რომ ზამთარს წინათ ვერ შეგვიძლიან საქართველოში მობრუნება, მაგრამ, ჩვენი ძმა, რომელიც მალე მოდის ჩვენი ნახვა, თვით აპირებს ერთი კვირა კავკასიაში ატარება.

თქვენს ღრმათ პატივცემულს ქმარს, კნეინა ლიზას,[6] თ. დავით მიქელაძეს,[7] ივერიკოს[8] და ყველას ნაცნობებს ჩვენი უგულითადესი სალამი და მოკითხვა მოვახსენეთ.

მარად თქვენი ერთგული და ღრმათ პატივისმცემელი მეგობარი

Marjory Wardrop.

ქერჩ
14/26 იგრიკა 1896 წ.

დიდათ პატივცემულო და უძვირფასესო კნეინა ოლგა!*

დიდათ მადლობელი ვარ თქვენი მოყვარული და მშვენიერი წერილისათვის.

დღეს ვგზავნე ერთი ხელი „განდეგილს“ რომელიც შეკრული იყვნ საკუთრად თქვენთვის; ამასთანა არის ორი პატარა განხილვა თარგმანზედ. ივერიკო უთუოდ გადათარგმნის განსხვავებით თქვენთვის და თქვენი პატივცემული ქმრისთვის. ესენი პირველი განხილვა არის.

* ხელნაწერთა ინსტიტუტი. ილიას ფონდი № 374, ხელ. № 4.

ჩვენი დედ-მამა და მეორე ძმა მოსულ არიან ქერჩში ერთი კვირაა; ვარდობისთვეში ვაპირებთ საქართველოში მობრძანება, და მოუთმენლად ველი თქვენს ნახვას.

გთხოვ მოახსენეთ ჩემმაგიერ უღრმესი მადლობას თავად ილიას მისი წერილისათვის.

გმადლობ ცნობისათვის ნინოს ცხოვრება შესახებ. ბოდიშს ვიხდი რომ ასე ცოტას ვსწერ.

გთხოვთ ჩემი გულწრფელი პატივისცემა გადასცეთ თქვენს ქმარს, კნეინა ლიზას, ივერიკოს და ყველას ნაცნობს.

დედა და ძმა ჩემმა მრავალი მოკითხვა მოგახსენათ.

სიყვარულით, მარად თქვენი ღრმათპატივისმცემელი

Marjory Wardrop.

ქერჩი
27/9 ქრისტეშობისთვე 1896 წ.

ღრმათ პატივცემულო და უძვირფასესო კნეინა ოლგა!*

დიდი ხანია რაც სულით და გულით მინდოდა წერილი მოგწერეთ. ყოველ დღე ვჰფიქრობდი: დღეს უნდა მოვწერო მაგრამ ვერ მოვახერხებდი.

ექვსი კვირაა რაც მშობლები და ძმა წასულ არიან აქითგან ახლა იტალიაში არიან—ნეაპოლის არემარეში, და ძალიან კარგათ გაატარეს დრო. იქ მშვენიერი ამინდები არის, და მგონია რომ იტალიაში დარჩებიან ზამთრის ბოლომდე.

აქ რა ცუდი ზამთარია! გუშინ დიდი თოვლი და ყინვა—დღეს კი წვიმა და სიცხები. ბევრი ავათმყოფობა არის და თუმცა ქრისტეშობისთვე, ძმას ციება ჰირს, მეც გავაციე და ერთი კვირაა რომ სულ სახლში ვიყავი. ზამთარი ძალიან გრძელი ჩანს მაგრამ ბოლოს მოდის გაზაფხული და მერე წავალთ ინგლისში, სადაც ჩემი აზრში ყველაფერი კარგი და სასიამოვნო ჰბრძანებს. ორი წელიწადი რუსეთში ძალიან დიდი ხანია.

ბევრჯელ ვჰფიქრობ საქართველოზე; ახლა უფრო კარგათ გავიცანე ქართველი ხასიათი—მისი კეთილსულობა და ავობაც, და მომავალში იქმნება კიდევ მოვალთ და ვნახოთ.

---

* ხელნაწერთა ინსტიტუტი. ილიას ფონდი № 374. ხელ. № 5.

მივიღე „ცნობის ფურცელი". როდის გამოვა „ივერია"? ცნობის ფურცელი გვარიანია და იმედი მაქვს რომ ივერია მალე მივიღო კიდევ.

გთხოვთ მომწერეთ მალე და მითხარით თქვენი ამბავი.

ჩვენი უგულითადესი მოკითხვა და სალამი მოახსენეთ თქვენს პატივცემულ ქმარს და კნეინა ლიზას.

მარად თქვენი პატივისმცემელი და მოყვარული

Marjory Wardrop.

ქერჩი.
3/15 აპანი 1896 წ.

დიდათ პატივცემულო და უძვირფასესო კნეინა ოლგა!*

დიდ მადლობას ვითვლი თქვენი გულკეთილი ბარათისთვის; დიდათ მრცხვენიან რომ ასეთი დიდხან გასულა, და ვერ მოგწერე წერილი. იმედია მაპატივებთ, და ვაპირებ მომავალს უფრო ხშირათ თქვენთან ბარათს გამოგგზავნო. ერთი დღე არასოდეს არ გავიდა როდესაც მე არ მგონებდი თქვენზე და ვსცხოვრობ იმ დროში როდესაც კიდევ საქართველოში ვიყო. მეშინიან რომ ქერჩში ზარმაცი ვარ, და მეტადრე ჩემი თვალები დასუსტდებიან, მაგრამ ახლა უკეთესათ არიან, და ეს არღარა საკმაო ბოდიშს იქნება.

ჩვენ დიდათ შევსწუხდებით რომ ძვირფასი კნეინა ლიზა ავათმყოფი ყოფილა და სურვილი გვაქვს რომ ახლა უკეთ არის.

ქერჩში ცოტათ მომეწყინა; ვისურვებთ რომ ნამეტანი დიდი ხანი აქ არ ვიქნებით; ძმის შრომა გათავებული არის ვიდრე მირკანისთვე, მაგრამ ქერჩიდან არ უნდა წავალთ, ამისთვის რომ მხოლოთ ერთი წელიწადში უქმი დრო ნების დართულია, და უფრო სასიამოვნო იქნებოდა გაზაფხულის ან ზაფხულს წასვლა.

ჩვენი დედ-მამა, და შეიძლება მეორე ძმაც აპირობენ ჩვენთან სტუმრად ყოფნა ამ გაზაფხულს, და სურვილი მაქვს რომ

* ხელნაწერთა ინსტიტუტი. ილიას ფონდი № 374. ხელ. № 6.

მოახერხებენ თქვენ მშვენიერ სამშობლოს ნახვას. თუ დრო არის ჩვენც მათთან მოვბრძანოთ.

წავიკითხე საშინელს წყალდიდობას და ჰირს შესახებ, და ვჰგრძნებ ულრმესი თანაგრძნობა საწყალი ხალხისთვის; მაშასადამე მეშინიან რომ დიდი უბედურობა და შიმშილობა იყოს. იმედია რომ მალე იქნება კომიტეტი და შემოწირულება წყალდიდობისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად.

დიდი ხანია რომ ნათარგმნი ჩემმაგიერ „განდეგილი“ გამომცემლის ხელებში ყოფილა, და ხანდაზმულობის მიზეზი არ ვიცი. მე მგონია რომ ძალიან მალე წიგნაკი მივიღო და მყის თქვენთან გამოგგზავნო. წმინდა ნინოს ცხოვრება გადავსთარგმნე მაგრამ არსად ვერ ვჰპოვე რას ნიშნავს „ვადაგი მეფეთა“ (ახალი ვარიანტი 13. სტ. 71 და „უორეს შენებულისა“ საქართველოს სამოთხე-საბინინს გვ. 129 სტ. 23) *

მე დიდათ მადლობელი ვიქნები თუ შეგიძლიანთ ნიშანს მითხრობა.

ბატონი ვაზიანის[9] ამბავი ხან და ხან მსმენია, ამისთვის რომ ხშირათ სტუმრათ არის დედ-მამასთან; კარგათა ჰბრძანებს. როდესაც ჩვენ ვსწეროთ, ვუთხაროთ რომ ივერიკოს უნდა ჰსწეროს.

სურვილი მაქვს რომ თავადი ილია არ დაივიწყებს მისი პირობა ქერჩში მობრძანებას; ჩვენ უდიდესი სიამოვნება იქნება.

თავ. ილიას, კნ. ლიზას, კნ. ბარათაშვილს, თავ. მიქელაძეს, ივერიკოს და ყველას მეგობრებს ჩვენ მაგიერ უგულითადესი მოკითხვა და მოლოცვა ახალი წელიწადზე მოგახსენეს. ჩემმა ძმა გიძღვნასთ მოკითხვა და სალამი.

მარად თქვენი ღრმათპატივისმცემელი, ერთგული

Marjory Wardrop.

კერჩ
24 /5 აპანისა 1899 წ.

უძვირფასესო და ღრმათპატივცემულო კნეინა ოლგა!** მოგილოცავს ახალ წელიწადზე და სურვილი გვაქვს ჩემი

* წერილის კიდეზეა შემდეგი მინაწერი: ვადაგი—ნათესავი ანუ ტომი.
** ხელნაწერთა ინსტიტუტი. ილიას ფონდი № 374. ხელ. № 7.

ძმა და მე რომ თქვენთვის და თავადისა ილიასთვის 1899 წ. ძალიან ბედნიერი იქმება. სვემცა იყოს თქვენი სვიანად!

დიდი ხანია რომ თქვენი ამბავი სრულიად არ ვიცი, და ხშირ-ხშირათ მინდოდა თქვენთან მოვჰსწერდი. ამ ზაფხულს ჩვენ ხუთი თვე ვიყავით ინგლისში; ჩემმან ძმამან ოლივერმან ავად გახდა, მით რომელ ჩვენ გავატარეთ ორი-სამი თვე სოფელში-ინგლისში და სკოტლანდიაშიც. ეხლა კი ძალიან კარგათ არის, ამისთვის რომ მშვენიერი დარი ყოფილა ამ ზამთარს კერჩში. ჩვენ ვიყავით ოქსფორდშიც ერთი კვირა, სადაც შეადგინეთ კატალოგი ყოველთა ქართულთა წიგნთა. ინდიის ინსტიტუტში (Indian Institute). იქ არის ასი ტომი მალანის[10] ბიბლიოთეკაში. გვინახავს ჩვენი მეგობრები ბბ. მორფილი[11] და კონიბირი[12] და მათთან ბევრს ვჰლაპარაკობდით საქართველოზე.

ჩვენ ვაპირებთ კიდევ წავალთ ინგლისში იგრიკის თვეში. შეიძლება ვმოგზაურობთ კონსტანტინოპოლში, მალტაში, ტუნისში, ალჟირში და მუნითგან მარსილიაში და ლონდონში; მაგრამ ჯერ არ ვიცით თუ მოვახერხეთ.

რამთენიმე თვეა რომ გავათავე პირველი ჩემი თარგმანი რუსთაველისა, ჯერ ძალიან ცუდად არის ინგლისურ ენაზე, მაგრამ სურვილი მაქვს რომ წრეულს მეორეჯერ შევადარო დედანთან. მინდა ძალიან კარგი იყოს, წინეთ რომ გამოდის ინგლისურ ენაში.

ოლივერმა თარგმანი ჰქმნა ნახევარს ვისრამიანს, და წიგნი ფრიად მოსწონს. ყოველ დღე ჩვენ ერთად ვჰკითხულობთ ქართულად.

ბოდიშს ვიხდი რომ ასრე გლახათ ვჰსწერ ქართულათ. ცოტა ვარჯიშობა მაქვს და არ ვიცი როდესაც მართლად ვჰსწერ ანუ უმართლოდ.

ვთხოვთ მომწერეთ მალე და მითხარით თუ კარგათ ბრძანებთ. გარდასცეთ ჩვენი უგულითადესი მოკითხვა და სალამი თქვენს ღრმად პატივცემულს ქმარს, კნეინა ლიზას და ყველას მეგობარს.

მრავალ კოცნით და სიყვარულით,
მარად თქვენი მოყვარული
Marjory Wardrop.

მადლობას მოგახსენებ გაზ. ივერიასთვის, რომელიც ყოველთვის სიამოვნით წამიკითხავს.

ვარშავა:
23/5 VI 1900.

საყვარელო და უძვირფასესო კნეინა ოლგა *

მხოლოდ გუშინ

ვჰკითხულობდი ქართულ გაზეთში რომ ღრმათ პატივცემული თავადი ილია ავათ ყოფილა. ამ სამწუხარომა ამბავმა გულით შეგვაწუხა; დიდი სურვილი გვაქვს რომ ეხლა ჯანმრთელი არის.

დიდი ხანია მინდოდა თქვენთან წერილის მოწერა. ვჰსწერე სამი წერილი თქვენთან მაგრამ არ მომწონდა.

მე ვიცი გლახათ ვჰსწერ ქართულად, და მრცხვენიან; ვჰკითხულობ ბევრს და კარგათ მესმის მაგრამ არ ვიცი როდესაც მართლა ვჰსწერ თუ არა. სურვილი მაქვს რომ შეიძლება კიდევ მოვალთ საქართველოში და მერე იქნება შევისწავლო მართლა წერა ქართულად.

სამი თვეა ჩვენ ვარშავაში ვართ პოლონიაში. ინგლისელი კონსული წასულა ომში სამხრეთ აფრიკაში და ჩემი ძმა დანიშნულია მისს ალაგს ომის გათავებამდის. აქ ჩვენ დიდათ მოგვწონს ცხოვრება და საზოგადოება. ჩვენი ძმა თომა აქ იყო და დარჩა ჩვენთან ორი კვირა. თქვენ ხომ არ აპირებთ დასავლეთში მოგზაურობა? ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს თქვენ და თქვენი ქმარი კიდევ ვნახოთ. აქ ვნახე ერთი ქართველი ქალი, რომელიც გავიცანი ჭუთაისში ვარია გაბაშვილის ქალი, ალექსანდრე ჰყონიას დისწული. ორჯერ ვნახე და მსურს რომ ხშირათ მოდის ჩემთან. მისი ქმარი რუსია და მსახურებს ლაშქარში.

გთხოვთ გარდასცეთ ჩვენ მაგიერ უგულითადესი მოკითხვა თქვენს ქმარს და კნეინა ლიზას და ყველა ნაცნობებს.

ყოველ დღე ვფიქრობ სიყვარულით საქართველოზე და ნეტა თუ იქ ვიყავითო. უგულითადეს მოკითხვას და ნახვის ნატვრას უძღვნის თქვენ მარად მოყვარული

მარჯორი უორდროპის ასული

---

* ხელნაწერთა ინსტიტუტი. ილიას ფონდი № 374. ხელ. № 8.

ჩვენი_ადრესია:
Варшава
Великобританское Генеральное Консульство. Аллея Иерусалимская 71.

კერჩი
25 /8 ქრისტეშობისთვე 1900 წ.

დიდათ პატივცემულო და უძვირფასესო ქნეინა ოლგა, *

უდიდეს სიამოვნით შევიტყობთ რომ თავადი ილია უკეთ არის. ჩვენ სურვილი გვქონდა რომ თქვენ ვარშავაზე მოჰგზაურობდეთ. მეც ბერლინში ვიყავი რამდენიმე დღე ჩემი ძმა თომასთან და სუყველგან მივიხედ-მოვიხედავდი ამ იმედში; ნეტა თუ ვნახოთ ჩვენი ქართველნი მეგობრებიო. სამწუხაროთ, ჩვენი ეტლი არ უნდოდა ჩვენის მოგებება ერთგან.

ორი თვეა ჩვენ კიდევ ამ მოწყენილი, პატარა კერჩში ვართ; დრო ვარშავაში ნამეტნად ჩქარა გაფრენილა და გულის შეტკივებით გამოსულნივართ პოლონური დედაქალაქიდან. კაპიტანი მორრი დაბრუნდა მძიმედ დაშავებული ტრანსვაალის ომიდგან, მაგრამ მყისვე მისს საკონსულოში ვარშავაში მივიდა.

იქ, სხვათა შორის, გავიცანეთ ახალგაზრდა ქართველ მხედარს, თავ. ერისთავი, რომელიც ზოგჯელ ჩვენთან ჰთამაშობდა „ლაუნ ტენნის“ ლაზენკაში.

ჩვენი დედ-მამა და ძმა ჩვენთან გაატარეს ორი კვირა და მერე მოჰგზაურებდნენ. ძალიან ხშირათ ლაპარაკობდენ თქვენზე და საქართველოზე და სურვილი გაქვთ მეორეჯელ, თქვენი მშვენიერი ქვეყანას ნახვას.

თუმცა ქერჩი მოწყენილი ქალაქია ჩვენ შეჩვეულნი ვართ. ყოველ დღე ეჰსეირნობთ მიტრიდათის მთაზე შვიდი-რვა ვერსტი და ამ სიარული ძალიან კარგია ჯანმრთელობისათვის. ამის გარდა, სალხინოთ, დიდი სამწიგნობრო გვაქვს და არის ბევრნაირი წიგნი—ქართული და ევროპული.

გთხოვთ როდესაც მომწეროთ, თუ იცით, მითხარით

* ხელნაწერთა ინსტიტუტი. ილიას ფონდი № 374. ხელ. № 9.

„Le Caucase Illustré„ გამოდის ტფილისში თუ პარიჟში: ვჰსწერე სამჯერ ტფილისში, პირველად წერაკითხვას საზოგადოებაში და მერე ბატ. მურიესთან (M. Mourier) რედაქციაში „Le Caucase Illustre“ და არც ერთმა და არც მეორემ არ მეპასუხა. მე მინდა ხელს ჩავრთავ ამ ჟურნალისა მისსდასაწყისიდგან და მომავალშიც. რას უნდა ვაკეთებ?

გთხოვთ გარდაეცით ჩვენი უგულითადესი მოკითხვა თავადს ილიას, კნეინა ლიზას და ყველას ნაცნობებს. ოლივერმა უნდობლესი პატივისცემა მოგახსენათ. ბევრს გაკოცებთ დიდათ პატივისმცემელი თქვენი

Marjory Wardrop.

British Consulate
Bucharest

8/21 მირკანისა 1908 წ.

უძვირფასესო და ჩემთვის საყვარელო მეგობარო, *

ყოველ დღე ვლოცულობ თქვენთვის და ვჰსთხოვ რომ ღმერთმან ნუგეში გჰსცეს. არ ვიცი რა ჰფიქრობთ ჩემზე რომ აქამდის არ მოგწერთ წერილს, მაგრამ როგორ მოგახსენებთ რაც გულში მაქვს. ამისთანა მწუხარება, თანარგძნობა და ელდაც ნამეტანი ღრმაა გამოთქმისათვის. ძალიან ხშირათ დავიწყე წერას მაგრამ სიტყვები ვეღარ ვჰპოვე.

მივიღე თქვენი ძვირფასი დისგან წერილი და წიგნი დიდ მადლობას მოვახსენებს მისი მოხსენებისთვის და საყვარელ და დაუვიწყარ თავ. ილიას სახსოვრისთვის. გჰთხოვთ გარდაეცით ჩვენი უგულითადესი მოკითხვა არასოდეს ვერ დავივიწყებთ ილია და ილიას ცოლი და და. როდესაც პირველად გჰნახეთ მატარებელში მცხეთაში, თოთხმეტი წელიწადია, იმ წამში ყველა ჩამაჩნდა გულში და იქაც დარჩოთ სანამდის ცოცხალი ვიქმები.

ჩემმა დედამ და ორივე ძმებმა მრავალი და მრავალი მო-

* ხელ. № 10.

კითხვა გიძღვნენ თქვენ და კნეინა ლიზას. გკოცნი ურიცხვს და ვინატრი თქვენი მშვიდობას და ნუგეშისცემა.

მარად თქვენი მოსიყვარული და ღრმათ პატივისმცემელი

Marjory Wardrop.

ll bis Strada Surorilor
Bucharest

8/21 ქრისტეშობისთვე 1908 წ.

დიდად პატივცემულო და უსაყვარლესო მეგობარო კნეინა ოლგა, *

ექვსი კვირაა რაც ბუხარესტში ვართ, ორი ჩემთვის ძვირფასი წერილები მივიღე, და აქამდის ვერ მოვახერხე თქვენს ბარათს გაგზავნა. პირველად, სასტუმროში ვიყავით და როდესაც მოვსულვართ ჩვენი სადგომში მე ავათ გავჰხდი და ათი დღე ლოგინში ვსწევდი. მერე ბევრი საქმე მქონდა სანამდისინ სახლში არ დაწესებულ ვიყავით. ახლა კი ყველაფერი რიგიანად გავაწყე, ჩვენ კარგათ და ბედნიერათ ვართ და ახალი ჩვენი ბინა ძალიან მოგვწონს. ამ ქუჩა მშვენიერია და მშვენიერი პატარა ბაღი გვაქვს.

მოხარული ვარ რომ სურათები ჩემგან გამოხატულნი მოგწონთ გაზაფხულში მეტი გიგზავნოთ ჩვენ აქაური კარ-მიდამოებისა. დღეს გიჰგზავნი დედის სურათი. ალბომში ჩემთან არის გამოხატული მაგრამ ამ სურათი უფრო დიდია როდესაც ტფილისში ვიყავით როინიშვილმა დაჰხატა.

ილიას სურათი მუდამ ჰდგას ჩვენი ოთახში—ერთი შინ, ინგლისში, ერთიც აქ.

იმედი გვაქვს უძვირფასესო ოლგა, რომ ახლა თქვენი საყვარელი თვალები კარგათ არიან. ნეტა თუ ჩემ ძალში იყოს თქვენი განკურნება. ვერ წარმოიდგენთ რანაირად მენატრები თქვენი ნახვა. იმედი მაინც არ ვკარგავ რომ ოდესმე კი ვინახულებთ ერთმანეთს.

---

* ხელ. № 11.

ჩემი ძმა უგულითადესი მოკითხვას გიძღვნეს, კნეინა ლიზას სალამი და უგულითადესი მოკითხვა ჩვენ მაგიერ.

გკოცნით ურიცხვს და გისურვებთ ბედნიერ ცხოვრებას და ნუგეშისცემას.

მარად თქვენი ერთგული, მოყვარული მეგობარი

Marjory Wardrop.

11 bis Str. Surorilor
Bucharest

3/16 ღვინობისთვე 1909 წ.

ღრმათპატივცემულო და უსაყვარლესო მეგობარო, კნეინა ოლგავ, *

თქვენი წერილი მომივიდა, დიდათ მადლობელი ვარ თქვენი მუდმივი მოგონებისათვის. მე დამნაშავე ვარ მოუწერლობისათვის, მაგრამ უქეიფოთ ვიყავი ბრონქიტით და ერთი კვირა ლოგინში გავატარე. ახლა ორნივე კარგათ ვართ. ამ შემოდგომას სტუმრები ბევრ იყო ჩვენთან და მათ შორის ბატ. ვოგან ვილლიამსი[13] რომელიც ხშირათ ლაპარაკობდა საქართველოზე, სადაც მოგზაურობდა ათი წელიწადია და თქვენი ღრმათპატივცემულ და დაუვიწყარ ილიასთან იყო.

მეც დიდათ მინდა თქვენი ნახვა. გულით მწუხვარ რომ ავათმყოფებთ და თქვენი ძვირფას თვალებს სინათლე აკლია. თქვენ ჰსწერთ ამდენ მშვენიერათ; ძნელია დავიჯეროთ რომ კარგათ ვერ ჰხედავთ!

ჩვენი დედა შოტლანდიაში ყოფილა და თომა იქაც ნადირობდა. სამწუხაროთ ავდარი ყოფილა. ამ წელს საზოგადოთ ინგლისში ზაფხული წვიმიანი და ცივი იყო.

თქვენი სახლის აღწერა დიდათ მომწონს. ძალიან მშვენიერი ალაგი უნდა იყოს მთაწმინდაზე და უეჭველოთ ჰავა უფრო წმინდა არის.

ჩემი ძმა გულითადი მოკითხვა და სალამი გიძღვნეს. იყა-

* ხელ. № 13

ჭით კარგათ და ბედნიერათ და მომწერეთ როდესაც დრო გექნებათ. თქვენი ამბავი და წერილი მუდამ დიდი სიამოვნება არის.

მრავალს გაკოცებთ და დავრჩები თქვენი უღრმესი პატივისცემელი და გულით მეგობარი

Marjory Wardrop.

11 bis Strada Surorilor
Bucharest

5/18 აპანისა 1909 წ.

ღრმათ პატივცემულო და უსაყვარლესო მეგობარო, *

თქვენი გულკეთილი ბარათი მივიღე. ვერ წარმოიდგენთ რა მოხარული ვართ როდესაც მომდის თქვენგან წერილი. ვჰკითხულობ ბევრჯელ და კიდევ ერთხელ ვჰკითხულობ ხოლმე. თუ მე დაუყონებლად პასუხს არ ვჰსწერ არ არის ამისთვის რომ არ მინდა, მაგრამ მოცლა ცოტა მაქვს. დღე მოკლეა და საქმე მუდამ საკმაო მაქვს.

დიდ მადლობას მოგახსენებთ გერმანული წიგნებისთვის. და სხვა ძვირფას საჩუქრისთვის. ჯერ არ მივიღე მაგრამ უსათუოდ მალე კარანტინი აიღებენ. მე არ ვიცოდი რომ ხოლერა იყო საქართველოში; გაზეთებში არ ჰსწერენ ამაზე.

აქ დიდი ზამთარი არ არის წელს. ერთი თვეა დიდი თოვლი და ყინვა იყო და ორი დღით მატარებელნი ვერ დადიოდნენ; ბევრი თოვლი ჯერ არის ქუჩებში და ბაღებშიც მაგრამ შედარებით ცივი არ არის. ხან და ხან საშინელი ქარი ჰქრის ჩრდილოეთიდან. აქაურები ჰქვიან ამ ქარს „კრიველ“. აქ ქუჩები არ არიან გაწმენდილნი როგორც რუსეთში და სიარული ძალიან ძნელია.

ჩვენ კარგათ და ბედნიერათ ვჰსცხოვრობთ. ჩემი ძმა დადის ხოლმე ორჯელ დღეში კანცელარიაში. საღამოს ჰკითხულობს ხმა მაღლათ. რუმინელები ნამეტანი მხიარული ხალხია

* ხელ. № 14

და ყოველ დღე გაუმართავენ სადილებს, საღამოებს და კონცერტებს. ჩვენ უფრო მოგვწონს შინაური, მშვიდიანი ცხოვრება და თითქმის არსად დავდივართ.

„დროებაში“ წავიკითხე თქვენი გულკეთილი თხოვნა გენერალ-გუბერნატორთან თქვენმა მოწყალე გულმა შეაგონა ფრიად საქებელ საქმეს. თავის მკელელის პატიება უფრო ადვილია ვიდრე საყვარელ ქმრის მკვლელების პატიება.

ჩემი დედა და ძმა თომა კარგად არიან და გულითადი მოკითხვა გიძღვნეს. საკვირველია რა კარგათ დედა მოიგონებს ყველაფერზე ნანახი საქართველოში. არ დაივიწყებს ნაცნობების სახე და არც სამოსელი. მე დავჰსწერე წერილში აკაკის იუბილეი და ეჰკითხე დედას თუ მოიგონებს მირიამ აბაშიძეო (რომელმაც იუბილეზე ჰსთქვა სიტყვა თეატრში) რომელთან ვიყავით სავანეში თორმეტი წელიწადიაო. დედამ პასუხს მომწერე ვრცელ აღწერით იმ დღის რომელიც გავატარეთ სავანეში და ყველაფერი მართალი; არც დაივიწყო რომ ცხენის თავის ქალა იყო ღობეზედ სავანის ეკლესიას ახლო. რაც ვაკეთებთ თქვენი მშვენიერი საგურამოში ყველას ისე კარგათ მოიგონებს და ხშირათ ჰლაპარაკობს იმ ბედნიერ დროზე.

როდესაც ვჰსწერ ვრცელი წერილი თქვენთან მეშინიან თუ ვერ მიხვდებით ქართული ენა ასრე დამახინჯებული. ვჰსწერ და ვჰსწერ მაგრამ არ ვიცი რამდენი შეცდომა არის და მასწავლებელი არა მაქვს. კითხვა ჩემთვის ახლა ადვილია ქართულად, მაგრამ კითხვა სხვა არის და მართლწერა სხვაა.

ნეტა თუ ერთხელ კიდევ მოვდივართ საქართველოში ვითა სამშობლო საყვარელი არის.

ჩვენი უღრმესი პატივისცემა გარდაეცით თქვენს ძვირფასს მულს კნეინა ლიზას. თქვენ ხომ ჯერ ერთად ჰსცხოვრობთ?

მოგვიკითხეთ ყველა ნაცნობები. ჩემი ძმა ოლიერი უნდობლეს პატივისცემას მოგახსენებთ.

ბევრს გაკოცებს, ჩემო უსაყვარლესო კნეინა ოლგა და გისურვებთ თქვენ ბედნიერებას და ნუგეშისცემას ამ ახალ წელიწადში.

მარად თქვენი ერთგული მოყვარული მეგობარი და ღრმათ-პატივისმცემელი

მარჯორი უორდროპ.

11 bis Strada Surorilor
Bucharest
21 მირკანისა 1909 წ.

დიდათ პატივცემულო და უძვირფასესო მეგობარო*,

არ ვიცი როგორ გამოვთქვა მადლობა ამდენი პატივისცემისთვის და თქვენგან ჩემი სიყვარულ-მეგობრობის ნიშნებისთვის, მე რომ ჯერ ვერაფრით გასიამოვნე ეს მაწუხებს. მივიღე მშვენიერი ქართული ხელსაქმე თქვენგან გამოგზავნილი. ჩვენი ქართული ოთახი ძალიან ლამაზი იქნება როდესაც თქვენი ძვირფასი საჩუქარი ამშვენებს კედელი. დიდათ დიდათ მადლობელი ვარ სახსოვარისთვის.

იმ ორი გერმანული წიგნი ჯერ არ მივიღე. შეიძლება სადმე ფოსტაში დაგვიანებული. წერა-კითხვა საზოგადოებამ გაგზავნა წიგნები დაბარებული ჩემისგან ბუხარში ბუხარესტის მაგირათ და რასაკვირველია ძალიან გვიან მომსულან. გთხოვთ მადლობას და მოკითხვას მოახსენოთ ბ. ლეისტს.[14]

ნუ გგონიათ რომ დავიწყებული ხართ! ყოვალ დღე თქვენზე ვფიქრობ და ღმერთს ვთხოვ თქვენს მშვიდობას და ნუგეშისცემას.

ზაფხული მალე დგება და ვფიქრობთ სოფელზე, მაგრამ ამ წელიწადი მგონია რომ აქ ვრჩებით. ამისთვის რომ შარშან დიდი ხანი გავატარეთ ინგლისში.

გამოგიგზავნე ღია წერილი რომელზედაც დახატული დედის სახლი დიდი თოვლში. მომავალ კვირას გიგზავნოთ ღია წერილი ჩვენი სახლისა აქ.

დიდ მწუხარებით გავიგე რომ თავ. დავ. მიქელაძე, ნ. თავდგირიძე[15] და კიტა აბაშიძე[16] დააპატიმრეს. იმედი მაქვს მალე გაანთავისუფლებენ.

უგულითადესი მოკითხვა გიძღვნეს თქვენ და კნ. ლიზას ჩემი ძმა. მოგეხვევით ჩემო საყვარელო ოლგა და გკოცნით ურიცხვს. ვინატრი თქვენს ბედნიერებას.

თქვენი ღრმათ პატივისმცემელი და მოყვარული

მარჯორი უორდროპი.

---

* ხელნაწერი № 15

11 bis Strada Surorilor
Bucharest
5 VI 1909

ღრმათ პატივცემულო და უსაყვარლესო მეგობარო, **

დიდი ხანია აღარ მომდის თქვენი ამბავი. როგორ ჰბრძანდებით? ღმერთმან ჰქმნას რომ მშვიდობიანად ჰსცხოვრობთ.

სამი კვირაა გამოგიგზავნეთ პატარა სახსოვარი რუმინიიდგან. აქ გლეხქალები მშვენიერათ ჰქერავენ ქარგაზედ და ყოველგვარი ხელთ საქმარი აკეთებენ.

ჩვენი დედა და თომა აწ მოგზაურობენ ჩვენკენ. ჩამოდიან ზღვით მარსელიიდგან კონსტანტინოპოლში და ჩვენთან იქმნებიან მომავალ კვირას. ფრიად მოხარულნი ვართ მათი მხოლოდ იხნში(?)

ჩვენ შევითვისეთ გერმანიიდგან ერთი ძვირფასი, ძველებური ქართული ხელთნაწერი „გალობა" ხუცურად. ამბობენ რომ მე-12 ანუ შეიძლება მე-11 საუკუნეში დაწერილია. სამწუხაროთ დასაწყისი და ბოლო დაკარგულია. მაგრამ ჯერ 150 გვერდი დარჩა.

ჩვენ ყოველთვის დიდ სიამოვნით ვჰსყიდულობთ ნამდვილი ძველებური ხელთნაწერები.

ოლივერმა გულითადად მოგიკითხავთ

კნ. ლიზას და ყველას ნაცნობებს მოკითხვა. გთხოვთ გარდაეცეთ ამ წერილი ბ. ლეისტს.

ბევრს გაკოცებთ და დავრჩები

თქვენი მარად მოყვარული

მარჯორი უორდროპ.

11 bis Strada Surorilor
Bucharest
14/27 მარიამობისა 1909 წ.

დიდათ პატივცემულო და უსაყვარლესო მეგობარო, **

თქვენმა წერილმა რომელიც გუშინ მივიღე დიდათ გამახარა. ვწუხვარ და მრცხვენიან რომ ასეთი დიდხან ვერ მოვა-

---

* ხელ. № 16.

** ხელ. № 17.

ხერხე ვრცელი წერილის წერა· თქვენთან, როდესაც დედა ჩვენთან იყო მთელი ორი თვე ერთად ვიყავით და დრო არა მქონდა. ეხლა ორი კვირაა კიდევ შინ არის ინგლისში. მასთან მე ვმოგზაურე ბუდაპესტამდე. სულ ყოჩაღი და ჯანმრთელი არის და ახალგაზრდა ქალივით დადის.

დროებაში წავიკითხე რომ უნდოდათ თქვენი სახლის გადაბრუნება მუზეუმში, მაგრამ მერე სწერდეს რომ არ იქნება.

მეც ღმერთსა ვთხოვ ყოველთვის მაღირსოს თქვენი ნახვა და საქართველოში წასვლა. ყოველ წელიწადს ვგონებ რომ მომავალში შეიძლება მოვალ იქითკენ, მაგრამ ჯერ ჩემ ბედში არ წერილია, ცამეთი წელიწადია არ ვყოფილვარ საქართველოში. ჩემი გული სიყვარულით მისკენ უკუნისამდე ბრუნდება.

ჩემი ძმისაგან უნდობლესი მოკითხვა და სალამი. ურიცხვს გაკოცებთ და დავრჩები

თქვენი უღრმესი პატივისმცემელი და გულით მეგობარი

Marjory Wardrop.

ბუხარესტი.

მივიღე თქვენი კეთილი წერილები, უსაყვარლესო კნეინა ოლგა და მალე პასუხს მოგწეროთ. ავათ ვიყავი, მაგრამ ახლა კიდევ სულ კარგათ ვარ. იყავით კარგათ. გკოცნით ბევრს. თქვენი მარად ერთგული

მარჯორი.

ბუხარესტი
2/15 სარწყუინისა 1909 წ.

თქვენმა წერილმა დიდათ გამახარა უსაყვარლესო მეგობარო. იმედი მაქვს რომ მიიღეთ სურათები დახატულნი ჩვენი დედოფლისაგან და იმედი მაქვს რომ ბაჟი არ გადაიხადეთ. აქ დიდი ზამთარია; ყოველ დღე დიდი ყინვა არის და ჰჩანს არ მოდის გაზაფხული ამ წელს. ბევრს გაკოცებ თქვენი ღრმათ პატივისმცემლი

მარჯორი.

ბუხარესტი

როგორ ბრძანდებით, საყვარელო მეგობარო? გისურვებთ ბედნიერ ცხოვრებას. თქვენი ძვირფასი წერილი მივიღე და მალე მოგწერთ ვრცელი წერილიც. აქ ჰთოვს და ზამთარი მოსულა. გეხვევით და მრავალს გკოცნით. თქვენი ღრმათპატივისმცემელი და მოყვარული

მარჯორი

ბუხარესტი
9/22 IX 1909 წ.

თქვენმა წერილმა დიდათ გამახარა, ჩემო საყვარელო მეგობარო, და მალე მოგწეროთ პასუხს. იყავით კარგათ და ბედნიერათ და ნუ დამივიწყებთ.

თქვენი მარად მოყვარული

მარჯორი

7/20 X 1908 წ.

გუშინ მივიღე ორი წერილი თქვენი, უძვირფასესო მეგობარო. მალე მოგწერთ ბარათს. ახლა სულ კარგათ ვართ და მხოლოთ ორი კვირა შემდეგ მოვდივარ რუმინიაში სადაც ჩემი ოლივერი ჰძებს ბინას.

მოგეხვევით და დაგკოცნი

თქვენი მარად ერთგული
მარჯორი.

18/31 X 1908.

როგორ ჰბრძანდები, ჩემო საყვარელო? ჩვენ ყველანი კარგათ ვართ მშვენიერი დარი არის; გუშინ თბილი იყო ვითა მაისის დღე. ჯერ არ ვიცი როდესაც მოვდივარ ოლივერთან მაგრამ მგონია ამ კვირას იქნება.

მრავალი მოკითხვა თქვენი
მარჯორი.

13/III 1909 წ.

როგორ ბრძანდებით, უძვირფასესო მეგობარო? მალე მოგწერთ წერილს. ამ ღია წერილზე არის დახატული ჩვენი დედის სახლი ინგლისში იმ დიდ თოვლში რომელიც იყო ორი კვირას წინ. უგულითადესი მოკითხვა ძმისგან და ჩემგან, თქვენი მოყვარული და ღრმათ პატივისმცემელი

მარჯორი.

ბევრჯელ დავიწყე წერილი წერა თქვენთან, უსაყვარლესო მეგობარო, მაგრამ დრო არ მქონდა, ამისთვის რომ დედა აქ ყოფილა. მომავალი კვირას მოგწერო ვრცელი წერილი. ხვალ მივდივარ დედასთან ბუდაპესტში. ბევრს და ბევრს გაკოცებთ. ძვირფასო, დედა და მეც.

თქვენი მარად მოყვარული

მარჯორი.

ბუხარესტი 30 ქრისტეშობისთვე 1908 წ.

მომილოცავს ახალ წელიწადზე, ჩემო უსაყვარლესო. მადლობას მოგახსენებთ თქვენი ძვირფასს წერილისათვის. მალე მოგწეროთ. ყოველთვის ბევრი საქმე მაქვს და თუმცა ყოველდღე მგონია დღეს მივწერო, კერ მოვახერხებ. მუდამ ვფიქრობ თქვენზე.

თქვენი მარად მოყვარული

მარჯორი უორდროპი.

ბუხარესტი
11/X—09 წ.

კიდევ ერთი ღია წერილი! მაგრამ მალე მოგწერ. ცოტათ ავათმყოფი ვიყავი და ამისთვის ვერ მოგწერ. ეხლა თითქმის კარგათ ვარ. თქვენმა ძვირფასმა წერილმა დიდათ გამახარა. იყავით კარგათ და ბედნიერათ და ნუ დამივიწყებთ. გკოცნი მრავალს.

თქვენი პატივისმცემელი და მოყვარული ერთგული

მარჯორი.

ქერჩი
27/8 თებისას 1895 წ.

უძვირფასესო და დიდათ პატივცემულო კნეინო ტასო! *
ჩემი ძმა და მე აქ ქერჩში თითქმის ერთი თვე ყოფილვართ და ბოლოს დაბინავებული ვართ. ჩვენი სახლი გორაზედ მდებარეა, და გვარიანი ლამაზი ადგილია; ეზოში პატარა ბაღი ვარდით და შროშანით ჰყვავის და ჰაერი მუდამ გრილი და სასიამოვნო არის.

ჩვენ ბედნიერი ვართ ამისთვის რომ საქართველოს ასეთი ახლოს ვცხოვრობთ, და ბევრჯელ ვლაპარაკობთ თქვენს მშვენიერს ქვეყანას და ძვირფასს ერს შესახებ; მეშინიან რომ ამ ზაფხულს ვერ შეგვიძლიან მობრუნება იქით, მაგრამ ზამთარში დიდი სურვილი მაქუს კიდევ თქვენ განახოთ.

ამ წერილში ჩემი სურათი გაგიგზავნებ და გთხოვ რომ თქვენს თავადს გიორგის და ელიკოს[18] მიბოძებს. ბოდიშს მოვითხოვ რომ ბევრი შეცდომა არის ჩემი ბარათში.

მსურს სულით და გულით რომ თავადი აკაკი ახლა სულ კარგათ არის. მას ჩვენი უგულითადესი მოკითხვა მოვახსენეთ.

თავ. გიორგის, ელიკოს, და თქვენი შვილებს ჩვენმაგიერ სალამი და მოკითხვა გადაეცით.

თქვენი ერთგული მეგობარი
Marjory Wardrop.

ქერჩ
30 გიორგობისთვე 1895.

ჩემო ძვირფასო კნეინა ტასო! **
ბოდიშს ვიხდი რომ აქამდინ ვერ მოგწერეთ დასაბეჭდვის ფიცრების (კლიშების) შესახებ. ხანდაზმულობა არის ამისთვის რომ ინგლისში ერთმა ჩემმა წერილმა დაკარგული იყო და მხოლოდ ამ დღეებში პასუხს მივიღეთ.

---

* წერილები ან. თუმანიშვილი-წერეთლისადმი დაცულია საქ. ხელნაწერთა ინსტიტუტში. ან. თუმანიშვილი-წერეთლის ფონდი. ხელ. № 571
** ხელ. № 572

სამი ამხანაგებში ვსწერეთ:

1. The Religious Tract Society.
2. Cassels' Company Limited.
3. Nops' elecrotype Agency.

1. The Religious Tract Society სწერს რომ სიამოვნით გიძღვნის საჩუქრად ფიცრები. მე მადლობას გარდავიხდი თქვენთვისაც ეგრე ჩემთვის. მალე გაგიგზავნოს ფიცრები თქვენში თბილისში. 2 და 3. გუშინ გამოგზავნეთ რამთენიმე სურათი Cassels'-იდგან და Nops'-იდგან, რომელისაც კლიშები ღირს 16 კაპეიკ. ოთხკუთხიანი დუიმისათვის (4pence per square inch); ეს ძალიან იაფი არის. თუ გინდათ ყიდვა, უნდა გაგზავნოთ ამ სურათები, რომლებისაც კლიშები გინდათ. ორი პაკეთი არის—ერთი Nops'-დგან, მეორე Cassells'-დგან.

ჩვეულებრივი ფასი (პატარა უცხოელი ქვეყნისთვის) ინგლისური ჟურნალის ძველი ფიცარი არის 24 კაპ. ოთხკუთხიანი დუიმისთვის (6 pence per square inch) და ამ ფასს შეიძლება ყიდვა სურათები Illustrated London News-იდგან, Strand Magazine-იდგან, Lady's Pictorial-დგან, და სხვ.

Nops' ადრესია:

Nops' Elecrotype Agency
19 Ludgate Hill
London E. C.

Cassels' rs
mess-nrs Cassels' Company Limited
La Belle Sauvage
Ludgate Hill
London E. C.

სურვილი მაქვს რომ თქვენ კარგათ მიხვდით; საქმე ცოტას ძნელია ქართულად გამოთქმა!

ქერჩში ცხოვრება სულ მოწყენილი არის; ზამთარი მოდის და ყველაფერი აქ ბინძური და მარტო არის. ნეტა თუ ჩვენი საყვარელი საქართველოში შეგვიძლიან მოსვლა! ვაიმე! აქ ტყვენი ვართ!

ძმა ჩემმა უგულითადესი მოკითხვა გიძღვნესთ. თავ. გიორ-

გის, თავ. აკაკის, ელიკოს, თქვენს შვილებს და ყველას ნაცნობს გთხოვთ გარდასცე მოკითხვა და სალამი ჩვენმაგიერ.

თქვენი მარად ერთგული მეგობარი

Marjory Wardrop.

დიდათ გმადლობთ თამარის სურათისათვის.

ჭერჩ
16/28 ვარდობისთვე 1896 წ.

ჩემო ძვირფასო კნეინა ანასტასია!*

თქვენთან დიდი დანაშაული ვარ, რომ ამდენს ხანს ვერ მოგწერეთ. ამის მიზეზი იყო არა ჩემი უზრდელობა, არამედ ის გარემოება რომ დედ-მამა და მეორე ძმა ჩვენთან სტუმრათ არიან, და ცოტა მოცლა მქონდა. ჩვენ—დედ-მამა, მეორე ძმა და მეც ვმოგზაურეთ ქრიმში, და მომავალს კვირას ვაპირებთ მობრძანება საქართველოში. პირველათ ვაატაროთ რამდენიმე დღე ტაგანროკში, როსტოვში, და მერე წავიდეთ ვლადიკავკაზში და თბილისში. დიდათ მწუხვარ რომ ილიევრიც ვერ შეიძლიან მობრძანება, მაგრამ საქმე ნამეტანი არის.

მოუთმენლად ველით თქვენს ნახვას, მერე ყველაფერს ახალს ვამბობ.

მოგვიკითხეთ მე და ოლიევრს თქვენი ქმარი, შვილები და ყველა ნაცნობები.

მარად თქვენი ერთგული

Marjory Wardrop

კერჩ
1/13 ქრისტეშობისთვე 1897 წ.

დიდათ პატივცემულო და ძვირფასო ბატონო ტასო!*

გუშინ მივიღე თქვენი სასურველი წერილი და სურათი. თქვენი სურათი ძალიან მომწონს და მადლობას მოგახსენებ ამისთვის. ვერ მივხვდი რათომ თქვენ არ მიიღეთ ჩემი წერი-

* ხელ. № 574

ლი; მე მივსწერე თქვენთან როდესაც მივიღე ჩემი დედის მანტილია და მოგახსენე რომ ჩვენ—ოლივერმა და მეც ვაპირებდით ინგლისში წასვლას. უეჭველოთ იმ წერილი დაკარგული ყოფილა გზაზე.

მეც ძალიან ვწუხვიყავი რომ ასეთ დიდიხანი თქვენი ამბავი არ ვიცოდი რა, და მხოლოდ ერთი კვირაა რაც მე დავიწყებდი წერილი მიწერა, მაგრამ დრო არ ქონდა.

ამ ზაფხულს ჩვენ ვიყავით ჩვენი დედ-მამასთან სამი თვე და მშვენიერათ გავატარეთ დროს. ვნახეთ მეფე ვიქტორიას[19] გამარჯვებული დღეობა და არასდროს არ დავივიწყებთ ის საკვირველი და დიდებული სანახავი. ერთი კვირა ვიყავით პარიზში, სადაც მხიარულათ გავატარეთ დროს. მარიამობისთვის დავბრუნდეთ კერჩში ქრისტინიაზე, სტოკჰოლმზე, პეტერბურგზე და მოსკოვზე; ეს პირველათ იყო რომ მე ამ ქალაქებში ყოფილვარ და ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის.

კლარენდონ პრეს, ოქსფორდში, აპირებს დაიბეჭდოს ჩემი თარგმანი წმ. ნინოს ცხოვრება, მაგრამ ჯერ არ ვიცი როდის გამოდის. ბატ. კონიბირ (Conybeare) რომელიც ყურადღებით ადევნებს საეკლესიო ისტორია და იცის ქართული და სომხური ენები, მითხრა რომ ცხოვრება ნინოსი ძალიან საინტერესოა და იმან ჰსწერს, იქნება წინასიტყვაობა თარგმნისთვის.

„ვეფხვის ტყაოსანი" კიდევ დასაწყისიდგან გადავთარგმნებ, ამისთვის რომ ჩემი პირველი თარგმანი არ მომწონდა. მე ეხლა ნახევარი ვაკეთე და სურვილი მაქვს რომ გაზაფხულის წინეთ დავასრულო. ეს მხოლოდ კვახი თარგმანი იქნება და დიდი ხანი, შრომა და მოთმინება უნდა წინეთ რომ დაიბეჭდის. მე არ მინდა რომ გლახათ ვჰქმენ, და სურვილი მაქვს რომ მშვენიერება რუსთაველისა დაიკარგოს ასეთი ცოტა რომ შემიძლიან თარგმანში.

მე ვიცი რომ ჩემი წერილი სავსეა შეცდომით, მაგრამ გთხოვთ ბოდიშს ვიხდი.

მომიკითხეთ დიდი პატივისცემით თქვენს ქმარს, ელიკოს, თქვენ ვაჟებს, ქალ. ეკატერინე გაბაშვილს,[20] ყველას რედაქციაში და ყველას მეგობარს.

მარად თქვენი ერთგული მეგობარი

Marjory Wardrop.

ხშირათ ვჰფიქრობ იმ ბედნიერ დროზე, როდესაც ჭალაში ვიყავით და თქვენი კეთილგულობა ჩვენათ. როგორ არიან ჩემი მეგობრები თაფლო, ქაქლო და მისი დები? მომიკითხეთ ბატონს დიმიტრის, მის ცოლს და ყველას ჭალაში.

Marjory Wardrop

კერჩ
20/1 გიორგობისთვე. 1899 წ.

ძვირფასო და საყვარელო მეგობარო,*
დიდათ მასიამოვნა თქვენმა წერილმა, რომელიც მივიღე გაზაფხულში როდესაც ჩვენ მზად ვიყავით ჩვენი წლიური მოგზაურობისთვის. ბოდიშს ვიხდი რომ აქამდის პასუხს არ მოგწერეთ: ინგლისში ხანი ასეთი ჩქარა იარა ვერ მოვახერხე.

ლონდონში ვცხოვრობდით ექვსი კვირა მშობლებთან, მერე გავატარეთ დრო საფრანგეთში და სოფელში. სულ სამი თვე ვმოგზაურობდით; ძალიან სასიამოვნო იყო. ჩვენი მშობლები და ძმა თომაც გულით მოგიკითხავათ თქვენ და თქვენს ქმარს და შვილებს. ხშირათ ვლაპარაკობდით საქართველოზე და ყველას სურვილი აქვს კიდევ იქ მოგზაურობა.

მინდა თქვენთან ხშირათ ვსწერ, მაგრამ ჩემთვის ძნელია ქართულს წერა და ნამდვილია რაც ელიკომ თქვა „კვალში“:

„ცივი უგრძნობელი ქაღალდი ვერაოდეს ვერ გარდაცემს მეორე ადამიანს იმას, რასაცა დამწერი გრძნობს“.

ეგ მართალია თვით თუ ადამიანი ხმარობს მისი მშობლიური, ენა რაზომჯერ უფრო მართალი როდესაც სხვისი ენაში სწერს.

მე მივიღე თქვენი პატივცემულ ქმარის წიგნი: „Археологическая экскурсия по Квирильскому ущелью“. [21]

გთხოვეთ გადასცეთ ჩემი გულითადი მადლობა. ეკითხულობით დიდ სიამოვნით.

დიდ მადლობას მოგახსენეთ თქვენი ჟურნალებისათვის. ორი ნუმერები „ჯეჯილის“ გვაკლია 1898-ისთვის. № 1 და 6. თუ შეიძლება, გთხოვთ გაგვიგზავნით.

---

* ხელ. № 575

თქვენ გინდოდათ რომ ელიკო წავა ინგლისელი ოჯახში ამისთვის რომ შეისწავლის ინგლისელი ენა. სამწუხაროდ მე არ ვიცი ერთი ოჯახი სადაც მიიღებენ ქალები და საშიშია გაგზავნა ქალი მარტო უცხო ხალხში. ჩვენთვის დიდათ სასიამოვნო ყოფილა თუ ელიკო ჩვენთან სტუმრობდა რამდენიმე თვე, მაგრამ უბედუროთ, არ იქ ვართ, მაგრამ ამ მოწყენილ ქერჩში. თუ დრო გექნებათ მოგწერეთ წერილი. ჩემმა ძმამ და მეც მოგიკითხვათ გულით თქვენ, ბატონი გიორგის, ქალბატონი ელიკოს (ახალგაზრდა მწერალს) თქვენი შვილებს და ყველა მეგობარს თქვენი წრეში.

ნუ დაივიწყებთ თქვენი ერთგული მარჯორი უორდროპის ასული.

ვარშავა.
1900!

უძვირფასესო მეგობარო ანასტასია*

დიდი ხანია მინდოდა თქვენთან წერილის წერა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზებისათვის მოცლა არა მქონდა.

სამწუხარო ამბავი თქვენი ქმრის სიკვდილისა ჩვენ დიდათ გვაწუხა. მისი ქვეყანა, ვითა მეგობრებიც, უფრო ღარიბი არის უმისოთ. ჩვენი თანაგრძნობა თქვენთან, ელიკოსთან და მის ძმებთან უღრმესი და უწრფელესი არის...

კონსული გენერალი ვარშავაში წავიდა ომში, ამისთვის რომ წინათ კაპიტანი იყო ლაშქარში, და ჩემი ძმა ოლივერი არის დროებით მოადგილე. ჩვენ აქ მოვსულვართ შაბათს კერჩიდგან, და ჩანს რომ აქ დავრჩებით ომის გათავებამდის. გთხოვთ გვიგზავნეთ შემდეგი ადრესით „კვალი“ და „ჯეჯილი“, და ახლა არა კერჩში. ადრესი:

Великобританское Генеральное Консульство.
Варшава.

ბოდიშს ვიხდი რომ გლახათ ვსწერ: დრო ცოტა მაქვს. ჯერ ბევრი შრომა უნდა ჩვენი ახალი სახლში.

* ხელ. № 576

გთხოვთ გარდასცეთ ჩვენი უგულითადესი მოკითხვა თქვენს შვილებს და ყველა ნაცნობებს.
მარად თქვენი ერთგული

Marjory Wardrop.

კერჩ
ნოემბერი 18, 1900 წ.

საყვარელო ქალბატონო ანასტასია,*

რამდენიმე დღეა შევიტყვე—„ივერიიდან“ რომ თქვენ ავათმყოფათ ბრძანდებით; ამ ამბავმა დიდად შეგვაწუხა; სურვილი გვაქვს რომ ეხლა კიდევ ჯანმრთელი ბრძანდებით.

ჩვენ შვიდი თვე ვარშავაში ამ ზაფხულს გავატარეთ მაგრამ თითქმის ორი თვეა კიდევ კერჩში ვართ. რასაკვირველია, ცხოვრება ვარშავაში ბევრად უფრო მოსაწონი იყო ვიდრე ამ პატარა, მოწყენილი ქალაქში. ჩვენი მშობლები და ძმაც ჩვენთან სტუმრათ იყვნენ: მათის ნახვას ჩვენთვის დიდი სიამოვნება იყო.

როდესაც ჩვენ დავბრუნდით კერჩში მე შევატყობინე რედაქციას „კვალისა“ და „ჯეჯილისა“ და ექვსი კვირაა ჩვენი ეხლანდელი ადრესი მეორეჯელ გამიგზავნე ბატონს რედაქტორს; მაგრამ დღემდის არ მივიღეთ არც კვალი არც ჯეჯილი პირდაპირ. პირველათ ვარშავაში მიდის და მერე აქეთ. გთხოვთ, თუ შეიძლება, შეატყობინეთ ბ. რედაქტორს რომ კიდევ ქერჩში გახლავართ.

ვარშავის ინგლისელი კონსული, რომელიც ტრანსვაალის ომში იყო, დაბრუნდა მძიმეთ დაშავებული, მაგრამ მოსული იყო მის ალაგში წინეთ რომ ჩვენ მოსულ ვართ კერჩში.

ბოდიშს ვიხდი ყველა ჩემი შეცდომისათვის ქართულ ენაზე. მართლწერა ჩემთვის ძნელია ამისთვის რომ არავინ ქართველი არ არის შემისწორებს, და არ ვიცი მართლა ეჰსწერ თუ არა.

გკოცნი მრავალს და მსურს რომ მოგიკეთებთ. ოლიეერმა მრავალი მოკითხვა გიძღვნათ. გთხოვთ გარდასცეთ ჩვენი უგულითადესი მოკითხვა ელიკოს, თქვენ შვილებს, ჩემი დია-

* ხელ. № 577

სახლისების ივანე აბაშიძის ასულნი და თაფლოს ჰალაში და ყველა ნაცნობს.

თქვენი მარათ მოყვარული მეგობარი

მომწერეთ მალე თუ შეიძლება.

Marjory Wardrop.

1905 წ. 4/17 მაისი
პეტერბურგი.

დიდათ პატივცემულო და ძვირფასო ქალბატონო ანასტასია,* დიდი დანაშაული ვარ რომ აქამდის ვერ მოგწერე წერილი; დიდი ხანია მინდოდა თქვენი ამბის გაგება მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოვახერხე მოწერა.

რამდენიმე წელიწადია რაც ბევრს ვმოგზაურობთ და წინეთ მანამ ჩემი ძმა დანიშნული იყო კონსულად პეტერბურგში, ჩვენ გავატარეთ ერთი წელიწადი ჰაიტის კუნძულში (დასავლეთ ინდიებში). დიდი განსხვავება არის რუსეთსა და ჰაიტის შორის: იქ მზე მუდამ ანათებს და ათბობს ქვეყანას; ყვავილები ჰყვავიან, ჰაერს აქვს ყვავილების სუნი ზამთარში როგორც ზაფხულში. ბუნება მდიდარი და მშვენიერია და ყოველგვარი ტროპიკული ხილი და ხე იზრდებიან ბლომად. კუნძული თავისუფალია; პრეზიდენტ და მისი ერიც ზანგები არიან, შავ კაცს თეთრი ეჯავრებათ. თუმცა ზოგჯერ საშიში იყო ჩვენთვის იქ ყოფნა მაგრამ ძალიან მოგვწონდა და გვეწყინა იქიდგან წამოსვლა.

ერთი წლის ნახევარია რაც პეტერბურგში ვართ და უსათუოდ იქ ვიქნებით რამთენიმე წელიწადი თუ ცოცხალი ვიქნები. აქაც ბევრი საყურადღებო ამბავია.

მივიღე „ცნობის ფუცელი" და „ივერია" და უღრმესი ყურადღებით ვკითხულობ საქართველოს ამბავი.

როგორ ბრძანდებით ძვირფასო მეგობარო? თუ შინ ბრძანდებიან თქვენი შვილები და ქალბატონი ელიკო? სურვილი მაქვს რომ ყველა კარგათ არის.

რა აზრისა ხართ ამ მოძრაობაზე? რით გათავდება? სურ-

* ხელ. № 578

ვილი მაქვს გულით და სულით საქართველოსათვის როგორც მთელი რუსეთისათვის ბედნიერება მოდის. მოველი თქვენს წერილს მალე; მოიწერეთ ყველას ამბავი.

ჩემმა ძმამ უგულითადესი სალამი გიძღვნათ. გთხოვთ მოიკითხეთ ქალბატონს ელიკოს და ყველას ნაცნობებს.

თქვენი მარად ერთგული

Marjory Wardrop.

ჩვენ მალე ინგლისში მოვალთ ორი თვის გამოსვენებისათვის. აქ ხშირათ მოდის ჩემთან ქნ. ბაბო-ბაგრატიონ-დავითაშვილი [22]. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა აქ ყოფნა.

British Consulate
Bucharest Roumania
24/6 1908

ჩემო საყვარელო მეგობარო,*

თქვენმა წერილმა ძალიან გამახარა, თუმცა თქვენმა ამბავმა თანაც დამაღონა. გული მიწუხს თქვენთვის და საქართველოსთვის, და ყოველ დღე ვნატრი რომ მალე გათენდება ბედნიერების დილამ!

დიდათ ვწუხვარ რომ თქვენი ნიჭიერი ირაკლი[23] ისევ დაჭერილია. ვჰკითხე ინგლისურ ჟურნალში რომ დასჯილ იყო გადასახლებითა.

ჩემმა უკანასკნელმა წერილმა დაგაღონა ამისთვის, რომ ქართულათ არ იყო დაწერილი. მაგრამ მეშინიან რომ ამ წერილმა უფრო დაგაღონოს როდესაც ჰნახოთ რა გლახათ ვჰსწერ და გამოვჰსთქვამ ქართულათ. მრცხვენიან რომ აქამდის უფრო კარგათ ვერ შევისწავლე თქვენი მშვენიერი ენა. ჩემი პირიანი სურვილია რომ ოდესმე მოვალ საქართველოში და ძირიანათ გაეიცანო მისს მშვენიერობას მის ენას და ხალხსაც. ახლა დრო ფრენით მიდის: ჩვენ ვჰმოგზაურობთ აქეთ და იქით და მოსვენება დიდი არა გვაქვს. როდესაც მოვალთ

* ხელ. № 580

ახალ ქვეყანაში ჰხამს ჩემთვის რომ შევითვისებ ცოტათ ადგილობრივი ჩვეულება.

